


ა. ლორია

გ. სურაშვა



საბიბლიოთეკო საქართველოს ისტორია

თბილისი
2006

F88649
3



ა. ლორია გ. სურმავა

საბიზლიოთეპო საქონის ისტორია

(ნაკვეთი პირველი)

სახელმძღვანელო ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და საინფორმაციო
ტექნოლოგიების სკოლიალობის ხტუდენტებისათვის

თბილისი 2006

A. Loria, M. Surmava

The History of Library job

The textbook is based on the studying program and mainly contains the aims of studing process and demands not only the Bakalavriats but Magistraits as well. The text-book is based on old and new materials taken from compter. Maintioned texts-book is full in deatils and contents and is determined to adit in three volumes. In the first volume is given the history of arckaic, antic and medieval Library activisities. This text-book well help students and interested persons. We hope that this book will help young generation in their future.

ნაშრომში განხილულია ძველი, შუა საუკუნეებისა და ახალი ისტორიის მსოფლიოს ციფრულიზებული ქვეყნების საბიბლიოთეკო საქმის განვითარების საკითხები. მირთადად გათვალისწინებულია სტუდენტებისათვის. დაფუძნებულია აღრეულ და ახალ გამოკვლევებზე. დაეხმარება აგრეთვე მოცემული თემით დაინტერესებულ მკითხველებსაც.

რედაქტორი:

ნ.გომართელი

რეცენზენტები:

- ი. ფილაური
- გ. თავნიაშვილი

გამომცემლობა

ISBN 99940-62-90-5 (პირველი ნაკვეთი)

საქართველო
333 205 700
16336720
802 0017003

K 252436

მასალის სიუხვის გამო სახელმძღვანელო „საბიბლიოთურ-კო საქმის ისტორია“ განხრახულია გამოიცეს სამ ნაკვეთად. პირველ ში მოცემულია არქაული, ანტიკური და შუა საუკუნეების მსოფლიო საბიბლიოთური საქმის ისტორია. მეორე ნაკვეთი დაეთმობა მსოფლიოს საბიბლიოთური საქმეს უკავ კაპიტალიზმის განვითარების ეპოქაში. მესამე ნაკვეთი მთლიანად მიეძღვნება რუსეთისა და საქართველოს საბიბლიოთური საქმეს ადრეული უკოდალური ხანიდან ჩვენ დრომდე.

სახელმძღვანელო აგებულია სახწავლო პროგრამის მიხედვით და ძირითადად სწავლების მიზნებს ითვალისწინებს; მხედველობაშია მიღებული არა მარტო ბაკალავრიატის, არამედ მაგისტრატურის მოთხოვნილებები. იგი ემყარება ადრეული პერიოდისა და უახლესი ხანის ლიტერატურას, ასევე კომპიუტერულ მოძიებულ მასალას.

მხედველობაშია მიღებული, რომ საბიბლიოთური საქმის ისტორიაში ქართულ ენაზე ძალიან მწირი ლიტერატურა მოიპოვება, მით უმეტეს, მსოფლიოს ქვეყნების გარშემო; ამგვარი სახელმძღვანელო არასოდეს გამოცემულა და ეს პირველი ცდა, რომელიც, ცხადია, თავისუფალი არ იქნება გარკვეული ხარვეზებისგან. ვფიქრობთ, სახელმძღვანელო კარგ სამსახურს გაუწევს სტუდენტებსა და საბიბლიოთური საქმის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს.

გამომცემლები იმედოვნებენ, რომ თანამედროვე პირობებში საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობით სტუდენტები შეძლებენ დამატებითი მასალა მოიპოვონ მიღებული ცოდნის გასაღრმავებლად. ამ შემთხვევაში მოცემული სახელმძღვანელო მათვის ერთგვარი გზამკვლევის როლსაც შეასრულებს.



1. საგიგლიოთეპო სამის ისტორია ორბორცების გეცნიერება

1.1. საგიგლიოთეპო სამის ისტორიის გვლევის საბაზი და პრიორიზაცია

ყველა მეცნიერებას თავისი კვლევის საგანი გააჩნია. იგი ძირითადად გამოხატავს იმ მოვლენების განხორცილებულ თავისებურებებს, რომელთაც ესა თუ ის მეცნიერება შეისწავლის. მასში გამოლინებულია ყველაფერი, რაც ამ მეცნიერების კვლევის არეში შედის.

მეცნიერების წარმოშობა და განვითარება თავიდან ბოლომდე დამოკიდებულია ობიექტურ კანონზომიერებაზე და ცხოვრებისეული აუცილებლობითაა გამოწვეული.

საბიბლიოთეკო საქმე საზოგადოებრივ მოვლენას წარმოადგენს და მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოების განვითარების პროცესთან.

ყოველი მეცნიერება დინამიურია – ისრდება, იცვლება, მოდერნიზდება, ნაწილებად იშლება და ა.შ.

ყოველი ზემოთქმული სავსებით ახასიათებს საბიბლიოთეკო საქმის ისტორიასაც. ზოგ შემთხვევაში მას წიგნის ისტორიას უკავშირებდნენ, ზოგჯერ – წიგნმცოდნეობას, რაც იმით აიხსნება, რომ ჯერ კიდევ არ იყო ზუსტად განსაზღვრული მისი კვლევის საგანი.

ამ ბოლო ხანებში გამოიკვეთა ტენდენცია, საბიბლიოთეკო საქმის ისტორია ბიბლიოთეკათმცოდნეობის შემადგენელ ნაწილად იქნება აღიარებული. ეს არაა გასაკვირი, რადგანაც ბიბლიოთეკადმცოდნეობისა და საბიბლიოთეკო საქმის ისტორიის კვლევის ობიექტი ერთია, მაგრამ კვლევის ობიექტი კვლევის საგნად არ უნდა მივიჩნიოთ.

თუ ბიბლიოთეკათმცოდნეობის კვლევის საგანი ეს წიგნი და მკითხველია ორგანიზებული ურთიერთობის პირობებში, საბიბლიოთეკო საქმის ისტორია ამ ურთიერთობის განვითარების პროცესებს იკვლევს. მას აინტერესებს, თუ როგორ



და რა გზით ეითარდებოდა საბიბლიოთეკო საქმეს შესრულებისათვის მოვიდა ის ჩვენამდე და რა ელის მომავალში.

როგორც ყოველგვარ ისტორიას, საბიბლიოთეკო საქმის ისტორიასაც კვლევის გარეული არე გააჩნია – ის ეძიებს როგორც წარსულს, ისე აწყოსაც, და განკვრებს მომავალს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ისტორია იქვევს რა წარსულსა თუ აწყოს, მისი ერთ-ერთი პრაქტიკული ღირებულება იმაშია, რომ იგი კაცობრიობას აიარავებს მომავლის პროგნოზებით, საზღვრავს მიმართულებებს. აკეთებს სამომავლო დასკვნებს. ამრიგად, ისტორია არა მარტო წარსულის ფაქტების კონსტატაციაა, არამედ მათი ანალიზის საშუალება. მის მიერ გამოტანილი დასკვნები ხელს უწყობს თანამედროვეობას, განკვრიტოს მომავალი.

იგივე ითქმის საბიბლიოთეკო საქმის ისტორიაზეც იქვევს რა წარსულსა და აწყოს, მომავლის პროგნოზირების საშუალებასაც იძლევა. შეიძლება ითქვას, რომ მისი კელვის საგანია საბიბლიოთეკო საქმის ჩამოყალიბებისა და განვითარების კანონზომიერებანი კონკრეტულ-ისტორიულ გარემოში. იგი შეისწავლის ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ბიბლიოთეკების წარმოშობა და ჩამოყალიბება სხვადასხვა ქვეყნებში, მათი ფუნქციები სხვადასხვა დროს, ნაირსახეობანი, ადგილი საზოგადოებაში, ფონდების შემადგენლობა, ბიბლიოთეკის როლი ტექნიკის, მეცნიერების, განათლების, კულტურის განვითარებაში, მისი წელილი მასის ინფორმირებაში და სხვ.

საბიბლიოთეკო საქმის ისტორიის შესწავლა ხდება ეპოქალურად, ცალკეული პერიოდისა და ქვეყნის მიხედვით. ამ შემთხვევაშიც არ არსებობს ერთიანი, საყოველთაო აზრი. ჩვეულებრივ, პერიოდულად დაყოფა ხდება ისტორიულად ცნობილი პერიოდიზაციის მიხედვით, რაც სავსებით სამართლიანია, რადგანაც სწორედ ისტორიული განვითარება განაპირობებს საბიბლიოთეკო საქმის განვითარებას. საბიბლიოთეკო საქმე, როგორც საზოგადოებრივი მოვლე-



ნა, უშუალოდაა დამოკიდებული ყოველგვარ საზოგადოებ-
ბრივ პროცესებ, იქნება ეს პოლიტიკური, ეკონომიკური ფუნქციები
კულტურული ხასიათისა. მაგრამ პერიოდიზაციის განსხვავი
ვავებულ ვარიანტებსაც ვხვდებით – როცა პერიოდების
გამოყოფა ხდება არა ისტორიის პერიოდულობის, არამედ
საბიბლიოთურო პრაქტიკაში მომხდარი თვისებრივი ცვ-
ლილებების მიხედვით.

რაც შეეხება საბიბლიოოთურო საქმის ისტორიას, როგორც
სახწავლო დისციპლინას, მიხი შეეწავლა ხდება გან-
სახლვრული პროგრამის მიხედვით, რომელიც სახწავლო
გეგმის საათებს ითვალისწინებს. მას თავისებური სტრუქ-
ტურა აქვს. უპირველეს ყოვლისა, შეისწავლება საბიბლიოოთუ-
რო საქმე მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში უძველესი პერიო-
დიდან დღემდე, შემდეგ – საბიბლიოოთურო საქმე რუსეთში
და დასახრულს – საქართველოში (სხვადასხვა ეპოქათა
მიხედვით). საბიბლიოოთურო საქმის ისტორია ჯერ სრულფ-
ოფილად ჩამოყალიბებული არ არის და იგი განვითარებ-
ის სტადიაშია.

1.2 საბიბლიოოთურო სამის ისტორიის აღბილი გაცეივებათა სისტემაზი

არც ერთი მეცნიერება არ ვითარდება სხვა მეცნიერ-
ებებთან კავშირის გარეშე იზოლირებულად. ზოგ შემთხ-
ვევაში ერთი მეცნიერული სისტემა რომელიმე სხვა მეც-
ნიერებიდან გამომდინარეობს და მის დაქვემდებარებაშია, ზოგნი კი მხოლოდ ინტეგრირებით ქმაყოფილდებიან, ერთ-
მანეთს ავსებენ და ავითარებენ, არის ისეთი სისტემებიც,
რომელსაც მხოლოდ შეხების წერტილები აქვს ერთმანეთ-
თან; ზოგს კიდევ მხოლოდ ამა თუ იმ კუთხით აინტერე-
სებს ესა თუ ის მეცნიერება, ზოგი კიდევ მხოლოდ სარგე-
ბლობს იმ მონაპოვარით, კვლევის იმ შედეგებით, რომელიც
სხვა მეცნიერებას მიუდია და ა.შ.

საბიბლიოოთურო საქმის ისტორიას ყოველთვის ახახი-



ათებდა სულ უფრო მზარდი ურთიერთკავშირი სხვა მცხველი ნიერულ სისტემებთან. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბიბლიოთეკო საქმის ისტორიის კავშირს წიგნისა და საბიბლიოთეკო საქმის შემსწავლელ მეცნიერებათა კომპლექსებთან, უპირველეს ყოვლისა, წიგნმცოდნეობასა, წიგნის ისტორიასა და ბიბლიოთეკათმცოდნეობასთან.

წიგნმცოდნეობა და წიგნის ისტორია, რომელიც შეისწავლის წიგნის, როგორც საკაცობრიო-საყოველთაო მოვლენას, მისი ჩამოყალიბებისა და განვითარების გზას, საბიბლიოთეკო საქმის ისტორიას ასაზრდოებს ქველევის შედეგებით, რომელსაც თვითონ აღწევს. ამის გარეშე შეუძლებელია საბიბლიოთეკო საქმის ისტორიის მოვლენების მთელი სიღრმით შესწავლა. საბიბლიოთეკო საქმის ისტორიის კალევისას აუცილებელია განხილულ იქნეს წიგნის, როგორც მოვლენისა და საგნის მთელი რიგი საკითხები. ამ ორი მეცნიერებისათვის საერთოა პერიოდიზაცია, სხვადასხვა სოციალურ-პილიტიკური ასპექტები, მრავალი ისტორიული მომენტი თუ ფაქტი. თითქმის იგივე ითქმის საბიბლიოთეკო თეორიაზე: პრაქტიკის მეცნიერებულად განსოგადებული მასალის გარეშე საბიბლიოთეკო საქმის ისტორია მხოლოდ ფაქტების მექანიკურ შემკრებად დარჩება.

საბიბლიოთეკო საქმის ისტორიას საქმაოდ მჭიდრო კავშირი აქვს აგრეთვე ბიბლიოგრაფიასთან. წიგნადი მასის ანალიზის გარეშე საბიბლიოთეკო საქმის ისტორია ნაკლებლირებულია. მის ინტერესებში შედის სწორედ ბიბლიოგრაფიის მიერ წარმოებული რეტროსპექტული ძიება. ამ სამ მეცნიერებასთან მჭიდრო კავშირმა განაპირობა ერთდროს ის, რომ საბიბლიოთეკო საქმის ისტორიას მათთან ერთად, ერთიან კომპლექსურ მეცნიერებად სახავდნენ. მაგრამ, როგორც ცნობილია, კომპლექსური მეცნიერება ფაქტიურად არ შეიძლება იყოს, არ შეიძლება ერთ მეცნიერებას ერთდროულად რამდენიმე კალევის საგანი ჰქონდეს. არსებობს სხვადასხვა მონათესავე მეცნიერებათა კომპლექსი



და არა კომპლექსური მეცნიერება. მათ კვლევის საგანი ერა აქვთ საერთო, არამედ ობიექტი, რომელსაც სხვადასხვანი ასპექტით შეისწავლიან.

საბიბლიოოთეკო საქმის ისტორია ორგანულად ერწყმის კულტურის ისტორიას, რომელიც სასოგადოების ისტორიის ორგანული ნაწილია. ეს არ ნიშნავს იმას, რომ საბიბლიოოთეკო საქმის ისტორია ისტორიულ მეცნიერებათა დისციპლინაა. უბრალოდ, ის ისტორიის სუბსიდარული /დაქვემდებარებული/ მეცნიერებაა, რომელსაც თავისი კვლევის საგანი გააჩნია, რაც მას დამოუკიდებელი მეცნიერების სტატუსს ანიჭებს.

საბიბლიოოთეკო საქმის ისტორიას კონტაქტები აქვს სოციოლოგიასთან, რამდენადაც მისი ინტერესების ფარგლებში შედის როგორც წარსულის, ისე თანამედროვე მკითხველის – ბიბლიოოთეკის მომხმარებლის, განვითარების პრობლემატიკა, მოსახლეობის მომსახურებისა და წიგნიერების მდგრმარეობის განვითარების საკითხები.

საბიბლიოოთეკო საქმის ისტორიას შეხების წერტილები პედაგოგიკის ისტორიასთანაც აქვს, რადგანაც საბიბლიოოთეკო საქმის სოციალური ასპექტები ვერ აისხება მასზე პედაგოგიური ზემოქმედების გარეშე, ამას გარდა, საბიბლიოოთეკო საქმის ისტორია გვერდს ვერ უვლის სხვადასხვა ეპოქის სასწავლებელთა საბიბლიოოთეკო საქმიანობას.

საბიბლიოოთეკო საქმის ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სტატისტიკას, მისი მეთოდებისა და საზოგადო სასტატისტიკის ცოდნას, ასევე აუცილებელია მისთვის სააარქივო საქმის თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება.

ამრიგად, საბიბლიოოთეკო საქმის ისტორია სოციალურ მეცნიერებათა საქმაოდ ფართო სპექტრს მოიცავს. მისი კავშირი ამ მეცნიერებათა სისტემებთან ხელს უწყობს საბიბლიოოთეკო საქმის ისტორიულ კვლევას, საგნის ღრმად წერტილებას და მის საფუძვლიანად შესწავლას.



2. პრეზენტაციის გიგანტური გადამდინარეთში

საქართველოს
მთავრობის

2.1. შემოწმობის გიგანტური გადამდინარეთში

შეამდინარეთში ყველაზე უძველესი წიგნსაცავები შემერების ქვეყანაში გახვდება. შემერებს ამჟამად ხატოვნად უწოდებენ „ხალხს, რომელმაც ისტორია დაიწყო“. მესოპოტამია, რომლის ტერიტორიაზეც შემერები ცხოვრობდნენ, იყო ბაბილონისა და სპარსეთის უძრეს მორის, ამჟამად გადამხმარ უდაბნოდ ქცეულ მიწაზე.

პირველი მსოფლიო ომის დროს აქ არქეოლიგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ იქნა ქალაქი ურუკი, რომელიც 3 ათასეული წლის განმავლობაში არსებობდა. ბევრი უჩვეულო ნივთი იქნა ნაპოენი, მაგრამ განსაკუთრებით ძვირფასი იყო წარწერებიანი თიხის „წიგნები“, რომლებიც თითქმის სრულ წარმოდგენას იძლევა შემერების ცხოვრებაზე. შემერთა ქალაქები ძირითადად მდინარე ევფრატის გაყოლებაზე ყოფილა განლაგებული.

აღმოჩენილი თიხის ფირფიტების სიუხვე მეტყველებს იმ დიდ წიგნიერ კულტურაზე, რომელიც შეამდინარეთში და, კერძოდ, შემერთა ქვეყნაში არსებობდა. შემერების რელიგიურ ცენტრში – ნიფურში გათხრების შედაგად აღმოჩენილია რამდენიმე ათასი თიხის ფირფიტა, რაც ადასტურებს, რომ აქ ერთ-ერთი უდიდესი წიგნსაცავი უნდა ყოფილიყო.

ნიფურის ტაძარში ათასობით დოკუმენტია აღმოჩენილი. მართალია, აქ ძირითადად ტაძრის შემოსავალ-გასაცლის საქმიან ნაწერებს ვხვდებით, შემოწირულებათა, მშენებლობის, ბაღების გაშენების, პირუტეების სკილვა – გასყიდვის და სხვა სამეურნეო ხასიათის ანგარიშებს, მაგრამ ამასთან ერთად აქ მეტად მდიდარი რელიგიური ლიტერატურის ქოლექცია ყოფილა. ნიფურის ტაძარში არქივი უფრო ყოფილა, კიდრე ბიბლიოთეკა /საცავი/ ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი უდიდეს სამსახურს უწევდა სწავლულებს. საქმიანი



დოკუმენტების გარდა, აქ თავმოყრილი იყო რელიგიური და სამეცნიერო განყოფილებები, რომლებიც მსურველუნივერსიტეტის დაქვეთით ლიტერატურულ ძეგლებს გადანუსხავდნენ. დაასწლეულთა განმავლობაში ტაძარი მრავალჯერ დაინგრა, მრავალჯერ აღადგინეს, გადააკეთეს, გააფართოეს, მაგრამ არ შეცვლილა „წიგნების“ მიმართ ფრთხილი და მზრუნველური დამოკიდებულება. წიფურის ტაძრის წიგნსაცავი-არქივი ოთხმოც თოახში ყოფილი განთავსებული და მისი ფართობი სამ ჰექტარს აღწევდა.

აქ დაცული ფირფიტების დიდმა ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე, რის წყალობითაც კაცობრიობამ ბევრი რამ გაიგო თითქმის პრეისტორიული სიძეველის შესახებ. შემერვები იმდენად ძეველი ხალხია, რომ ისინი თვით ასურებისა და ბაბილონელებისთვისაც კი უძველეს წარსულს მიეკუთხნებიან. ასურბანიფალი მათზე ისე ლაპარაკობს ძვ. წ. მეშვიდე საუკუნეში, -როგორც დიდი ხნის გარდასულ ადამიანებსუიგი წერს: „ჩემთვის დიდ სიხარულს წარმოადგენდა ლამაზი, მაგრამ გაუგებარი შემერული წარწერები“.

ერთ ხანს შემერთა დედაქალაქი იყო ური – დიდი კულტურის ცენტრი. გათხრების დროს აქ დიდი რაოდენობით აღმოჩნდა დაუწესებული თიხის ფირფიტები. ქალაქ ლაგაშა-ში 20 ათასამდე ასეთი „წიგნი“ იქნა აღმოჩნილი. ნაპოვნი კატალოგი მეტყველებს, რომ აქ უკვე ნამდვილი ბიბლიოთეკა არსებობდა. ქალაქ შერუპაპ-ში აღმოჩნილმა თიხის ფირფიტებმა საშუალება მოგვცეს შემდგარიყო „არქაული ლურსმნული დამწერლობის ნიმუშების სია“, ურ-ში ნანახი არქეოლოგიური მასალის მიხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ, როგორ ინახებოდა, საერთოდ, ბიბლიოთეკაში თიხის ფირფიტები. მას სპეციალურად დაწნულ კალათებში ათავსებდნენ, რომლებიც საიმედოდ იკვრებოდა, მათზე ამაგრებდნენ პატარა თიხის ფირფიტას წარწერით. მაგალითად, ცნობლია ასეთი წარწერა: „მუშების გაგზვნა“, „ბაღების შესახებ“ და სხვ. ეს დოკუმენტები კარისა და ტაძრის სამეურნეო საქმიანობას შეეხება, მაგრამ გვხ-



ვდება შრომები მათემატიკის, ისტორიის, ლიტერატურის, სოფლის მეურნეობის სფეროდან. ნაპოვნი იყო პატივურებული კალენდარი სოფლის მეურნეობის მუშაქებისათვის, ერთ-ერთი ფირფიტა წარმოადგენს ქალაქ ნიკიურის გეგმას, ნაპოვნია ასევე რეცეპტების ნუსხაც.

შემურულ ფირფიტებს შორის გვხვდება მითები, ანდა-ზები, იგავ-არაკები. გავრცელებული ყოფილა აქ პიმჩები სამშობლოზე, სიყვარულზე, ასევე სამგლოვიარო სიმღერები. საკულტო ტაძრებში დაცული იყო პიმჩები ღმერთებზე, ლეგენდები, ლოცვები, შელოცვები, მკითხაობა, წინასწარმეტყველება. გვხვდება წერილობითი ძეგლები გაურკვევლი რადაც ნიშნებით. ვარაუდობენ, რომ ისინი სანოტო მინაწერები უნდა ყოფილიყო.

ნაპოვნია კატალოგებიც. ცხადია, კარგად ორგანიზებული ბიბლიოთეკის გარეშე ასეთი რამ წარმოუდგენელია. ამოკითხელია ასეთი კატალოგის ორი ფრაგმენტი, რომლებიც სულ 87 ლიტერატურულ ნაწარმოებს შეიცავს.

როგორც ჩანს, შემერთა ქვეყანაში საქმიანდ განვითარებული ყოფილა წიგნის წარმოებისა და დაცვის საქმე. გადამწერები მუშაობდნენ მეფის კარზე და საკულტო დაწესებულებებში, იყო ცალკეული გადამწერთა ამქრებიც. სახლებს, სადაც წიგნები მზადდებოდა, „ფირფიტის სახლებს“ უწოდებდნენ.

2.2. ასურეთის ბიბლიოთეკები

ასურეთის დიდი მბრძანებელი ასურბანიფალი (მეფობდა ძე.წ. 669-633წ) განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა თავისი ქვეყნის კულტურული აღორძინების საქმეს. ფლობდა რა უზარმაზარ სამხედრო მანქანასა და ეკონომიკურ შესაძლებლობებს, საჭიროდ მიაჩნდა „უკვდავევო თავისი სახელი. თავს „დმერთის შეილად“ აცხადებდა და საკუთარ თავზე ლაპარაკის დროს განსაკუთრებით უსვამდა ხაზს თავის განსწავლულობას: „დავეუფლე ღმერთ ნაბუს სი-

ასურეთმა ასურბანიფალის დროს თითქმის ყველა მე-
ზობელი დაიმორჩილა. დაპყრობილი ქვეყნები მუდმივად
ჯანყდებოდნენ და ასურბანიფალის სიკვდილის შემდეგ
კიდეც დაამხეს ასურეთის დიდი იმპერია. ამან არსებული
კულტურის ნგრევაც გამოიწვია და ცხადია, დაზარალდა
ასურბანიფალის დიდებული წიგნსაცავიც, რომელიც სატახ-
ტო ქალაქ ნინევიაში განთავსებული იყო მეფის სასახლე-
ში.

მე-19 საუკ. შუაში აქ წარმოებულმა გათხრებმა ბევრ საიდუმლოს ახადეს ფარდა. აღმოჩნდა ბიბლიოთეკის ნანგრევები ათეულ ათასობით თიხის ფირფიტებით, რაც საშუალებას გვაძლევს ნათლად დავინახოთ, რაოდენ დიდი არქივი და ბიბლიოთეკა პქონია ასურეთის დიდ მმრბანებელს. აქ თავმოყრილი იყო სხვადასხვა დროის ასურული და ბაბილონური ტექსტები ლურსმული დამწერლობით. აღმოჩნდა როგორც ისტორიული, ისე რელიგიური, მაგიური, სამეცნიერო, აგრეთვე ლიტერატურული ნაწარმოებებიც, მათ შორის საყოველთაოდ ცნობილი მსოფლიო შედევრი – ეპოსი „გილგამეში“. აქ დაცული ყოფილა როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი ტექსტები. როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, განსწავლულ მეფეს დიდად უზრუნია ბიბლიოთეკის გამდიდრებისათვის. ასეთი კრცხლი ბიბლიოთეკის მოვლა-პატრონობა, ფონდების დაცვა და მათი გამოყენება უდავოდ კარგ თრგანიზაციას მოითხოვდა. თუ მივიღებთ მხედველობაში, დიდ მოცულობის, აქ დაცული წიგნები უდავოდ კარგ თრგანიზაციას მოითხოვდა. ისინი თიხის ფირფიტებს წარმოადგენდა, რომლებიც ხის ან თიხისაგა ყუთებში თავსდებოდა და ისე ინახებოდა, ადვილი წარმოსადგენია, რა დიდი ფართობი უნდა სჭერდა მას. ამ ფონდის ზუსტად გაწყობისა და აღნუსხვის გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა საჭირო დოკუმენტის პოვნა. მარტინიალური წყაროებით ზუსტად არ არსის დადას-



ტურებული, როგორი კატალოგებით სარგებლობდნენ ასურ-
ბანიფალის ბიბლიოთეკაში, მაგრამ ბიბლიოთშიც სამა-
გრევებში თავმოყრილი ფირფიტების გარჩევა-ანალიზი
მეცნიერებს აფიქრებინებს, აქ ფონდი სისტემატურად უნდა
ყოფილიყო განლაგებული და აღმართ კატალოგიც სისტემა-
ტური იქნებოდა, მაგრამ მნელი წარმოსადგენია, სისტემატი-
ზაციის როგორ სქემას იყენებდნენ. წიგნებზე მიმაგრებუ-
ლი იყო ფირფიტები, რომელზედაც ეწერა საწყისი სიტყვე-
ბი, აგრეთვე ოთახის დასახელება, რომელშიც „წიგნი“ ინახ-
ებოდა და თაროს ხომერი. თაროზეც მიმაგრებული იყო
ფირფიტა, რომელზედაც ეწერა ამ თაროზე მოთავსებული
„წიგნების“ დარგი. როგორც ჩანს, ეს იყო კ.წ. მიმაგრებითი
სისტემის ჩვენთვის უცნობი ვარიანტი.

ნინევიის ბიბლიოთეკას თავისი თეგიც პქონდა წარწერ-
ით: „ასურბანიფალის სასახლე, მეფეთ-მეფის, ასურეთის ქვეყ-
ნის მეფის, რომელსაც დმტრომა ნაბუმ და ქალღმერომა გალის-
ტამ მიანიჭეს მგრძნობიარე სმენა და მახვილი თვალი, რათა
მოიპოვოს ჩვენი ქვეყნის მწერალთა ქმნილებები“.

სავარაუდოა, რომ მიუხედავად სიმკაცრისა, რომლითაც
გარემოცული იყო ნინევიის ბიბლიოთეკის ფონდების
დაცვის საქმე, წიგნების დაკარგვა არ იყო გამორიცხული.
ამას ადასტურებს ერთ-ერთ ფირფიტაზე გამოკვეთილი
წარწერა: „ის ვინც გაბედავს წაიღოს ეს ფირფიტები, დავ,
დასაჯოს თავისი რისხევით აშურმა და ბელითმა, ხოლო
მისი და მთელი მისი შთამომავლობის სახელი ამ ქვეყანა-
ში სამუდამოდ იქნეს დავიწყებას მიცემული“.

ნინევიის ბიბლიოთეკის ფონდების სიუხვეზე მეტყველებს
როგორც ნანგრევებში აღმოჩენილი თიხის ფირფიტები, ისე
შემორჩენილი კატალოგების ფრაგმენტები. ეს კატალოგე-
ბი გასული საუკუნის ბოლოს დაიბეჭდა ლონდონში 5
ტომად. რაც შეეხება თვით ფირფიტებს, ისინი მთლიანად
გადაიზიდა და დაცულ იქნა ლონდონში. მათ შორის
„გილგამეშის“, კარგად შენახული კომპლექტიც.

შუამდინარეთში უდიდესი კულტურა შექმნა ბაბილონის სახელმწიფომ, რომელიც თავისი სიდიადით ბევრად უსწრებდა თავის უშუალო მეზობლებს – შუმერებს, ასურებს. აქადიელებს. იგი თავისი სამხედრო ძლიერების აღორძინების ხანაში კიდევ იპყრობდა მათ და ითვისებდა იმათ კულტურულ მემკვიდრეობას, ავითარებდა თავისას, რაც იწვევდა ხალხთა კულტურათა დაახლოება-შერწყმას, ზოგჯერ გაერთიანებასაც კი. სხვადასხვა დროს ხდებოდა პირიქითაც, როდესაც ბაბილონი იქცეოდა როგორც ფიზიკური, ისე კულტურული ანექსიის ობიექტად. ყოველივე ამან შეუწყო ხელი იმას, რომ დღეს მნელია შენიშნო შუამდინარეთის ხალხთა კულტურული განსხვავებულობა. მთელი ეს მხარე თითქმის ერთიანი ციკილიზაციის ბირთვს წარმოადგენდა.

ბაბილონში ძალიან ადრე განვითარდა დამწერლობა, ხელოსნობა, სოფლის მეურნეობა, მეცნიერების სხვადასხვა დარგები. ბაბილონის კულტურის შედევრს წარმოადგენს ძვ. წ. 2.100 წელს შექმნილი მეფეთა ცხოვრების წიგნი – „მეფეთა ნუსხა“, რომელშიც უმავლესი ხანის ამბებია გადმოცემული.

ბაბილონში, როგორც სხვა აქაურ ქვეყნებში, ტრადიციად იყო ქცეული ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეთა ცხოვრებისა და ქვეყნად მომხდარი ღირსშესანიშნავი მოვლენების დეტალური აღწერა. სასახლისა და ტაძრების მდივნები, რომელთაც სპეციალურად ამზადებდნენ, ყოველდღიურად აღწერდნენ საინტერესო ისტორიულ ამბებს და მათ საგანგებო საცავებში ინახავდნენ.

ბაბილონის ისტორია ადსაგხეა ბრძოლებით, დაპყრობებით, აღზევებითა და დაცემით. ისეთი ძლიერი სახელმწიფოს გვერდით ყოფნა, როგორიც ასურეთი იყო, საგრძნობლად განაპირობებდა მის ხვედრს. ძვ.წ. მე-8 საუკუნეში ასურეთის მბრძანებლის ტოვლათბილესერ მესამის დროს



ასურეთი იმდენად გაძლიერდა, რომ სიღლია ურავებულებების შემდეგ ში მისმა მემკვიდრეებმა განაგრძეს ბრძოლა ეგვიპტისა და ეთიოპიის დასაპყრობად და გააჩადეს ბრძოლა ქალდეებებთან ბაბილონის ხელში ჩასაგდებად. ბოლოს და ბოლოს, ბაბილონი-შუამდინარეთის უდიდესი კულტურის ქვეყანა – ასურეთის მონობაში აღმოჩნდა, ბაბილონი არ ცხრებოდა და მუდამ იბრძოდა თავისუფლებისათვის. ძვ.წ. 689 წელს ასურეთის მმრაბანებელმა სინაქერიბმა დაიპყრო ბაბილონი. ასურულ-ბაბილონური კულტურის უბრწყინვალესი ცენტრი – ქალაქი ბაბილონი კი მიწასთან გაასწორა. გახსნა ევფრატის რაბები და წყლით დატბორა ქალაქი. ქვეყანა გააპარტახეს, მაგრამ ბაბილონელთა სული ვერ გატეხეს. მათი მეთაურობით სისტემატურად იმართებოდა აჯანყებები ტირანის წინააღმდეგ. სინაქერიბის მემკვიდრეებმა შეარბილეს პოლიტიკა დაპყრობილი ქვეყნების მიმართ. განსაკუთრებული გავლენით, ამ მხრივ, ბაბილონი სარგებლობდა. ასურბანიივალი, რომელმაც უდიდესი სამხედრო წარმატებები მოიპოვა, დააშოშმინა რა ბაბილონელთა აჯანყება, ამ ქვეყანას შედარებით რბილად მოექიდა. როგორც ცნობილია, დიდადი ქონება, რომელიც მან ნადავლის სახით მოიპოვა, კულტურული აღმშენებლობისათვისაც გამოიყენა. მან დაანგრია მოძველებული ნაგებობები, ააშენა სახლები, გაიყვანა არხები, აღმართა ტაძრები, გააშენა ბაღები. მან თავის ირგვლივ შემოიკრიბა მოაზროვნე ადამიანები, პოეტები, მეცნიერები, სწავლულები. როგორც ცნობილია, იგი პირველი მეფე იყო ასურეთში, რომელიც დიდად განათლებულ ადამიანს წარმოადგენდა და რომელიც უდიდეს ბიბლიოთეკას ფლობდა ნინევიაში.

ძვ.წ. 626 წელს ბაბილონმა თავისუფლება მოიპოვა. მისმა ქავშირმა მიდიასთან საბოლოოდ მოსპო ასურეთის ბატონობა. ქვეყანამ შეძლო ნაწილობრივ მაინც აღედგინა თავისი დიდება. ბაბილონი ადრეც დიდი და ძლიერი ქვეყანა იყო. განსაკუთრებით კი ძვ.წ. მე-18 საუკუნეში მეფე ხამურაბის დროს (ძვ.წ. 17929-1750). ისტორიულად ცნო-



ბილია, რომ მასაც გააჩნდა ბიბლიოთეკა. ფაქტებისა და იმ პერიოდისთვის არსებული ცხოვრებისული ტრადიციების შესაბამისი გვაფიქრებინებს, რომ არ შეიძლებოდა დიდ მეფეს ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ არ შეიძლებოდა დიდ მეფეს ბიბლიოთეკა-საცავი არ ჰქონდა. ჩვენ დრომდე კარგად მოღწეული, მისი ხელით შედგენილი კანონთა კრებული ძველი აღმოსავლეთის საქანონმდებლო საქმიანობის უმნიშვნელოვანებს დოკუმენტს წარმოადგენს. როგორც ცნობილია, ხამურაბმა მთელი შუამდინარეთი დაიპყრო, უდიდესი სიმდიდრე დააგროვა, რამაც ხელი შეუწყო აქ კულტურის არნახულ აქავებას. ამ პერიოდს განეკუთვნება მრავალი ადმინისტრაციული და დიპლომატიური მიმოწერის საბუთები, საამშენებლო წარწერები, იურიდიული დოკუმენტები, რელიგიური სახიათის საბუთები და სხვ., რომელთა დაცვა, ცხადია, განსაკუთრებულ პირობებში უნდა მომხდარიყო, სავარაუდოა, რომ ხამურაბს მეტად მაღალორგანიზებული ბიბლიოთეკა-არქივი უნდა ჰქონოდა. ამ ქვეყანაში ბიბლიოთეკის არსებობის ფაქტზე არაერთი მოვლენა მიგვანიშნებს. უხვად ვხვდებით წერილობით ძეგლებსაც. მაგალითად, როგორც ცნობილია, ნაბუქოდონისორ მე-2 (ძვ.წ. 604-562) ძვ. წელთაღრიცხვით 597 წელს დაიპყრო და გააპარტახა ებრაელთა ცენტრი იურუსალიმი, დაანგრია ტაძარი, ათეულ ათასობით ებრაელი მონად წაასხა და სასტიკად აკრძალა იურუსალიმის წმინდა ტაძრის განახლება. მისი სიკვდილის შემდეგ სპარსეთის მეფე კიროს მე-2 (ძვ.წ. 558-530წწ.) ჯერ ასურეთი დაიპყრო, შემდეგ ბაბილონიც დაიმორჩილა და ებრაელებიც გაათავისუფლდა. მანვე აღუდგინა მათ ყოველგვარი უფლებები და ნება დართო განეხლებინათ თავიანი ტაძარი. ებრაელებმა მხოლოდ მეფე დარიოსის დროს (ძვ.წ. 522-486წწ.) მოახერხეს ტაძრის აღდგუნის დაწყება. მათმა მოქიშპეებმა „მდინარის გაღმელებმა“ – ისინი დარიოსთან დააბეჭდეს. დარიოსი დაინტერესდა ამ ამბით. მაშინ ებრაელებმა მისწერებს ხელისუფალთ: „ახლა თუ ინგებს მეფე, მოიძიონ სამეფო წიგნსაცავში, იქ ბაბილონში, ნამდვილად გასცა თუ არა კიროს მეფემ განკარგულება



ამ დვოის სახლის ასაშენებლად იქრუსალიმში, და გამოიყენებოდა ზავნონ მეფის გადაწყვეტილება ამ საქმის თაობაზე: მცდელობრიონის მეფემ გასცა განკარგულება და დაიწყეს ძებნა წიგნსაცავებში, სადაც განძეულობა ინახებოდა, იქ ბაბილონში იპოვეს ეკბატანაში, მიღის მხარის ციხე-ქალაქში, ერთი გრაგნილი, რომელზედაც ეწერა: ძეგლისწერა“. (ციტატი ამოდებულია „ბიბლიიდან“ – თბ., საქართველოს საპატიო-არქო, 1999, გვ. 411). ბიბლიის ეს ცნობა ნათლად გვიჩვენებს, რამდენად მოწესრიგებული იყო ამ დროს დოკუმენტების დაცვა, რამდენად მაღალი იყო მათი შენახვის კულტურა და ისიც, რომ ბიბლიოთეკა-საცავი, სახელმწიფო არქივი მიღიაშიც – მის დედაქალაქ ეკბატანაშიც არსებულა.

როგორც ვხედავთ, შეუამდინარეთში ბიბლიოთეკა-არქივები იშეიათობას არ წარმოადგენდა. სარწმუნოდ უნდა მივიწინოთ ის, რომ აქ ბიბლიოთეკები ყველა სახწავლებელს ექნებოდა, რომლებიც მრავლად იყო გახსნილი საკულტო დაწესებულებებთან. სასახლესა და ტაძრებში არსებულ ბიბლიოთეკებს „დაფების სახლებს“ უწოდებდნენ. ისიც უდავოა, რომ ამ ხანის ბიბლიოთეკებს საქმაოდ მაღალი დონის ორგანიზებულობა და შრომის კულტურა ახასიათებდა.

ახლობლობა, ენათა მონათე საობა, ეთნიკური სიახლოევე, მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობა, კოლონიურ-მეტროპოლიური ცხოვრების ხასიათი ხელს უწყობდა ერთიანი დიდი კულტურის შექმნას, რომელიც ცნობილია ბაბილონურ-ასურულ კულტურის სახელწოდებით. ამ კულტურას ერთობლივად ქმნიდნენ მესოპოტამიის მოსახლე ხალხები – შუმერები, ასურები, აქადიელები, ბაბილონელები და სხვანი, რომლებიც ათასწლეულთა მანძილზე ავითარებდნენ საბიბლიოთეკო-საარქივო საქმეს და მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლებს აარსებდნენ დიდი საცავების ხაზით.

2.4. ხეთების ბიბლიოთეკები

1907 წელს თურქეთში – ანკარიდან 145 კილომეტრის დაშორებით, გათხრების დროს 10 ათასზე მეტი თიხის ფირფიტა აღმოჩნდა ბაბილონური ლურსმული დამწერლობით. როგორც დადგინდა, ეს იყო ხეთების უძველესი დედაქალაქის ბიბლიოთეკის ნანგრევები. შემდეგში კიდევ აღმოჩნდა 6 ათასამდე „თიხის წიგნი“, ბევრი კიდევ მიუპალურელი დარჩა. როგორც ვარაუდობენ, ასურბანიფალის ბიბლიოთეკის შემდეგ ეს ბიბლიოთეკა არქაული ხანის ბიბლიოთეკებს შორის ყველაზე დიდი უნდა ყოფილიყო.

ხეთების სამეფო არსებობდა ქვ.წ. მეორე ათასწლეულში მცირე ასიაში, ანატოლიის ფარგლებში. ჯერ რამდენიმე დამოუკიდებელი ქალაქისაგან შეღდგებოდა. შემდეგ ქვ.წ. მე-18 საუკუნეში მეფე ლაბარნა პირველმა, რომელიც ხეთების მამამთავრად ითვლებოდას, შექლით ხეთების ეთნოსური ქვეყნის ხამოყალიბება. ქვ.წ. მეორე ათასეულის შუაში ხეთები მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალად ხამოყალიბდნენ. ლაბარნა პირველის დროს ხეთების სამეფოს საზღვრები ხმელთაშუა ზღვამდე ვრცელდებოდა. იგი ექიშებოდა ეგვიპტეება და ბაბილონება, გამუდმებით იბრძოდა თავისი მფლობელობის გაფართოებისათვის. განვითარების უმაღლეს დონეებაც მიაღწია, მაგრამ გამუდმებულმა ომებმა მას ძირი გამოუთხარეს და ქვ.წ. 1200 წელს დაეცა.

ხეთებს ძალიან დიდი და თვითმყოფადი კულტურა გააჩნდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი ორიგინალური არქიტექტურული ნაგებობები, მონუმენტური ხელოვნება, ბარელიეფები.

აქ თავმოყრილი ლურსმული წარწერებიდან თავდაპირელად მხოლოდ ბაბილონური იქნა ამოკითხული. რაც შეეხება ხეთურ ნაწერებს, ისინი შედარებით გვიან გაშიფრებეს. მათი უმრავლესობა შედგება რელიგიური ტექსტებისაგან – რიტუალები, პიმნები, ლოცვები, ღვთაებათა სიები, რელიგიური დღესასწაულების აღწერა, მოგვების ტა-



ქსტები, აგრეთვე ასტროლოგიური ლიტერატურაზე ჩამოადგინდა ბაბილონელებისაგან უსარგებლიათ მდიდარობის შემთხვევაში ტიკური ნაშრომებით. ბევრი იყო შრომა სამართალზე. ეხვედებით მდიდარ ისტორიულ მასალასაც. ამათგან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა „მურსილისის ანალები“, რომლის ავტორია მეფე მურსილისი. ერთ-ერთი უძველეს პირველყოფილ ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებს წარმოადგენს მეფე ხატუსილის ავტობიოგრაფია. აქაა აღმოჩენილი კილას ეპოსური ნაწარმოების – პოემის ნაწილი, რომელშიც მოცემულია ღმერთების ბრძოლა ხელისუფლებისათვის. 1500 წლით ადრეა ის დაწერილი, ვიდრე პომეროსის გუნიალური პოემა. წიგნებს შორის ვხვდებით ხეთების საყვარელი ქანრის – იუმორისტულ-სატირული ხასიათის პატარ-პატარა მოთხერობების ნიმუშებს, რომლებშიც უმეტესად დასცინიან ან აკრიტიკებენ უნიათო მოხელეებს. აქვე აღმოჩნდა აგრეთვე „გილგამეშის“ ნაწყვეტებიც.

ხეთური ლიტერატურისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია მეფეთა მატიანები, რომლებშიც მეფეები პირველ პირში ლაპარაკობენ თავიანთ სასახლო საქმეებზე აღსანიშნავია მითოლოგიური ლიტერატურაც. ხეთური მითები საფუძვლად დაედო მსოფლიოს მითოლოგიურ ლიტერატურასაც. ბოლო პერიოდის ხეთურ ლიტერატურას კარგად ეტყობა ბაბილონური კულტურის ზეგავლენა. საერთოდ, ხეთური ლიტერატურა ითვლება ერთგვარ შუალედურ რგოლად ბაბილონურ და ბერძნულ ლიტერატურათა შორის.

ხეთური დამწერლობის ნიმუშები გამოიჩინებიან იმით, რომ უმეტესად აქ ნაშრომის ავტორებია მოხსენებული.

უამრავ წერილობით ძეგლს შორის თითქმის ყველა დარგია წარმოდგენილი, რაც კი იმ დროს არსებობდა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აქ ეხვედებით ხეთი ბიბლიოთეკარებისა და არქივარიუსების მიერ შექმნილ მეთოდიკურ სისტემას დოკუმენტების დაცვის შესახებ. შესაძლებელია ეს იყოს ის ინსტრუქციები, რომლითაც ხეთების



ბიბლიოთეკა-არქივების მუშაკები სარგებლობდნენ.

შემორჩენილია აგრეთვე ბიბლიოთეკის კატალოგის საყურადღებოა, რომ კატალოგებში მითითებული იყო „დაკარგელი წიგნებიც“. ეს აშკარად მეტყველებს აქაური ბიბლიოთეკა-არქივების მაღალ დისციპლინაზე.

ხეთების დედაქალაქი სხვადასხვა დროს სხვადასხვა იყო, მაგრამ უმეტესად ამ როლს ხატუსასი ასრულებდა. ეს ქალაქი ძვ.წ. მე-13 საუკუნეში მოლიანად შთანთქა ხანძარმა. რატომდაც პოეტური ნაწარმოებები ხის ფირფიტებზე იწერებოდა (ალბათ იმიტომ, რომ სატარებლად მოხერხებული ყოფილიყო). ამიტომაც მათი უმრავლესობა ცეცხლმა იოლად გააჩადგურა, თიხის ფირფიტები კი გადარჩა, თუმცა იხინიც საგრძნობლად დაზიანდნენ.

წვენამდე მოღწეული ფირფიტების უმეტესობა ჯერ კიდევ არ არის ამოკითხული.

2.5. მზვიანური ბიბლიოთეკები

აფრიკის კონტინენტზე, ყველაზე ნაყოფიერ ადგილებში ნილოსის გასწვრივ სხვადასხვა ტომებისა და ხალხებისა-გან უძველესი დროიდან შეიქმნა დიდი გაერთიანება – ეგვიპტის სახელმწიფო. ეგვიპტე არქაული ეპოქის ტიპური მონათმფლობელური სახელმწიფო იყო. იგი მდიდრდებოდა ომებით მოპოვებული ნადავლითა და ხარკით, მონების ექსპლუატაციით, მეზობელი ხალხების ძარცვით, სხვადასხვას ქვეყნებთან აღებ-მიცემობითა და ვაჭრობით, მაგრამ მარცხიც ხშირი იყო.

ეგვიპტემ ბევრი რამ შეიძინა და შეითვისა ასურულ-ბაბილონური და ხეთური კულტურებიდან, მაგრამ შეძლო თავისი დამოუკიდებელი კულტურული სამყაროს შექმნა. მისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო გიგანტური ნაგებობებისათვის ქვის ლოდების გამოყენება, საფეხურებიანი პირამიდების აგება და სფინქსების გამოქანდაკება; ძვ.წ. მესამე ათასწლეულში შექმნილმა ამ ტრადიციამ,



რომელსაც საფუძველი ფარაონმა სწორუმ ჩაუყარა და უფრო მოიკიდა ფეხი მისი მემკვიდრეების ხელში, როგორც ბიც იყვნენ ხეოფსი (უდიდესი პირამიდის ამგები), ხეფრენი, მიკერინი.

ცენტრალური სამეფოს ხელისუფალს – ქურუმს განუსაზღვრელი უფლებები პქონდა. სახელმწიფო საქმაოდ რთული სტრუქტურისაგან შედგებოდა, რაც მრავალრიცხოვანი ბიუროკრატული აპარატის ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს.

ძვ.წ. VIII-IV საუკუნეებში ეგვიპტე მეზობელი ძლიერი სახელმწიფოების დაქვემდებარებაში მოექცა და მათ დიდ გავლენას განიცდიდა, თუმცა თვითონაც ახდენს თავისუბურ კულტურულ სეგავლენას დამყრობლებზე. ეგვიპტეში შეძლო ე.წ. „რესტავრაციის პერიოდში“ – ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში კვლავ აღორძინებულიყო და თავისი ახალი დედაქალაქი თებე აეყვავებინა. ეს პერიოდი მანამდე გრძელდებოდა, ვიდრე ძვ.წ. IV საუკუნის დასასრულიდან არ დაიწეო ეგვიპტის განვითარების ბერძნულ-რომაული ხანა, რომელიც ახალი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნის ბოლომდე გაგრძელდა.

ეგვიპტის ურთიერთობაში მაღალი კულტურის ქვეყნებთან ხელი შეუწყო აქ მეტად ორიგინალური, უდიდესი, პარადოქსებით აღსავსე დიადი კულტურის შექმნას. ეგვიპტისათვის დამახასიათებელია მეტად ორიგინალური, განუმეორებელი არქიტექტურა, სახვითი ხელოვნება, მეტად განვითარებული ქორეოგრაფიული კულტურა, მითოლოგია და რელიგია, საკულტო ატრიბუტიკა, ტექნიკა, მეცნიერება, სასოფლო-სამეურნეო ყოფა-ცხოვრება თავისი არხებითა და რაბებით, აქვადუკებითა და ქალაქებით, მეტად მდიდარი ლიტერატურით, ორიგინალური დამწერლობითა და წიგნის კულტურით.

დამწერლობის უძველეს ნიმუშებს წარმოადგენს პირამიდების კედლებზე შესრულებული იეროგლიფური ტაქსტები. ეს ტაქსტები შეიცავს მაგიურ ფორმულებს, შე-

ლოცვებს, პიმნებს, კოსმოგენური მითების ნაწყვეტებს. ეგვიპ-
ტის უძეველეს წერილობით ძეგლებში გვხვდება ორგორცხული
ფილოსოფიური, ისე სატრაფიალო ხასიათის ნაწარმოებები,
ისტორიული და დიდაქტიკური თხზულებები, წინასწარმეტ-
ყველება, რიტუალების ამსახველი ლიტერატურა, ხდაპრე-
ბი, მცირე ფორმის მოთხოვობები, მხატვრული ავტობიოგრაფიე-
ბი. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ეგვიპტეში
უმაღლეს დონეს მიაღწია თხრობითმა ჭანრმა – პროზაშ.
უფერებელივე ამან დიდი ზეგავლენა მოახდინა სხვა ქვეყნების
ლიტერატურაზე. ბევრი სიუჟეტი მრავალ ხალხთა ლიტ-
ერატურაშია გადასული.

ასეთი მდიდარი ლიტერატურა და მეცნიერული მემკვი-
დრეობა, უპირველეს ყოვლისა, თავს იყრიდა ეგვიპტის
უდიდეს წიგნსაცავებში.

დამწერლობისა და წიგნის კულტურის თვალსაზრისით
ეგვიპტე ერთ-ერთი უთვალსაჩინოები ქვეყანაა არქაული
პერიოდის ისტორიაში. წიგნი, დამწერლობა, წიგნის შესაქმ-
ნელი აქსესუარი აქ გაფეხიშებულიც კი იყო, იგი ლოთაჭ-
ბრივ ძალებს უკავშირდებოდა – მწერლობის ხელობის
მფარველად მთვარისა და სიბრძნის ღმერთი ტოტი ითვ-
ლებოდა. წიგნს „ადამიანის სულის ბალზამს“ უწოდებდ-
ნენ. ბიბლიოთეკა ყველა სასახლესა და ტაძარში იყო. უმე-
ტესად არქივთან იყო შეერთებული, სადაც თავს იყრიდა
ყოველგვარი წერილობითი დოკუმენტი.

ეგვიპტური წიგნი სხვადასხვა ზომისა და აღნაგობის
პაპირუსია, რომელიც გრაგნილს წარმოადგენს. მისთვის
დამახასიათებელია ავტორის ვინაობის აღნიშნვნა, ბევრ-
ჯერ გადამწერ-დამამზადებელიც მოიხსენიება. რაკი ძირი-
თადი მასალა აქ პაპირუსი იყო, ბიბლიოთეკებს „პაპირუ-
სის სახლებს“ უწოდებდნენ. სასულიერო ტაძრების ბიბ-
ლიოთეკებს – „მაცოცხლებელ სახლებს“. ზოგი ეგვიპტური
ბიბლიოთეკა ჩვენთვის კარგადაა ცნობილი. ამათგან აღ-
სანიშნავია რამზეს მე-2 ბიბლიოთეკა-არქივი, რომელიც ძვწ.
1300 წელსაა დაარსებული ეგვიპტის უძველეს დედაქალაქ-



ში – ფიბიაში. ამ ბიბლიოთეკაზე გამოკვეთილდება შემოქმედებულის წერა – „სულის აფთიაქი“. ქვირფასად მოჭედილ ქარს ამშვენებდა დმტრის ტოტისა და „წიგნის დიდი მბრძანებლის“ ქალღმერთ სემატ-ის გამოსახულებები. შიგნით კიდევ ორი ქანდაკება იდგა – სიტყვის დვთაება ხუ-სა და შემეცნების დვთაების სია-სი.

მეორე დიდი ბიბლიოთეკა იყო ელფუს ტაძარში, რომელიც დაახლოებით 100 წლის განმავლობაში შენდებოდა (ძვ.წ. III-II სს). მარჯვნივ და მარცხნივ აგებული იყო ორი საბლოცველო. ერთში მოთავსებული იყო წიგნსაცავი. აქ მეტად თავისებური კატალოგი ჰქონდათ – კედელზე ჩამოწერილი იყო სია, რომელსაც სათაურად ეწერა: „მრავალწიგნებიანი ყუთებისა და ცხოველთა ნალდი ტყავის დიდი გრაგნილების ნუსხა“. აღწერილია უმეტესად სასულიერო წიგნები და ასტრონომიული ნაშრომები.

ეგვიპტურ ბიბლიოთეკაში პაპირუსების უდიდეს მასაში ვხვდებით აგრეთვე ტყავის გრაგნილებს. ისინი შედარებით გვიანდელი ხანის უნდა იყოს.

წიგნები ინახებოდა ხის ყუთებში, თიხის სპეციალურ ქოთნებსა ან ფუტლარებში, უფრო გვიან, კედლებში და ტანებულ ნიშებში.

ბიბლიოთეკებს თავად ქურუმები განაგებდნენ. ისინი ნიშნავდნენ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს, თავიანთი მრავალრიცხოვანი თანაშემწებით.

ბიბლიოთეკით სარგებლობა მკაცრად იზღუდებოდა. მისი გამოყენება მხოლოდ წარჩინებულ პირებს შეეძლოთ.

ეგვიპტეში შეძლებული ოჯახის შეიღებისათვის საჭმაოდ ფართო სასკოლო ქსელი არსებობდა. მოსწავლეებისათვის წიგნის კითხვა სავალდებულოდ ითვლებოდა და მათთვის ყველა სასწავლებელში იყო გახსნილი პატარა ბიბლიოთეკა. ზოგან თვით ბიბლიოთეკები წარმოადგენდნენ სასწავლებლებს (მოსალოდნელია, ბიბლიოთეკებში ერთგვარი უმაღლესი ტიპის სასწავლებელიც ყოფილიყო). ასეთი სასწავლებელი იყო ისეთ დიდ ქალაქებში, როგორსაც



წარმოადგენდნენ. საისი, მემფისა, აბიდოსი, პერმოპოლიტი და კულტურული მემკოლისი.

ებვიპტის ბიბლიოთეკების წიგნად მასივებში ორიენტაციისათვის კატალოგებს იყენებდნენ. ამას მოწმობს ტელამარანის არქივ-საცავი. აქ გათხრების დროს აღმოაჩინეს წიგნის ქაშანურის ნიშანი. მასზე მოცემულია წიგნის დასახლება, წიგნის მფლობელისა და მისი მეუღლის ვინაობა. თელიან, რომ ეს არის სამეცო ბიბლიოთეკის ეტიკეტი. წიგნი განეკუთვნებოდა ამენხოტეპ მესამესა და მის ცოლს ტი-ს; ამავე ბიბლიოთეკის ნანგრევებში ნაპოვნია აღებასტრის სახურავი ყუთისათვის, რომელშიც პაპირუსის გრაფილებს ინახავდნენ. ამ სახურავზე იმავე მეფის სახელია მოცემული. ჩვენამდე ეგვიპტის ბიბლიოთეკების 6 კატალოგის ფრაგმენტებმა მოაღწიეს. ისინი საშუალებას იძლევა განისაზღვროს, რა ხასიათის წიგნები იყო დაცული ამ ქვეყნის ბიბლიოთეკებში – რელიგიური, ფარაონების ქადაგიდება. ჩვენამდე მოღწეულია ეგვიპტური მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებიც – მოთხოვობები, ავტობიოგრაფიული, ზღაპრები, შეგონებები.

საქმაოდ კარგი ბიბლიოთეკა არსებულა ხებეკას ტაძარში (ქალაქ ტებერაუნისს ში), სადაც აღმოჩენილია უმეტეს ნატიფ სიტყვაობითი ნიმუშები, შეგონებები, ზღაპრები, ასტროლოგიული ნაწარმოებები, ძლისპირულები, ასტროლოგიური და სხვა სამეცნიერო ტექსტები, აგრეთვე საქმიანი მიმოწერა და დოკუმენტები.

3.1. საბიბლიოთეპო სამშე მველბერძელი და
ელინიური კულტურის მვეხეაზი

სამოსის გამგებელმა პოლიქრატმა ძვ.წ. მე-6 საუკუნის დასაწყისში თავის ქარზე შემოიკრიბა მთელ ბერძნულ დიასპორაში განთქმული მეცნიერები, პოეტები, მუსიკოსები, მხატვრები, ექიმები. მის კარზე მოღვაწეობდნენ მსოფლიო მაშტაბის პოეტები ანაკრეონტი და პიბიკები. სამოსზე შეიქმნა ე.წ. ნატურფილოსოფიური სკოლა, რომელმაც „აკადემიის“ სახელწოდება მიიღო (მითიური გმირის – აკადემის სახელის მიხედვით). ასევე პქონდა გამართული პლატონის თავისი სკოლა, რომლის შესასვლელზე თვალსაჩინოდ ეწერა: „გეომეტრიის ცოდნის გარეშე ფეხო არავინ შემოდგანა“.

ელინურ სამყაროში უკვე დაწინაურდა ათენი. საბოლოოდ სწორედ ის იქცა პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრად. აღორძინების პერიოდში ბერძნული დიასპორის ქალაქები და ქვეყნები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გენიალური მოაზროვნეთა – ფილოსოფოსების, პოეტების, მუსიკოსების, ორატორების, დრამატურგების და სხვა დარგის უმნიშვნელოვანებს წარმომადგენლობა წარმოჩენაში. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ორიგინალური ცივილიზაციის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. წიგნი იქცა ცხოვრების აუცილებელ კომპონენტად. შეიქმნა პარეპატიკოსების სკოლა, შემდეგ ლიცეუმები და სხვა სახის სასწავლებლები, რაც ხელს უწყობდა ბიბლიოთეკების წარმოქმნას. ბიბლიოთეკა კულტურის უცილობელ ნაწილად იქცა. აღსანიშნავია, რომ თვით სიტყვა „ბიბილიოთეკა“ ბერძნულია.

ყველაზე აღრეული ბიბლიოთეკის არსებობა აქ დადასტურებულია ძვ.წ. მეორე ათასეულის პირველ ნახევარში. ცნობილია, რომ კრიტოსზე არსებულ სასახლეში თავმოყრილი იყო დიდი რაოდენობის თიხის ფირფიტები ხაზო-



ვანი დამწერლობით. ცნობილია აგრეთვე, რომ ბიბილიოოთება
არსებობდა პითაგორას ნატურფილოსოფიის სკოლაში (ძვ.წ. 260 წ.)
მე-6 ს).
წიგნსაცავების დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე
მეტყველებს ის, რომ ათენში სხვადასხვა მნიშვნელოვან
დაწესებულებებთან ერთად, ბიბლიოთეკას აკროპოლისში
შექმნდა მიჩნილი ადგილი.

როდესაც პარისტრატემ ათენში ძალაუფლება ჩაიგდო
ხელო (ძვ.წ. დაახლოებით 560 წ.), მან მდიდარი ბიბლიოთუ-
კა შექმნა, შემდეგ ქალაქს გადასცა. საგულისხმოა, რომ ეს
ბიბლიოთეკა იმ დროისათვის თითქმის ყოველგვარი სახის
„წიგნისაგან“ შედგებოდა: პაპირუსისა და ტყავის გრაგ-
ნილები, ხისა და თიხის ფირფიტები, ტყვიის ფილები და
სხვ. ამ ბიბლიოთეკისათვის სპეციალურად მუშაობდნენ
გადამწერი მონები. სპარსელების მეორე ლაშქრობის დროს
(480 წ. ძვ.წ.) ბიბლიოთეკა სპარსელების მიერ მოლიანად
იქნა გატაცებული, მაგრამ შემდეგ ელინური შტოს სელეუ-
კიდების დინასტიის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა დაუბრუ-
ნა იგი ათენს.

ათენის ერთ-ერთ უბანში, რომელსაც ლიკეუმი (ლიცე-
უმი) ეწოდებოდა, ლექციებს კითხულობდა სახელოვანი
ფილოსოფოსი არისტოტელე. როგორც ცნობილია, თავისი
დროისათვის მას ერთ-ერთი დიდი პირადი ბიბლიოთეკა
გააჩნდა, რომლის ფონდი 40 ათას ერთეულს შეადგენდა. ამ
ბიბლიოთეკის შექმნაში მას დიდად შეუწყო ხელი მისმა
მოწაფემ – მეფე ალექსანდრე მაკეონელმა. მისი მეშვეო-
ბით არისტოტელემ ბევრი ძვირფასი უცხოური წიგნი შეიძ-
ინა.

არისტოტელეს ერთ-ერთმა მოწაფემ ლიკეუმში ე.წ.
„მუსეიონი“ გახსნა (ძვ.წ. მე-3 ს. დასაწყისი) ეს ერთგვარი
სამეცნიერო-საგანმანათლებლო და კულტურის ცენტრი
ფაქტობრივად, აქადემიასა და ბიბლიოთეკას წარმოადგენ-
და. აქ იყო სალექციო დარბაზი, საცხოვრებელი ოთახები
მოსწავლეთა და მასწავლებლებისათვის, საკითხავი და სა-

დისკუსიონ-სასაუბრო დარბაზები, ირგვლივ გაშენებული იყო დასასვენებელი პარტი. აქ იყო მოთავსებული უწყვეტობის ლეს ბიბლიოთეკაც.

ამგვარი მუსეიონები შემდეგში ბევრგან გაიხსნა, რომლებშიც ბიბლიოთეკები ფუნქციონირებდნენ. თვით ეს მუსეიონი კი დაედო საფუძვლად შემდეგში აღექსანდრიაში აკადემიასა და მუსეიონს, რომელმაც მსოფლიოში დიდად გაითქვა სახელი. აღექსანდრია დაწინაურებას იწყებს მას შემდეგ, რაც ალექსანდრე მაკედონელის ერთიანი დიდი სახელმწიფო რამდენიმე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დაიშალა, როგორიც იყო ელინური ეგვიპტე, პერგამონი, მაკედონია და სხვ.

ერთგვარ ელინურ ცენტრად იქცა პტოლემეების დინასტიის მფლობელობაში მყოფი ეგვიპტის დედაქალაქი ალექსანდრია (ძვ.წ. მე-4 საუკ. დახაწყ. – ძვ.წ. პირველი საუკ. შეა წლები). ქალაქი დიდი, კეთილმოწყობილი, ლამაზად და მდიდრულად გაშენებული იყო. ოთხ დიდ ქვადრატად იყოფოდა. ერთ-ერთ მაღანაში პტოლემეების სასახლეები იყო გაშენებული, აგრეთვე თეატრი, მუსეიონი და ბიბლიოთეკა.

პტოლემე პირველი, როგორც კი გახდა ეგვიპტის მმრბანებელი, ალექსანდრიის აღორძინება-აუკავებას შეუდგა. შემოიკრიბა სწავლული და შემოქმედი აღმიანები. აქაური მუსეიონი, რომელიც გამოიჩინდა თავისი არქიტექტურით, აწარმოებდა არა მარტო მცნიერულ-კულტურულ საქმიანობას, არამედ ახდენდა დაკვირვებებს ცის კიდურზეც, რისტოისაც აგებულ იყო ობსერვატორია; ბოტანიკური ბაღი მცენარეული საფარის შესწავლის საქმეს ემსახურებოდა, ასევე, მაცნიერული კვლევის მიზნით იყო გაშენებული ზოოპარკი.

ასობით მოსწავლე სწავლობდა აქ, ასიოდე მასწავლებელი ასწავლიდა. მათ განკარგულებაში იყო იმ დროინდა ლი მსოფლიოს საუკეთესო ბიბლიოთეკა.

პტოლემეს მეცადინეობით ეს ბიბლიოთეკა კარგად იყო ორგანიზებული. მის შექმნასა და განვითარებაში აქტი-



ურად მონაწილეობდა ათენელი დემოტრიუს ფალერეველი რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ეგვიპტურ, ასურული, იუდე-კელური კულტურიდან საუკეთესო მიღწევების გადმოღებაში. მის მიერ შედგენილ ფონდში ბერძნულთან ერთად უხვად იყო წარმოდგენილი ეგვიპტურიდან თარგმნილი წიგნები. პტოლომე მეორე თითქმის მთელ მსოფლიოში აგზავნიდა ელჩებს საუკეთესო წიგნების შესაძენად. დემოტრიუსის რჩევით მან არისტოტელეს ბიბლიოთეკაც შეიძინა. ამ დროისათვის მუსეიონის ბიბლიოთეკაში 400 ათასამდე წიგნი იყო თავმოყრილი. ათი წლის შემდეგ ფონდმა 700 ათასს გადააჭარბა.

ალექსანდრიის ბიბლიოთეკისათვის, როგორადაც უწოდებდნენ მუსეიონის ბიბლიოთეკას, პტოლომე მესამე ყველას იძულებით ართმევდა წიგნებს, ვინც კი ქალაქის ნავსადგურში ჩამოვიდოდა, მხოლოდ ასლებს აბრუნებდა იმის დამოწმებით, რომ ისინი დედანს სავსებით ემთხვეოდნენ.

ერთ-ერთი დიდი შიმშილობის დროს ის იმ პირობით დათანხმდა ათენელებისათვის ხორბალი მიეკიდათ, თუკი ისინი ასლის გადასაღებად მას ესქილეს, ხოფოკლესა და კერიპიდეს ნაწარმოებთა ავტოგრაფიულ ტექსტებს ათხოვებდნენ. ათენელებმა გირაოდ უზარმაზარი თანხა მოითხოვეს, რაზედაც პტოლომე დათანხმდა, მაგრამ შემდეგ აღარ დაუბრუნა ორიგინალი ათენელებს, არჩია რა გირაოს დაკარგვა.

ალექსანდრიის ბიბლიოთეკის უმაღლესი აღორძინების პერიოდში აქ 800 ათასამდე წიგნი იყო თავმოყრილი მაშინ ცნობილ თითქმის ყველა ენაზე. აქ შეკრებილი იყო თითქმის ყველაფერი, რაც კი საუკეთესო იყო ელინურ ხანაში – ფილოსოფოსების, პოეტების, ტრაგიკოსების, ისტორიკოსების, ორატორების, მედიკოსების, გეოგრაფებისა და სხვათა შემოქმედება.

ალექსანდრიის ბიბლიოთეკის ფონდი დიდ, ფართო დარბაზში იყო თავმყორილი. გრაგნილები ინახებოდა კარადებში, რომლებშიც გერტიკალური თაროები იყო და-



ტანებული. ბიბლიოთეკის მომიჯნავე ოთახებში ფასდამზე ერები მოღვაწეობდნენ, აქვე ხარისხდებოდა წმინდაში და წესრიგში მოყავდათ ხმარებისაგან გაცვეთილი გრაგნილუბი.

ბიბლიოთეკაში გამოცდილი პირები მსახურობდნენ, ხელმძღვანელებს თანაშემწები ჰყავდათ. მთავარ ხელმძღვანელს თვით უმაღლესი ხელისუფალი ირჩევდა. ეს თანამდებობა განსაკუთრებულად საპატიოდ ითვლებოდა. სხვადასხვა დროს აღექსანდრიის ბიბლიოთეკას სათავეში საქვეყნოდ განთქმული ადამიანები ედგნენ. აქ მთავარ ბიბლიოთეკარებად მოღვაწეობდნენ: ცნობილი ფილოლოგი ზენოდოტე, სწავლული პოეტი აპოლონიოს როდოსელი, პოეტი-მეცნიერი კალიმაქე კვირინელი, მათემატიკოსი და გეოგრაფი ერატოსთენე, ფილოლოგი არისტოფანე ბიზანტიელი.

ამ ბიბლიოთეკის სახელი შორს იყო გავარდნილი. სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოდიოდნენ აქ მის სანახავად და სამუშაოდ. სხვადასხვა დროს ამ ბიბლიოთეკით უსარგვდლიათ: მათემატიკური მიმართულების მამამთავარს ევალიდეს, ტრიგონომეტრიის ფუძემდებელ პეარქეს, მრავალმხრივ სწავლულსა და მოაზროვნე არქიმედს, ასტრონომ არისტარქე სამოსელს, რომელიც ჯერ კიდევ ძვ. შე-3 საუკუნეში მივიდა დასკვნამდე, რომ დედამიწა მრგვალია, ასვა სამოსიდან იყო ცნობილი ასტრონომი კატონი, რომელიც არქიმედეს მიერ უდიდეს მეცნიერად არის წოდებული.

ათ საუკუნოვანი არსებობის პერიოდში ამ ბიბლიოთეკაში უდიდესი როლი ითამაშა ელინური კულტურის შექმნასა და განვითარებაში, საკაცობრიო მეცნიერებისათვის ხელშეწყობის საქმეში.

ბიბლიოთეკის უზარმაზარ ფონდში გარკვევისათვის შედგენილი იყო სისტემატური კატალოგი, რომლის ავტორად კალიმაქე გვავლინება. კალიმაქე აღექსანდრიის ბიბლიოთეკაში ათეული წლობით მოღვაწეობდა (ძვ.წ. 310-240წ.), ბევრიც გააკეთა მისთვის. იგი ნაყოფიური მწერა-



ლო იყო. 800-მდე ნაწარმოვები შექმნა ისტორიის, გრამატიკული ტიკის, პოეზიის და ხევა დარგებში. პოეზიაში ის ახალი, ქვ. ალექსანდრიის მიმართულების ფუძემდებულია, მაგრამ განსაკუთრებული სახელი მას სწორედ ბიბლიოთეკაში მოღვაწეობამ მოუტანა. მან შეადგინა ამ ბიბლიოთეკის სისტემატიკი კატალოგი – „ფირფიტები იმათხე, რომლებმაც სახელი გაითქვეს ცოდნის ყოველ დარგში და იმაზე, თუ რა დაწერეს მათ 120 წიგნში“, როგორადაც ამ კატალოგს იხსენიებს არისტოფანე ბიზანტიილი, ეს კატალოგი, გადმოცემით, 120 ნაწილად იყოფილა და მასში თავმოყრილი იყო განსაკუთრებით გამორჩეული წიგნები. მასში მოცემული იყო ცნობები არამარტო წიგნებზე, არამედ ავტორებზეც. თუ ავტორი არ იყო ცნობილი, კალიმაქე ცდილობდა დაედგინა მისი ვინაობა. ეს კატალოგი ითვლება წევნოვის ცნობილ პირველ ბიბლიოგრაფიულ შრომად და სწორედ ამიტომაც უწოდებდნენ კალიმაქეს „ბიბლიოგრაფიის მამას“.

თვით კატალოგს წევნამდე არ მოუდწევია. მის შესახებ დაწერილებით მოგვითხოვთ არისტოფანე თავის თხზულებაში „კალიმაქის ფირფიტების შესახებ“. მიუხედავად ამისა, გაუგებარი რჩება, თუ როგორ იყო მთელი ფონდი სისტემატიზირებული. ერთი კი ნათელია, მთელი ფონდი უნდა ყოფილიყო სისტემატიზირებული, რასაც გვაფიქრებინებს წიგნების განლაგების აქ მიღებული სისტემა, თუმცა დაწერილებით ამის გაგებაც არ ხერხდება. წიგნების განლაგების სისტემა ძალიან რთული უნდა ყოფილიყო, რაც სავარაუდო იმ მინაწერებით, რომლებიც წიგნებს უკეთდებოდა, მაგალითად, რომელ დარგს განკუთვნება იგი, რომელი ქვეყნიდან არის, სად და რომელი გადამწერის მიერ იყო დამზადებული და სხვ. ამგვარი მასალის მიხედვით ძალიან მნელია, შეუძლებელია, ერთიანი საკატალოგო სისტემის შესახებ შეგვექმნას წარმოდგენა. გარდა კალიმაქესი ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში 40 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა მისი მოწაფე ერართსოფენი კვირინელი (ძვ.წ. 275-195წწ.). ერასტოსფენი გეოგრაფიული მეცნიერების



ფუძემდებლად ითვლება. ტერმინი „გეოგრაფიული მდგრადი შემოღებულია. მან ერთ-ერთმა პირეელთაგანმა შეძლო დედამიწის გარეშემოწერილობის აზომვა. ისტორიკოს სტრაბონის გადმოცემით, ერატოსთენეს უამრავი წიგნის წაკითხვა მოუხდა მოგზაურობის შესახებ, რომლებიც აღექსანდრიის ბიბლიოთეკაში მოიპოვებოდა.

ბიბლიოთეკის მრავალრიცხოვან თანამშომელთა მოვალეობა მკვეთრად იყო განსაზღვრული — ზოგი ახალშემოსული ხელნაწერების აღრიცხვას ახდენდა, ზოგი მანუსკრიპტების გარჩევას, ზოგი ასლების გადაღებას, ზოგი ხაერთო წესრიგს მეოვალყურეობდა, ზოგი ხელნაწერთა დაცვა- მოვლაზე იყო პასუხისმგებელი და ა.შ.

ბიბლიოთეკაში ფართოდ იყო გამლილი ტექსტილო-
გიური საქმიანობა. აქ სპეციალურად იწვევდნენ ფილოლ-
ოგებს, რომლებსაც უვალებოდათ ერთმანეთისაგან გაერჩი-
ათ ორიგინალი და ასლი, გამოეცნოთ ფალსიფიცირება.
ისინი გულმოდგინედ მუშაობდნენ ტექსტების დაღვენაზე-
მაგალითად, აქ ზენოდოტე ხანგრძლივად მუშაობდა პომერ-
ოსის ყველაზე უტურეარი ტექსტის დადგენაზე.

უმველეს ბიბლიოთეკებს შორის ყველაზე დაწვრილებითი ცნობები ამ ბიბლიოთეკის შესახებ არსებობს. ცნობილია მისი დაარსების დრო, დამარსებლები, გრაგნილთა რაოდენობა, მათი შემადგენლობა, გამოჩენილ ბიბლიოთეკართა ვინაობა, ბევრი მეტობელის ვინაობაც კი, მაგრამ არის ისეთი ლეგენდებიც მასზე, რომელთა შესახებ უშეშარი საბუთები არ მოიპოვება. ასეთია, მაგალითად, ამ ბიბლიოთეკის დაწვის ამბავი იმ დროს, როცა ეგვიპტეში ყოფნის შემდეგ იულიუს კეისარმა ალექსანდრია დატოვა. სინამდგილეში ჩვენი წელთაღრიცხვით 47 წელს დაიწვა არა ბიბლიოთეკა, არამედ წიგნების ფუთები, რომლებიც რომში გასაგზავნად იყო გამზადებული. კეისარს ბიბლიოთეკის განადგურება კი არ ჰქონდა განჩრანახული, არამედ მისი დიდი ნაწილის რომში გადატანა. ასეა თუ ისე, ბიბლიოთეკამ დიდი ზარალი განიცადა, ხოლო კაცობრიობამ აუნაზღაურებელი დანაჯლისი.

საერთოდ, არაერთი ფაქტია ცნობილი, როცა რომაელი შევდართმთავრებს სხვა ქონებასთან ერთად ნადავჭულდებოთავა წიგნებიც მიჰქონდათ, ხშირად მთელ ბიბლიოთეკას ისაკუთრებდნენ. რომაელმა სარდალმა ლუქუსმა პონტის მეფის ბიბლიოთეკა წაიღო. რაც შეეხება იულიუს კეისარს, მას ალექსანდრიის ბიბლიოთეკის ხარჯზე სურდა რომში სახალხო ბიბლიოთეკა გაეხსნა. მას ისიც კი პქონდა მოფიქრებული, რომ ამ ბიბლიოთეკის მმართველად ცნობილი პოეტი-მოაზროვნე და მრავალმხრივ განვითარებული მეცნიერი ვარონი დაენიშნა, რომელიც დიდად ნაყოფიერი მოღვაწე იყო. მან 600-მდე ტომი დაწერა და მათ შორის სპეციალური ნაშრომი – „ბიბლიოთეკების შესახებ“.

ლეგენდადაა ქცეული არაბების შემოსევის დროს ალექსანდრიის ბიბლიოთეკის გადაწვის ამბავი. გადმოცემით, როცა არაბთა მხედართმთავარ ამრუს დაუთვალიერებია ალექსანდრიის ბიბლიოთეკა, უთქვამს: ეს წიგნები თუ ყურანს ეთანხმება, სულაც არ არის საჭირო, რაკი ყურანი არსებობს, ხოლო თუ არ ეთანხმება, მით უფრო არ შეიძლება მათი დატოვება და ამრიგად, ორივე შემთხვევაში უნდა დაიწვასო. ამ ფაქტის რაიმე დამადასტურებელი საბუთი არ არსებობს. მეცნიერთა ერთი ნაწილი ეერ იზიარებს ამ ეერსიას. არაბები არ გამოირჩეოდნენ დაპყრობილი ქვექნების მიმართ განსაკუთრებული სისახტით, თვით ამრუს განსწავლილი მხედართმთავარი იყო და მისგან ამგვარი რამ ძნელად წარმოსადგენია.

ისე კი, ეს ბიბლიოთეკა არაერთხელ დაზარალებულა, ვიდრე საბოლოოდ არ მოისპო. დიდი დარტყმა მიაყენა მას აგრეთვე პირველყოფილმა ქრისტიანებმაც, რომლებიც იქ დაცულ ლიტერატურას ერესად მიიჩნევდნენ.

ომებისა და ხანძრების შედეგად მუსეიონის ეს დიდი ბიბლიოთეკა ალექსანდრიაში თანდათან პარტახდება. 273 წ. ჩეენი წელთაღრიცხვით იგი მთლიანად განადგურდა. ხანძრის შემდეგ მხოლოდ ნაწილობრივ შეძლეს მისი აღდგენა, მაგრამ მან თავისი ძველი დიდება ვეღარ დაიბრუნა.



642 წელს არაბების მიერ ალექსანდრიის დაპყრობის დროის დამკარგებელი დერბი წარმოიშვა. მის სახელზე აგებულ იქნა შესანიშნავი ტაძარი თავისი ბიბლიოთეკით. ხატოვანად ამ ბიბლიოთეკას „ალექსანდრიის ბიბლიოთეკის ქალიშვილს“ უწოდებდნენ. მისი ფონდი 42.800 გრაგნილისაგან შედგებოდა, ძირითადად მუსეიონის ბიბლიოთეკის დუბლეტური ეგზემპლარებისაგან. ჩვენი თანამედროვე მეცნიერები თვლიან, რომ ამ ბიბლიოთეკას უნდა შერწყმოდა პერგამონის ბიბლიოთეკა, რომელიც რომის მხედართმთავარმა ანტონიუსმა ნადავლად წამოიდო და ეგვიპტის დედოფალს კლეოპატრას მიართვა საჩუქრად. ეს ბიბლიოთეკა ალექსანდრიის ბიბლიოთეკის დაქვეითების შემდეგ შემაიკვა მეცნიერების ცენტრად, მაგრამ 391 წელს ის მთლიანად გაანადგურეს ქრისტიანებმა, რომლებსაც ალექსანდრიის ფანატიკოსი პატრიარქი აქეზებდა.

ბერძნული ბიბლიოთეკიდან განსაკუთრებულად გამოიჩეოდა პერგამონის ბიბლიოთეკა. პერგამონი, როგორც დასმოუკიდებელი სახელმწიფო, მთელი 150 წლის განმავლობაში არსებობდა (ძვ.წ. 284-133წწ.). ამ ქვეყანამ განვითარების უმაღლეს დონეს ევმენ მეორის დროს მიაღწია (ძვ.წ. 197-158წწ.), რომელმაც სათავე დაუდო უდიდეს ბიბლიოთეკას ალექსანდრიის ბიბლიოთეკის შემდეგ. თავის დროს ამან ერთგვარი შერი გამოიწვია ეგვიპტელთა შორის. ეგვიპტელმა ხელისუფლებმა იმის გამო, რომ პერგამონის ბიბლიოთეკას მნიშვნელობით არ გაესწრო ალექსანდრიის ბიბლიოთეკისათვის, აკრძალეს ეგვიპტიდან იქ პაპირუსის შეტანა. ამან ბიძგი მისცა პერგამონში ტყავისაგან საწერი მასალის დამზადების საქმეს. მართლაც, აქ ისე დახელოვნდნენ ამ მიმართულებით, რომ შემდეგში საწერ ტყავს პერგამონის სახელსაც კი უკავშირებდნენ და სწორედ აქვდან მოდის კიდეც მისი დასახელება – „პერგამენტი“.



არქეოლოგიური გათხრების შედეგად თვალნათლად წარმოჩანა მით, აქ 200 ათასი ხელნაწერი ინახებოდა. წარმოდგენილი იყო თითქმის ყველა დარგი, მაგრამ განხსაუთრებით სამედიცინო ლიტერატურა ხარისხობდა. საერთოდ, პერგამონი სამედიცინო ცენტრს წარმოადგენდა. სწორედ აქ მოღვაწეობდა საყოველთაოდ განთქმული ექიმი გალენი.

ბიბლიოთეკას ორი სამკითხველო დარბაზი ჰქონდა – დიდი და მცირე, აქ არსებოდა მრავალი სამუშაო ოთახი გადამწერების, მთარგმნელების, წიგნების მცველებისათვის. გრაფიკილები ინახებოდა სპეციალურ ნიშებში, რომლებშიც კედრის ხისაგან დამზადებული თაროები იყო დატანებული. მიაჩნდათ, რომ კედარი ხელს უწყობდა წიგნების კარგად შენახვას.

ძვ.წ. მე-2 საუკუნეში ბიბლიოთეკაში მოქმედებდა გრამატიკოსთა სკოლა, რომელსაც კრატოს მილოსელი უძღვებოდა. სწორედ მას მიეწერება პერგამონის ბიბლიოთეკის კატალოგის შედგენა.

რომაელი მწერალი და ისტორიკოსი სვეტონიუსი (ახ. წ. 70-160წწ) ამტკიცებს, რომ კრატოს მილოსელის ხელშეწყობით მოხდა რომის იმპერიაში პირველი ბიბლიოთეკის დაარსება. შესაძლებელია, რომაელ ბიბლიოთეკარებსაც მან შეასწავლა კატალოგიზაცია.

პერგამონის ბიბლიოთეკას მაშინ გამოეთხარა ძირი, როდესაც მარქუს ანტონიუსმა ახ.წ. 31 წელს მისი საუკეთესო ფონდები ეგვიპტის დედოფალ პლეოპატრას მიუძღვნა. მართალია, მას შემდეგ არაერთხელ შეცვალენ მის აღორძინებას, მაგრამ ამას სათანადო უფასჩი არ მოჰყოლია.

ამ პროჭაში საკმაოდ კარგად ორგანიზებული, მდიდარი ბიბლიოთეკები იყო სხვა ცენტრებშიც – ანტიოქია, სირაკუზა, ეფესო და სხვა. გარდა ამისა, ბევრ სასწავლებელში იყო ბიბლიოთეკა. ამ მხრივ გამოირჩეოდა როდოსის გიმნაზიის ბიბლიოთეკა, რომლის კატალოგმა ჩვენამდე მოაღწია.

საბიბლიოთეკო საქმის ისტორიის მხედვების არეში



უნდა იყოს ამ ეპოქაში საკმაოდ გავრცელებული მომავალი ბიბლიოთეკები, იმდენად გავრცელებული იყო ისინი. დიდებულთა კარის ბიბლიოთეკების საქმიანობას უდიდესი კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა

მწვავე სოციალურმა მოვლენებმა – ომებმა, სახტიქმა ექსპლუატაციამ, აჯანყებებმა ბერძნული ქვეყნების დაჭვეოთება გამოიწვია, რამაც დასცა მეცნიერული და კულტურული შესაძლებლობები. დასუსტებული ცალკე გამდგარი სახელმწიფოები ადვილად ვარდებოდნენ მრისხანე მეზობლების ხელში, რომელთა შორის მაღა დაწინაურდა რომის იმპერია.

3.2. საბიბლიოთეკო სამშე რომაული კულტურის ძველებაზი

რომაული კულტურის ქვეყნებში საბიბლიოთეკო საქმის განვითარება თვისებრივად ახალ საფეხურზე მიმდინარეობდა, ვიდრე მსოფლიოს სხვა ცნობილ ქვეყნებში.

რომის გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნების არეალი საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავდა. იმპერიის არხებობის პერიოდში მრავალგზის შეიცვალა ქვეყნის სახე იმის მიხედვით, თუ რა პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებას აღწევდა იგი. იცვლებოდა როგორც სამხედრო-პოლიტიკური, ისე ეკონომიკურ-კულტურული პირობები. იმპერიის რომის ძლიერების ხანაში მთელი ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნები ემორჩილებოდა, მისი გავლენის საზღვრები კიდევ უფრო შორს მიდიოდა, მთელი ამ უზარმაზარი გაერთიანების ძალისხმევის ერთ ხელში თავმოყრა განუსაზღვრელ შესაძლებლობებს ქმნიდა არა მარტო სამხედრო ძლიერებისათვის, არამედ კულტურული აღორძინებისათვის.

მნელია შეაფასო ის დიდი ღვაწლი, რომელიც კაცობრიობას დასდო რომაულმა მეცნიერებამ, კულტურამ, ხელოვნებამ, ლიტერატურამ, რაც შეეხება კონკრეტულად საბიბლიოთეკო საქმეს, იგი აქ საკუთრივ დამოუკდიებელი



განით განვითარდა და ახალი თვისებები შეიძინა. ისეულებული დიდი ლიტერატურული მექანიდრეობა, უდიდესი რაოდენობის წერილობითი ძეგლები, რომლებმაც საუკუნეების განმავლობაში მოიყარა თავი რომის სახელმწიფოში, უპირველეს ყოვლის, ბიბლიოთეკებში იყრიდა თავს.

რომაული ბიბლიოთეკები, განსხვავებით მის წინამორბედებისაგან, შედარებით უფრო დემოკრატულია. აქ არ ვხვდებით ბიბლიოთეკა-გიგანტებს, როგორც შუამდინარეთსა და ეგვიპტეში, მაგრამ ისინი გამოირჩევიან სინატიფითა და სიმდიდრით. ამ ბიბლიოთეკებში უმტკსად ეტრატის გრაფილებია.

რომში გავრცელებულია პირადი ბიბლიოთეკებიც, რომლებიც აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს მაღალი არისტოკრატული ფენის ოჯახისათვის. რაც შეეხება სხვა ფენებს, ბიბლიოთეკებით მხოლოდ შედარებით წარჩინებული მოქალაქენი სარგებლობენ. მათვის ქალაქის ბიბლიოთეკები სავსებით მისაწვდომი იყო. როგორც ვიცით, ჯერ კიდევ იულიუს კეისარს ჰქონდა განსრახული სახალხო ბიბლიოთეკის გახსნა. ეს, მას რომ მოქერხებინა, ადგილი ექნებოდა მსოფლიოში პირველად სახალხო მოხმარების ბიბლიოთეკის გახსნის ფაქტს. როგორც ჩანს, სახალხო (საჯარო) ბიბლიოთეკის შექმნის იდეა რომში უკვე მომწიფებული იყო. მთელ სახელმწიფოში წიგნება საქმაოდ დიდი გავრცელება პეოვა. გაიხსნა ათობით დიდი წიგნდამამზადებელი სახელოსნო, სადაც მიმდინარეობდა წიგნების გადაწერა. იხსნება პატარ-პატარა სავაჭროები, რომლებშიც ანტიკური ქვეყნების თითქმის ყველა წიგნის შეძენა შეიძლებოდა.

პირველი საჯარო ბიბლიოთეკა რომში დააარსა აზინიუს პლინიუსმა ჩვენი წელთაღრიცხვის 39 წელს. ეს თარიღი საგულისხმოა იმათ, რომ მსოფლიოში პირველად გაიხსნა სახალხო მოხმარების ბიბლიოთეკა. ეს ტრადიცია რომში თანდათან ძალას იქრებდა, მეოთხე საუკუნის დასაწყისისათვის რომის სახელმწიფოში 30-მდე საქმაოდ დიდი სა-



ჯარო ბიბლიოთეკა იყო. ყველაზე დიდი და გამორჩეულებული ბიბლიოთეკა ცენარის ტაძართან არსებობდა.

საჯარო ბიბლიოთეკები მოქმედებდნენ აგრეთვე რომს დაქვემდებარებულ ქალაქებშიც. მმართველები არ ერიდებოდნენ ხარჯებს ძვირფასი ხელნაწერების შეძენისათვის. ბიბლიოთეკაში ისინი თავიანთი ავტორიტეტისა და სიძლიერის გამოხატულებას ხედავდნენ.

ერთ თვისებრივად ახალ მოვლენას რომში საფუძველი ჩაეყარა – იქმნება საიმპერიო ბიბლიოთეკების ცენტრალიზებული მმართველობა, რომელსაც სათავეში საქციალურად დანიშნული მოხელე – პროკურატორი უდგას. მას საქმაოდ დიდი ხელფასი ენიშნება და უაღრესად განათლებული და გავლენიანი წრიდან ირჩევენ. დამხმარებელს სპეციალურად ამზადებდნენ ამისათვის. მეორე საუკუნის დასასრულსა და მესამე საუკუნის დასაწყისში სამეურნეო საქმიანობის ზედამხედველების თანამდებობაც იყო შემოღებული. შეიქმნა სპეციალური სამმართველოც, რომელიც ხლისუფლების ერთიან ცენტრს წარმოადგენდა და ბიბლიოთეკის დამხმარე პერსონალის საქმიანობას განაგებდა. ამგვარად, ძე უკვე საქმე გვაქვს ერთიანი საბიბლიოთეკო სისტემის (ქსელის) შექმნის საწყისებთან.

ვარონის წიგნში მოცემული მეთოდიკურ დამუშავებათა და რომაელი ინჟინრისა და არქიტექტორ ვიტრუვიუსის (ძვ. წ. პირველი საუკა) თხზულებათა წყალობით, ნათელი წარმოდგენა შეიძლება ვიქონიოთ, თუ რას წარმოადგენდა რომაული ბიბლიოთეკები. ისინი უმეტესად ძვირფასად გაფორმებულ პორტალებში – დახურულ გალერეებში თავსდებოდა. ბიბლიოთეკებს ხსნიდნენ თერმოსების (აბანოები) ან ტაძრისა თუ სასახლის ეზოებში, მარმარილოს სვეტებიან მასიურ ნაგებობებში. ბიბლიოთეკების ფასადები აღმოსავლეთით იყო მიპყრობილი. ვიტრუვიუსი თვლიდა, რომ ეს მოსახერხებელია იმდენად, რამდენადაც წიგნებს უმეტესად დიდით კითხულობენ და მზის ხსივების სიუხვე ხელს უწყობს ადამიანს კითხვაში; მეორეც – ამით გზა

ეჭრებოდა ფონდისაკენ მიმავალ წიგნისათვის მავნე ჩრდილოების ქარებს. სახანძრო უშიშროების მიზნით, საცნობო საესებით იზოლირებული იყო სხვა სათავსოებისაგან.

სამკითხველო დარბაზი, ჩვეულებრივ, ოთკუთხა იყო, ზოგჯერ ოვალური ან მომრგვალებული. მას ამკობდნენ ღმერთებისა და გამოჩენილი ადამიანების ქანდაკებებით, რომლებიც კედლებში დატანებულ ნიშებში იყო მოთავსებული, რათა მკითხველთა ყურადღება არ გაეფანტა. იატაკი მოპირკეთებული იყო თაღის ფერის მარმარილოთი, ჰერი და კედლები არ იყო მოჩუქურთმებული და ოქროვარაყით დაფერილი, რათა ზედმეტ სიჭრელეს ხელი არ შეეშალა გულისყურის მოკრებისათვის.

წიგნის კარადებში თაროები გრაგნილებისათვის ვერტიკალური იყო, კოდექსური წიგნებისათვის – პორიზონტალური. ასეთ თაროებზე წიგნები ვერტიკალურად კი არ ეწყო, როგორც ამჟამადაა მიღებული, არამედ ერთიერთ-მანეთზე შტაბელებად.

ბიბლიოთეკებს თავიანთი კატალოგები ჰქონდათ.

რომში ჩაეყარა საფუძველი დარგობრივ (საეციალურ) ბიბლიოთეკებს. პირველად მსოფლიოში განხდა ბიბლიოთეკები, რომელთა ფონდები რომელიმე ერთი დარგის ლიტერატურისაგან შედგებოდა ან რაიმე ერთი ნიშნის მიხედვით იყო პროფილირებული. ასე, მაგალითად, რომელიმე ერთი საჯარო ბიბლიოთეკა შედგებოდა უკვე გარდაცვლილი ლათინურენოვანი მწერლების ნაწარმოებებისაგან, მეორე – მთლიანად გრამატიკული ტრაქტატებისაგან და ა.შ.

მკითხველები – პოეტები, სწავლულები, მოხელეები, ცნობილი, გავლენიანი და მდიდარი ადამიანები სახლში წიგნების წაღებას დარბაზებში მუშაობას ამჯობინებდნენ. ბევრი წარჩინებული ადამიანი, რომელსაც საუკეთესო ბიბლიოთეკა ჰქონდა შინ, ხშირად სიამოვნებით მუშაობდა საჯარო ბიბლიოთეკაში. ამით ის ერთგვარად კავშირს ამჟარებდა საზოგადოებასთან და ინტელექტუალურ გარემოსთან ურთ-



იერთობის მოთხოვნილებას იქმაყოფილებდა.

რომის იმპერია განთქმულია უბადლო პირდღულობრივი ლიონთვეკებით. წარჩინებულთა ოჯახებში წიგნების შეგროვება და თავმოყრა მოდადაც კი იყო ქცეული. ზოგჯერ საქმაოდ კარგი ბიბლიოთეკები ჰქონდათ პატრიციებს, მაგრამ ისინი არ კითხულობდნენ წიგნებს. ფილოსფოსი სენეკა ამათრახებებს მათ და უწოდებს „ვირებს, რომლებიც ლირას უსმენენ“.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ რომში სათანადო ყერადღება დაეთმო ბიბლიოთეკის მუშაობის მეთოდიკურ საქითხებს. იყო სპეციალური დამხმარე სახელმძღვანელოებიც ბიბლიოთეკის დაკომპლექტების შესახებ. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა სწავლულის პერენიუს ფილონის 12-ნაწილიანი თხზულება „წიგნების შექნისა და შეცვების შესახებ“, აგრეთვე გრამატიკოს ტელეფოს პერგამონელის ნაშრომი „სამი წიგნი იმ წიგნების შესახებ, რომლებშიც მითითებულია, რომელი წიგნებია შექნის ლირსი“.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, რომის იმპერიაში პირველად შეიქმნა მცირე, მაგრამ მკითხველთა დიდი ნაწილი სათვის ხელმისაწვდომი ბიბლიოთეკების შექმნის ტრადიცია – პირველი სახალხო ბიბლიოთეკები, მათი ხელმძღვანელობისა და მართვის ერთიანი ხისტემის შემოღების ცდა, ბიბლიოთეკების საქმიანობის მეცნიერულად გააზრების ტენდენციები. ამით რომის სახელმწიფოში, საბიბლიოთურო საქმის განვითარების თვალსაზრისით, ძალიან ბევრი რამ გაკეთდა, რამაც მთლიანად განაპირობა ის ახალი მოფლენები, რომლებმაც თვისებრივად შეცვალეს საბიბლიოთურო საქმე მისი განვითარების მომდევნო ეტაპზე.

ახალიზი გვიჩვენებს, რომ მონათმფლობელობის სამყაროში საბიბლიოთეკო საქმე საგრძნობლად იყო განვითარებული დრო და გამის შესაფერისად. ანტიკური ხანა მის დასახრულს მოასწავებდა; სწორედ ამ ხანაში ჩაფარა საფუძველი ახალ სოციალურ ურთიერთობათა პირობებში საბიბლიოთეკო საქმის ისტორიაში ახალი გპოქის დასაწყისს.

4. აღრეული შუა საუკუნეების პიგლიორთეპები (V-XI სს.)



4.1. შორეული აღმოსავლეთის ძველების პიგლიორთეპები

საბიბლიოთეკო საქმიანობა ფეოდალიზმის პირობებში უმეტესად სატაძრო საქმიანობას უკავშირდება. ეს ადრეული ფეოდალიზმის ხანაში ყველაზე მკვეთრად ვლინდება. საბიბლიოთეკო საქმე მჭიდროდაა დაკავშირებული ხასულიორო მოღვაწეობასთან. ამ მოვლენისათვის არც დიდი ჩინების სახელმწიფოს აუკლია გვერდი. აქ ფეოდალიზმის დაქვიდრება ბუდისმის შემოდებას ემთხვევა. ეს რელიგია იმდენად გაძლიერდა, რომ სასულიერო ელიტა ხელისუფლების თანატოლ ძალად მოგვევლინა. მე-6 საუკუნისათვის ჩინებში 50 ათას ბუდისტურ მონასტერს ითვლიდნენ, რომლებშიც ორ მილიონზე მეტი სასულიერო პირი მოღვაწეობდა. მთელ ქვეყანაში ფართოდ გავრცელდა სამონასტრო ბიბლიოთეკები. მათი ფონდის ძირითად ბირთვს ბუდისტური ლიტერატურა შეადგენდა, მაგრამ ამავე დროს იყო ნაშრომები მათემატიკის, მედიცინის, ასტრონომიის სფეროდანაც. დამახასიათებელია ჩინური იეროგლიფების სახელმძღვანელოების სიჭარბე.

ჩინური ბიბლიოთეკების საერთო საქმიანობა ბევრად არაფრით გამოირჩეოდა ამავე ეპოქის ხევა ქვეყნების ბიბლიოთეკების საქმიანობისაგან, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ფონდის მასალის თავისებურებას. ადრეული შუასაუკუნეობრივი ბიბლიოთეკების მსგავსება ხევადასხვა ქვეყანაში თვალში საცემი მოვლენაა. ეტყობა, უძველესი ბიბლიოთეკების ტრადიციების ზეგავლენა და საქმის განვითარების კანონზომიერებანი იმდენად მახლობელი იყო, რაიმე დიდი განსხვავების წარმოჩენას არ შეიძლება ჰქონდა ადგილი.

ჩინური ბიბლიოთეკები იმითაა დამახასიათებელი, რომ



აქ ეხვდებით როგორც ეტრატის, ისე ქაღალდის მუნიციპალიტეტის რომლებიც პირველად ჩინელებმა დაამზადეს.

შემორჩენილია რამდენიმე ბიბლიოთეკის ფონდების ნუსხები. მათში მოცემულია ცნობები ავტორისა თუ მთარგმნელის შესახებ, სათაური, დუბლიკატების რაოდენობა. წიგნებს პქონდა შიფრი, რომელიც ყოველი დაცვის ერთეულს ეძლეოდა. დაცვის ერთეულად ითვლებოდა ერთი შეკვრა ან 10 გრაგნილის ერთობლიობა. შრიფტი წარმოადგენდა თაროზე წიგნის რიგით ნომერს, რომელიც მიწერილი იყო შეკვრაზე მიმაგრებულ იარლიფზე ან გრაგნილის გარეკანზე.

დგებოდა დაკარგული წიგნების სიებიც, იმის აღნიშვნით, თუ რა ფიზიკურ მდგომარეობაში იყო ისინი. სპეციალური პირები საგანგებოდ მუშაობდნენ დაკარგული წიგნების აღდგენაზე.

ბიბლიოთეკის შევსება წიგნების გადაწერის ხარჯზე ხდებოდა, აგრეთვე ფონდი მდიდრდებოდა შემოწირულებულით, ერთი მონასტრიდან მეორეში ხელნაწერთა გადაცემით და სხვა. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული წყარო მაინც წიგნსავაჭროები იყო. სიანგოს მონასტერში მოქმედებდა საყოველთაოდ ცნობილი წიგნის დიდი ბაზარი.

ჩინეთში ამ პერიოდისათვის საქმაოდ მდიდრული სასახლის ბიბლიოთეკები არსებობს, რომლებიც მკითხველთა მომსახურების გარდა წიგნების გადაწერასაც ეწევიან, ადგენენ ტექსტებს, მუშაობენ ძველი ქლასიკოსი მწერლების ნაშრომთა გამომზეურებაზე. ვინც ბიბლიოთეკას საინტერესო და სასარგებლო წიგნს მოუპოვებდა, აბრეშუმით ჯილდოვდებოდა.

განსაკუთრებულ ინტერესს ძველი მწერლებისადმი იჩინდნენ სუისა და ტანიის დინასტიის იმპერატორები. ამიტომაც ამ მხარის ბიბლიოთეკები ფონდების სიმდიდრით გამოირჩეოდა. წიგნებს განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდაბოდნენ, სპეციალისტები თავაუდებლად მუშაობდნენ ცუდად შემონახული გრაგნილების რესტავრაცია-შეკეთებაზე.

აქ მსოფლიოში პირველად შემოიდეს წიგნების ქსილოგრაფიული ბეჭდვა: მე-8 საუკუნისათვის უკვე ჩვენი ლექტორი მოვლენად იქცა ქსილოგრაფიულიად დაბეჭდილი ქაღალდის წიგნი. ასეთი ბეჭდვა ერთიორად აიაფებდა წიგნს და შედარებით ხელმოკლე მკითხველებისათვისაც ხელმისაწვდომს ხდიდა.

ჩინური წიგნები გაპქონდათ კორეასა და იაპონიაში. მე-7 საუკუნისათვის განსაკუთრებით გაძლიერდა კავშირები იაპონიასა და ჩინეთს შორის. მე-9 საუკუნემდე – ვიდრე იაპონიაში მარცვლოვან დამწერლობას შემოიღებდნენ, საჭმის წარმოება ჩინურ ენაზე მიმდინარეობდა. იაპონია ჩინეთში სტუდენტებსა და სამდვდელო პირებს ცოდნის შესაძენად აგზავნიდა. იაპონიის ბიძლიოთებებში პირველ ხანებში ჩინური ბუდისტური წიგნები დომინირებდა. აქ მკითხველებად ძირითადად მეფის კარის მსახურები და სახულიერო პირები ითვლებოდნენ. ჩინური წიგნი მთელი შორეული აღმოსავლეთის და ახლომდებარე ოკეანეთის ფარგლებს დაეუფლა და წარმმართველი პოზიციები დაიჭირა.

ჩინური ბუდისტური წიგნი მრავლად გავრცელდა პაგანის სახელმწიფოშიც, რომელიც შეა საუკუნეების დასაწყისში განსაკუთრებით გაძლიერდა. პაგანა, როგორც ქალაქი, მე-10 საუკუნეში გაშენდა მდინარე ირავადიზე. იგი ორი საუკუნის განმავლობაში იყო ძლიერი სახელმწიფო პაგანის დედაქალაქი. სწორედ აქედან იწყება თანამედროვე ბირმის ისტორია. მეფე ანინუდამ (1044-1077) შეძლო ბირმის მიწების გაერთიანება ერთ სახელმწიფოდ, რამაც ხელი შეუწყო ამ ქვეყნის კულტურულ განვითარებას. შემოღებულ იქნა ბუდიზმი, რამაც ბიძგი მისცა აქ ჩინური წიგნის გავრცელებას. ანინუდამ დალაშქრა მეზობელი ქვეყნები და იქიდან იმდენი წიგნი წამოიღო, რომ ისინი 5 სპილოს პქონდა აკიდებული. დედაქალაქში სპეციალურად ააშენა შენობა – „პიტაკა-ტაკი“ – წმინდა ბიძლიოთებები. იგი ორიგინალურ ნაგებობას წარმოადგენდა, რომლის თაღი იარუსების სახით თანდათან კიტროვდებოდა და 18 მეტრს აღწევდა. ცენტრში

დერეფნით გარშემორტყმული დარბაზი იყო მოთავსებული ეს ბიბლიოთეკა დიდხანს მოქმედებდა. იგი ერთ-ერთ წევნის ლესი საბიბლიოთეკო ნაგებობაა, რომელმაც ჩვენამდე სრულყოფილად მოაღწია და კარგად არის შემონახული.

ანინუდას დროს შეიქმნა ბირმული დამწერლობა, განნდა წიგნები ეროვნულ ენაზე. საწერ მასალად გამოიყენებოდა პალმის ფოთლები, იშვიათად – ქაღალდი. ამგვარი სუსტი მასალის დიდხანს დაცეა შეუძლებელი იყო, რის გამოც, აღნიშნული ბიბლიოთეკის ფონდიდანაც დღემდე თითქმის აღარაფერია შემორჩენილი. მხოლოდ კედლებსა და ქაბზე წაწერილი ტექსტები იძლევა საშუალებას, ზოგიერთ ისტორიულ მოვლენას გავეცნოთ. საბედნიეროდ, შემორჩა მეფეთა ქრონიკები, რომლებსაც მუ-11 საუკუნიდან ადგენდნენ მეფის კარზე.

საუკეთესო ბიბლიოთეკა ყოფილა ბირმაში აგრეთვე გარვანის ტბის პირას, მაგრამ მონალების შემოსუების დროს 1277 წელს განადგურებულა.

ტაის იმპერიისაგან თავის დაღწევის შემდეგ (მუ-10 ს), ვითარდება ვიეტნამური ქულტურაც. მთავარ ბიბლიოთეკას აქ წარმოადგენს დაიხანგის წიგნსაცავი, რომელ შიც ხდებოდა წიგნების გადაწერაც, შემდეგ მათ მთელ ქვეყანაში აერცელებდნენ. 1070 წელს ჰანოიში საფუძველი ხაეყარა ლიტერატურის ტაძარს. თავდაპირველად ის იყო სალოცავი ადგილი და წარჩინებულთა შეილების სკოლა, წიგნების ქსილოგრაფიულად ბეჭდვის ცენტრი, ბეჭდური ხის ფირფიტების საცავი; შემდეგში მასთან შეიქმნა დიდი ბიბლიოთეკა. მისი მკითხველები სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები იყვნენ. 1464 წ. მეფის ბრძანებით, ამგვარი ლიტერატურის ტაძრების შენება პროვინციებშიც დაიწყეს. მათ ფონდებში ვხვდებით არა მარტო სასულიჯრო ლიტერატურას, არამედ სამუცნიეროსაც, ასევე ისტორიულ შრომებს, პოეტურ ქმნილებებს და ფოლკლორულ კრებულებს.

მუ-12 საუკუნეში მონალების შემოსუების შემდეგ კულ-



ტურული აღმშენებლობა დიდი ხნით შეფერხდა როგორც მეცნიერებების ჩინოვაში, ისე პაგანასა და სხვა, ირგვლივ მყოფ პატარ-პატარა ქვეყნებში. რდვევა განიცადა იაპონიამაც, სადაც მოიშალა ცენტრალური მმართველობა და ქვეყანა სხვა-დასხვა პროვინციათა ურთიერთბრძოლებმა მოიცვა.

4.2. ბიზანტიური ბიბლიოთეკები

რომის იმპერიის ორად გაყოფის შემდეგ (395 წ) ბიზანტიის სახელმწიფოში აღმოსავლეთის პროვინციების გაერთიანებამ და დასავლეთის პროვინციების დაშლამ სავსებით შეცვალა პოლიტიკური ვითარება ამ რეგიონში. დამთავრდა ანტიკური ეპოქა და საფუძველი დაედო ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

ბიზანტიამ შეძლო შეენარჩუნებინა ელინური კულტურის ძირითადი მიღწევები, ბერძენი ხალხის მრავლსაუკუნოვანება ურთიერთობამ ახლო აღმოსავლეთის განვითარებულ ქვეყნებთან, მხოლოდ ასპარეზზე ბიზანტიის დაწინაურებას შეუწყო ხელი.

ახალი ქრისტიანული იდეების გათვალისწინებით ანტიკური ეპოქის სულიერი ფასეულობათა გადამუშვების საფუძველზე, იშვა შუასაუკუნეობრივი ფეოდალური კულტურა. ეს ხანა თავისი მოაზროვნებით და კულტურით გარკვეულწილად ჩამორჩება წინა პერიოდს, მაგრამ იგი ახალ აზროვნებასა და განვითარებას უყრიდა საფუძველს.

ამ ეპოქისათვის დამახასიათებელია წარსულის შესწავლა და დაცვა. ეს არ იყო იოლი საქმე, რადგანაც ახალი რელიგია ქრისტიანობის სახით, ადრინდელი პერიოდის ბევრ რამეს მერეხელობად მიიჩნევდა. თანდათან ფეხს იყიდებს იდეოლოგიური რევიზია, თუმცა თავდაპირველად ამას ხელი არ შეუშლია კულტურული დონის შენარჩუნებისათვის, მაგრამ შემდეგში სულ სხვა ვითარება მივიღეთ.

მეცნიერების აღრე არსებული დარგები და ლიტერატურული ჟანრები ახალი ნაკადებით ივსება. ამ პერიოდ-



ში განსაკუთრებული გავრცელება პპოვა ისტორიკოსთა შრომებმა – ქრონიკებმა, საორატორო ხელოვნების ნაწარმოებებმა, ეპისტოლარულმა ლიტერატურამ, ტრაქტატებმა ადმინისტრაციული მოღვაწეობის შესახებ, გოგრაფიულმა გამოკვლევებმა, მოგზაურთა ჩანაწერებმა და სხვ. განსაკუთრულით მოჭარბდა წმინდანთა ცხოვრების აღწერები, ბიბლიაში წამყვანი ადგილი დაიჭირა. ფონდების ამგვარი მასივები იყრიდა თავს ბიზანტიის ბიბლიოთეკებში, რომლებიც საკმაო ხანს სარგებლობდნენ აღრინდელი მხოლოდის საუკეთესო ბიბლიოთეკების გამოცდილებით, მაგრამ თანდათან ფეხს იკიდებს დამოუკიდებელი, თავისთავადი საბიბლიოთეკო ტრადიციები. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია არსებული ლიტარატურის ბიბლიოგრაფიული აღნუსხვა. ამას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ რელიგიური ბრძოლების პირობებში ბევრი რამ უგზო-უკვლოდ ქრებოდა. ცნობილია, მაგალითად, ბიზანტიის თვალსაჩინო საეკლესიო მოღვაწის ფოტიოსის (მე-9ს) მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი „მირიობიბლონი“ („წიგნი ათასოვანი“) მასში თავმოყრილია 300 ამონაწერი კომენტარებით ბერძენ ავტორთა თხზულებებიდან. ეს ნაშრომი შეასაუკუნეობრივი ბიბლიოგრაფიის პირველი ნიმუშია, რომელშიც აღნუსხულია ანტიკური და ბიზანტიური მწვალებლური თუ ქრისტიანული ნაწარმოებები.

მე-4-7 საუკუნეებში ბიზანტიაში გავრცელებას იწყებს უმაღლეს სასწავლებელთა ბიბლიოთეკები. პირველ ხანებში მათი პრესტიჟი განპირობებული იყო ათენისა და ალექსანდრიის საუნივერსიტეტო სასწავლებლების ხახლით. ამ პერიოდში საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების დანიშნულება იმდენად მეცნიერებისათვის ხელშეწყობა კი არ იყო, არამედ წარსული მემკვიდრეობის შენარჩუნება და დაცვა. სკოლებისა და სკრიპტორიუმების საქმიანობის ძირითად საქმეს წარსულის სიმდიდრის თავმოყრა წარმოადგნდა, ისინი ძირითადად ბიზანტიის დედაქალაქ კონსტანტინოპოლში მოქმედებდნენ.

ბიზანტიიში სერიპტორიუმები მე-4 საუკუნეში გაწნდა. მათ სპეციალური მოხელე ხელმძღვანელობდა – არქიტექტორები გადამწერებს გასამრჯელოს სახელმწიფო უხდიდა. სერიპტორიუმები უმთავრესად მნიშვნელოვან ბიბლიოთეკებითან მე-4 საუკუნეში კონსტანტინოპოლიში დაარსდა არსებობდა. მე-4 საუკუნეში კონსტანტინოპოლიში დაარსდა საჯარო ბიბლიოთეკა, რომელშიც შტატიანი გადამწერები მუშაობდნენ. ისინი გადმოიწერდნენ ხოლმე როგორც ბერძნულ, ისე ლათინურ ტექსტებს. ასევე ხდებოდა დაზიანებული ტექსტების განახლება-აღდგენა და ა.შ. 475 წელს ამ ბიბლიოთეკაში 120 ათასი ხელნაწერი იყო, რაც იმდრონიდებოდი მაშტაბებით ძალიან დიდად ითვლებოდა. მათ შორის დაცული იყო გაელის ტყავზე ოქროს ასოებით შესრულებული პომეროსის პოემა. კონსტანტინოპოლიში არსებობდა აგრეთვე პატრიარქის ბიბლიოთეკა, რომელშიც ძირითადად საეკლესიო ნაწარმოებები ინახებოდა, მათ შორის იყო მწვალებური შინაარსისაც, მაგრამ ისინი ცალკე იყო გამოყოფილი განსაკუთრებულ ყუთებში.

ბიბლიოთეკა მრავალ მონასტერს ჰქონდა. ბევრ მათგანში გადამწერებიც მოღვაწეობდნენ, მაგრამ თანდათან ძლიერდება მკაცრი მართლმორწმუნეობრივი მოთხოვნილებები. სხვა დასავლეთკუროპულ სამონასტრო ბიბლიოთეკებთან შედარებით, აქ უფრო მეტად იგრძნობოდა ანტიკური ხანის, ე.წ. მერეხელური ლიტერატურის დევნა, არაკანონიკური ტექსტების მიმართ რეპრესიები, თუმცა ვხედებით გამონაკლისებსაც. ასე მაგალითად, სტუდიის მონასტრის საცავებში, მიუხედავად იმისა, რომ ეს მონასტერი ქრისტიანული მოღვაწეების მოძღვრების აქტიური პროპაგანდისტი იყო, ბლომად მოიპოვებოდა ანტიკური ავტორების ხელნაწერები. როგორც ჩანს, სამონასტრო ბიბლიოთეკების საქმიანობა საქმიან კარგად იყო ორგანიზებული. გადმწერისა და წიგნების მცველის (ბიბლიოთეკარის) როლი და ფუნქციები განსაკუთრებულად იყო აღნიშნული მონასტრების წევდებებში.

მე-6-7 საუკუნეებამდე ბიზანტიის ბიბლიოთეკების წიგ-

ნადი ფონდი ძირითადად პერგამენტის გრაგნილებისაგან შედგებოდა. შემდეგ უკვე დაიწყეს ე.წ. „კოდექსური“ შესტრიქის წარმოება, რომელთა მასალასაც, ოდონდ უკვე თანამედროვე წიგნის მსგავსად, ტყავი წარმოადგენდა, ყდაში ფურცელ-ფურცელ შეკინძული, ქაღალდის წიგნი ბიზანტიაში ჩნდება არაუგვიანეს მე-11 საუკუნეში.

ბიზანტიის ბიბლიოთეკებში ამ დროისათვის საუცხოვდა მდიდარმა ფონდმა მოიყარა თავი, რომლის დიდი ნაწილი მე-13 საუკუნის დასაწყისში განადგურდა მეოთხე ჯვაროსნულ ომში ჯვაროსანთა დამარცხების შემდეგ (1202-1204წწ). მოგვიანებით მოპოვებულმა პოლიტიკურმა თუ სამხედრო წარმატებებმა უკვე ვეღარ უზრუნველყველ ბიზანტიის საბიბლიოთეკო საქმის აღორძინება.

4.3. დასავლეთ ევროპის ბიბლიოთეკები

დასავლეთ ევროპაში მე-5 საუკუნისათვის ადრინდელი ე.წ. „ბარბაროსული“ ქვეყნებისაგან საქმით მყარი სახელმწიფოებრივი ერთეულები ჩამოყალიბდა, რომლებიც ერთიანი ქრისტიანული რწმენის ბაზაზე ქმნილნენ თავიანთ კულტურას. მე-5-10 საუკუნეებში ამ ქვეყნების ბიბლიოთეკები აშკარად გამოკვეთილი რელიგიური ხასიათისა იყო. ინტელექტუალური ხეგავლენის სფერო თავიდან ბოლომდე სასულიერო საზოგადოების ხელში აღმოჩნდა, რამაც თავის დაღი დააწინია ბიბლიოთეკებსაც. ქველი საბიბლიოთეკო პრაქტიკა ფაქტობრივად სულს დაფავდა, იქმნებოდა ახალი, თანადროებისათვის შეხამებული ტრადიციები.

მე-5-6 საუკუნეებში ჩაისახა სამონასტრო ბიბლიოთეკები, რომლებიც მე-9-10 საუკუნეებისათვის უკვე წამყვან ადგილს იჭერდა. გახშირდა მონასტრების, ეკლესიების, სხვა რელიგიური დაწესებულებების სკოლები. მათი არსებობა უწიგნოდ აღარ შეიძლებოდა. საერთოდ, სასულიერო დაწესებულება წიგნის გარეშე აღარ წარმოიდგინებოდა. ამიტო-



მაც იყო, გავრცელდა გამოთქმა: „მონასტერი უწიგნოდ იგრძელობოდა რაც საღიაშქრო ბანაკი უიარაღოდ“. ქრისტიანული მორალის ერთ-ერთი უძიდესი იდეოლოგი თომა აკვინელი წერდა, რომ „მონასტერის ნამდვილი საგანძურო ბიბლიოთეკაა, უიმისოდ ის იგივეა, რაც სამხარეულო საცეცხლურის გარეშე, მაგიდა უსაყრდენებოდ, ჭა-უწყლოდ, მდინარე-უთევზოდ, მოსასხამი სხვა ტანსაცმლის გარეშე, ბაღი-უყვავილებოდ, ქისა-უფლოდ, ლერწი-უმტევნოდ, სასამართლო-ყარაულთა გარეშე“...

ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში ქრისტიანობის გავრცელება სხვადასხვაგვარად ხდებოდა, მაგრამ იგი ყველგან აწყდებოდა ძევლი რელიგიის წინააღმდევობას და ბრძოლით იმკვიდრებდა თავს. ეს კიდევ აღრეული კულტურის განაღურებას იწევდა, ნადგურდებოდა ადრინდელი წიგნებიც, რამაც გაუგონარი ზიანი მოუტანა კაცობრიობას.

ანგლო-საქსების გაქრისტიანება, მოყოლებული 597 წლიდან, თითქმის ას წელს მიმდინარეობდა, ასობით სამონასტერო ნაგებობა შენდებოდა, სადაც წიგნი აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენდა. ინგლისელი და ორლანდიული ბერები სპეციალურად მიემგზავრებოდნენ რომში მონასტრებისათვის წიგნების შესაძენად. ამ პერიოდისათვის განსაკუთრებით დაწინაურდა კენტერბერიის სააბატოს ბიბლიოთეკა.

ძველი ნგლისური დამწერლობის შემოღებამდე (მე-7b) მონასტრების, სააბატოების, ეკლესიების ბიბლიოთეკებში ძირითადად თავმოყრილი იყო ბერძნული და ლათინური წიგნები.

იტალიაში მე-7-8 საუკუნეებში უთვალსაჩინოები ბიბლიოთეკა იყო პავინიის მახლობლად მდებარე მონასტრის საცავი. ცნობილი იყო აგრეთვე სამხრეთის მხარის ბიბლიოთეკა ვივარიის მონასტერში.

მე-10 საუკუნეებში დაარსდა პრაღის საეპისკოპოსო ბიბლიოთეკა, ხოლო პრაღის მისაღვიმებთან-ბენედიქტებს სამონასტრო ბიბლიოთეკა.



მე-9-10 საუკუნეებში საფრანგეთში არსდება **შატო**
 გაძრის, კამბრეს, კლერმონის, ლიონის, რეიმსის მონასტრების ბიბლიოთეკები. ამავე ხანებში პოლონეთში არსდება ყველაზე ძველი – გრენონს კაპიტელიუმის ბიბლიოთეკა. მე-11 საუკუნეებში ბიბლიოთეკები გაიხსნა პოლონეკა და კრაკოვში.

ამ ბიბლიოთეკების ფონდი ძალიან მცირერიცხოვანია და ძირითადად სახულიერო ხასიათისაა. ფონდის დაახლოებით ორ-მესამედს საეკლესიო წიგნები წარმოადგენდა. იშვიათად გვხვდება ანტიკური ქარქის ავტორთა ხელნაწერები. მართალია, იყო უფრო ხელსაყრელი პირობებიც, როდესაც ძველი წიგნებიც საპატიო ადგილს იჭერდნენ მაშინდელ ბიბლიოთეკებში. ასე მაგალითად, ფრანკთა ფეოდალური სახელმწიფოს იმპერატორი კარლოს დიდი (768-800) და ინგლისის მეფე ალფრედ დიდი (871-900), რომლებიც მფარველობდნენ განმანათლებლობას, თვით კარზე სხვადასხვა ქვეყნის სწავლულებს იწვევდნენ სამუშაოდ. ამ მეფეების ბრძანებით სკრიპტორიუმებში ათობით გადამწერი ბერი აგროვებდა და გადაწერდა უძველეს ლათინურ და ბერძნულ ტექსტებს.

კარლოს დიდის კარზე შექმნილი იყო სწავლულთა გაერთიანება; ანტიკური ტრადიციით მასაც „აკადემიას“ უწოდებდნენ. მის სხდომებზე სწავლულნი, ბერები, თვით კარლოს დიდი, რომელიც „აკადემიის“ წევრად ითვლებოდა, კითხულობდნენ ანტიკური ქარქის ავტორთა ქმნილებებს, თხზავდნენ და იხილავდნენ თვითანთ ნაწარმოებებს. იმდენად დიდი იყო ანტიკური ლიტერატურის გავლენა, რომ თანმედროვეთა შორის ბერძნოთა და ლათინოთა მიბაძვით ვრცელდებოდა წერა და რიტორიკული მოძღვრება. ალფრედ დიდი ხელს უწყობდა ლათინ ავტორთა ნაწარმოებების თარგმნას ინგლისურ ენაზე. მისი ბრძანებით, ყოველი მნიშვნელოვანი ამბის შესახებ იწერებოდა ქრონიკები. ორივე მეფე ცდილობდა საეკლესიო-სამონასტრო სკოლების მომრავლებას, რომლებშიც ბიბლიოთეკა აუცილებელი



კომპონენტი იყო, მაგრამ ისინი მხოლოდ ვიწრო წრის წარმართები მომადგენლებისათვის იყო გათვალისწინებული.

სახულიერო დაწესებულებათა ბიბლიოთეკების მომხმარებლები ძირითადად სწორედ სქოლების მოსწავლეები იყვნენ. სამონასტრო-საეკლესიო ბიბლიოთეკები ხელს უწყობენ შუასაუკუნეობრივი სქოლასტიკის განვითარებას. რომის პაპი და ეპისკოპოსები არასასურველ წიგნებს კრძალავდნენ, ყველაფურს მკაცრი ცენტურის ცეცხლში ატარებდნენ. 405 წ. პაპმა ინოენტი პირველმა მსოფლიოში პირველად შეადგინა აკრძალულ წიგნათ სია, რომელშიც მწვალებლური ლიტერატურა იყო შეტანილი.

სამონასტრო-საეკლესიო ბიბლიოთეკები ძირითადად იქსებოდა სკრიპტორიუმების ხარჯზე, რომლებიც უმეტასად თვით ბიბლიოთეკებთან არსებობდა ან მათ ეჭვემდებარებოდა. ხელნაწერი რამდენიმე ეგზემპლარად იწერებოდა: თვით ბიბლიოთეკისათვის, სამონასტრო-საეკლესიო სქოლებისათვის, სააბატოსა თუ საეპისკოპოსათვის.

საბიბლიოთეკო ქატალოგის როლს საინვენტარო დავთრები თუ ქარადების აღწერილობები ასრულებდა. აღწერილობები და წიგნები ე.წ. სქოლასტიკური სისტემით ლაგდუბოდა-ტრივიუმად და კვადრიუმად. ტრივუმში შედიოდა: გრამატიკა, რიტორიკა და დიალექტიკა; კვადრიუმში: არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია და მუსიკის თეორია. იყო გადახრებიც. მაგალითად, მე-7 საუკუნეში ისიდორე სეველიელის მიერ სევილის (ესანეთი) საეპისკოპოსოს ბიბლიოთეკისათვის წიგნები დაჯგუფებული იყო თავისებური წესით: ბიბლიები, ეკლესიათა მამები, ქრისტიანი პოეტები, გრიგოლ დიდის თანამედროვენი, იურისტები. გამოყოფილი იყო წიგნები დარგობრივადაც: კოსმოგრაფია, გეოგრაფია, წიგნები ცხოველთა შესახებ და სხვ.

ფონდების განლაგებისათვის გამოიყენებოდა სხვა სისტემებიც, მაგალითად, ანბანური განლაგება, როგორადაც ეს იყო გამოყენებული კორბიოს სამონასტრო ბიბლიოთეკაში ამიენში.

ამ პერიოდის ბიბლიოთეკებში განსაკუთრებით ქვეყნის იურიდია თავს კონფიდენციალურები, რაც ამნელებდებოდა სისტემატურად განლაგებასა და აღწერას. ტრადიციულად ბევრგან ცალკე გამოყოფდნენ იმ წიგნებს, რომლებიც სამკლესო სამსახურისათვის იყო განკუთვნილი.

ამ დროის ეროვნული ბიბლიოთეკების ერთგვარი შეზღუდულობის მიუხედავად, ისინი უდავოდ მომდევნო ეპოქის საბიბლიოთეკო პრაქტიკის განვითარების საწინდრად უნდა მივიჩნიოთ.

4.4. არაპეტის ხალიცათის ბიბლიოთეკაბი

მე-7 საუკუნიდან განსაკუთრებულად ძლიერდება არაბეთის სახელმწიფო, რომლის ხელში საბოლოოდ უსარმაშაბარი ტერიტორიები აღმოჩნდა-ეგვიპტე, სირია, პალესტინა, მაროკო, საარესთი, პორტუგალია და სხვა. არაბები განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე იპყრობდნენ დანაწევრებულ და დასუსტებულ ქვეყნებს და იქ თავიანთ მმართველობას აწესებდნენ. ეს მუსულმანური სახელმწიფო უნდა მივიჩნიოთ ინდოეთიდან აზია-აფრიკის ჩათვლით ატლანტიკის ოკეანემდე.

არაბეთის ხალიცატს დაქვემდებარებულ სხვადასხვა ქვეყანასა თუ პროვინციაში კულტურის ერთნაირი დონე არ იყო და მათთან ურთიერთობაც სხვადასხვაგვარ გავლენას ახდენდა თვით არაბულ კულტურაზე, მაგრამ თუ მთლიანად არაბულ კულტურაზე ვილაპარაკებთ, იგი სხვა ქვენების კულტურისაგან მკვეთრად განსხვავებული თავისუბურებებით გამოირჩევა.

შეუა საუკუნეების არაბებისათვის წიგნი განსაკუთრებული პატივისცემის საგანს წარმოადგენდა. აქაური კალიგრაფების ნადვაწი მთელ აღმოსავლეთში უაღრესად მაღალ ფასად იყიდებოდა. წიგნების ლამაზად გაფორმება გამოწყობა წიგნის დამზადების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა.



არაბული სამყაროსათვის უცხო არ იყო სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა და ლიტერატურის მოღვაწეთა ნაწილობრივი ქვეყნის მეცნიერთა და ლიტერატურის მოღვაწეთა ნაწილობრივი მოებები. მათ კარგად ჰქონდათ შეგნებული მეცნიერების მნიშვნელობა. მოწიწებით კრებდნენ, შეისწავლიდნენ და თარგმნიდნენ ძველ ბერძნულიდან მათემატიკის, ასტრონომიის, მედიცინის წიგნებს. თარგმანების წყალობით არაბულმა ლიტერატურამ ბევრი ისეთი რამ შემოინახა, რომელიც ორიგინალში არ შემორჩენილა. არაბები, ასევე, ითვისებდნენ ირანისა და ინდოეთის სულიერ მიღწევებს, მაგრამ ისინი ამას არ სჯერდებოდნენ და თვითონაც უდიდეს კულტურას ქმნიდნენ.

არაბული კულტურის აღორძინების ხანაში ბევრი ლიტერატურული და მეცნიერული ნაშრომი შეიქმნა. არაბულ ბიბლიოთეკებში მრავლად იყო მსხვილტანიანი პერგამენტის ტომები და ქადალდზე ნატიფად შესრულებული წიგნები, როგორც დიდგვაროვანთა ოჯახებში, ისე სკოლებში (მედრესეებში), მეჩეთებში, უნივერსიტეტებში.

სოგი ხალიფა თვითონ იყო განათლებული ადამიანი და ენერგიულად უწყობდა ხელს კულტურის განვითარებას, გარს იკრებდა მეცნიერებს, მწერლებს, პოეტებს, წიგნმცოდნებს, კალიგრაფებს.

მაინც ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ არაბეთის სამყარო მოკლებული იყო მწვავე სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემებს, ეკონომიკურ სირთულეებს, რელიგიურ დაპირისპირებებს, რუტინასა და მაქსიმალიზმს, მაგრამ ის, რაც ამ ხალხის ცხოვრებაში საუკეთესო და დიადი იყო, გზას მაინც იყაფავდა და თავის სასიკეთო გავლენას ავრცელებდა. ბიბლიოთეკებიც ნაწილობრივ, ამ ნაკადში იყვნენ მოყვლილი.

პირობებით, დაარსების დროის მიხედვით, საქმიანობის ხასიათით და დანიშნულებით არაბეთის ბიბლიოთეკები ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდებოდნენ. დიდ, კარგად მოწესრიგებულ ბიბლიოთეკებს არაბები „სიბრძნის სახლებს“ ან „მეცნიერების სახლებს“ უწოდებდნენ.



სხვაგვარ სახეს ატარებდა ბიბლიოთეკები სასწავლებელებზე ში (მედრესეებში), მეჩეთებში, მავზოლეუმებში, სპასულმანულ ფოებში, ობსერვატორიებში. ამგვარ ბიბლიოთეკებს „შემო-ერთებულებს“ უწოდებდნენ.

„სიბრძნის სახლები“ ხალიფატის შექმნისთანავე წნდება. ისინი ხელისუფლების ხარჯით არსდებოდა და, ჩვეულებრივ, მმართველთა სასახლეებში იყო განთავსებული. მათი მკითხველები იყენებ სწავლულები, პოეტები, სამართლმცოდნენი, რომლებსაც ხალიფატი კარზე სამსახურად იწვევდა. მათ უნდა შეესწავლათ ყურანი და სხვა ძირითადი საღვთო წერილები, არაბული ენა, რომელიც მუსულმანური რელიგიისა და არაბეთის ხალიფატის მეცნიერ-სწავლულთა საერთო ენად იქცა, აგრეთვე უნდა შეექმნათ ახალი პოეტური და მეცნიერული ნაშრომები.

მე-9 საუკუნიდან ფართოდ კრცელდება „მეცნიერების სახლები“, რომლებიც მკითხველთა მომსახურების გარდა, სწავლებასაც ეწოდნენ.

არაბები, ბიზანტიულების მხგავსად, ანტიკურ ტრადიებს მოკრძალებით ეკიდებოდნენ, წარმატებით თარგმნიდნენ უცხოელ ავტორებს, აგროვებდნენ სხვადასხვა ქვეყნის წიგნებს. ხალიფატის ქალაქების ბიბლიოთეკებში მრავლად შემოდიოდა წიგნები საარსეთიდან, სადაც ჯერ კიდვე იყო შემორჩენილი ბერძნული კულტურის მძლავრი ცენტრები.

ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ბიბლიოთეკა-„სიბრძნის სახლი“ მე-7 საუკუნეში შეიქმნა არაბეთის ხალიფატში, კერძოდ, ქალაქ დამასკოში, რომელიც იმ დროისათვის დიდ პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. პირველ ხანებში ეს ბიბლიოთეკა არქივთან ერთად არსებობდა, ხოლო 689 წელს დამოუკიდებელი გახდა. მის ფონდში თითქმის მსოფლიოს ყველა ცივილიზებული ნაწილიდან აღწევდა საუკეთესო ნაშრომთა ასლები. ფონდების საფუძველს მაინც ყურანი და მასთან დაკავშირებული ლიტერატურა წარმოადგენდა, მაგრამ გვხვდება ხელნაწერთა მდი-



ლიტერატურა. 52 წ. 1 ბრძოლა კომისარმა მთინარე ბიგროხის

762 წელს ხალიფა ალ-მახტურმა ძღინარე ტიტორით
სანაპიროზე თავისი ახალი რეზიდენციის აგება დაიწყო.
სულ მაღლ ასი ათასი მონის მძიმე შრომის შედეგად აშენ-
და ბაღდადი („ლვოის ნობათი“). ქალაქი გადაიშალა „უ-
ნიშნელოვანებს გზაჯვარედინზე“, სადაც თავს იყრიდნენ
მთელი მსოფლიოს ვაჭრები, მოგზაურები, მექარავნენი. ვარაუ-
დობენ, მერვე საუკუნის მეორე ნახევარში აქ დაახლოებით
2 მილიონი ადამიანი მოსახლეობდა. აგებულ იყო ორასი
ათასი სახლი, 60 ათასი აბანო, 30 ათასზე მეტი მეჩეთი.
თავდაპირველად მეჩეთები ერთგვარ კლუბებს წარმოად-
გნდა, სადაც შეიძლებოდა ახალი ლექსების მოსმენა და
ჰადრაკის თამაში. ცხადია, ამგვარი ქალაქი თავისთვად
იქცევდა არაბების შეასაუკუნეობრივი კულტურის ცე-
ნრად, რომელიც ვერ წარმოიდგინება კარგად ორგანიზ-
ბული წიგნმარმოებლობის გარეშე. სწორედ ამ ქალაქმა
გაითქვა მსოფლიოში სახელი თავისი კალიგრაფების ნახ-
ელავებით, რომლებიც ძალიან ძვირად ფასობდა მსოფლიო
ბაზარზე.

ხალიფა ალ-მანსურმა 830 წელს დამასკოს ცხობილი ბიბლიოთეკაც აქ გადმოიტანა. განსაკუთრებული ყურადღება მისი ფონდების გამდიღრებას დაუთმო. ბიზანტიის იმპერატორს თხოვა გამოეგზავნათ ამ ბიბლიოთეკისათვის მათემატიკური ხელნაწერები.

დიდი ხნით ჩამოვარდნილმა მშევიდობამ (750-1055წ)
უზარმაზარ ტერიტორიაზე წინა და შეა აზიაში, ჩრდილო-
ეთ კავკასიასა და პირინეის ნახევარკუნძულზე ხალიფა-
ტის ეკონომიკურ და კულტურულ აღორძინებას შეუწყო
ხელი. ამ პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა წიგნიერებისა და
ბიბლიოთეკების სასარგებლოდ.



მის განვითარებისათვის ძალიან ბევრი რამ გააქცია აზრულება ხალიფა ალ-მამუნმა (813-833). თავად ნიჭიერი სწავლული და სწავლულთა მფარველი, ცდილობდა, რამდენადაც შეიძლებოდა, მეტი წიგნი შეუკრიბა მსოფლიოს საგანძუროდან. მან სპეციალურად გაგზავნა კვიპროსზე სწავლულთა კომისია, რომელმაც მრავალი ხელნაწერი ჩამოიტანა. ცნობილია, თუ რა დიდი დახმარება აღმოუჩინა მამუნმა პოეტსა და მოაზროვნეს ჯაპიშს, რომელიც წიგნებს მცენარეებს, ცხოველებსა და ყოფით მოვლენებზე წერდა. მისი ნაშრომი „წიგნი ცხოველებზე“, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელიც ბუნებას მეცნიერული თვალთახედვით შეისწავლის, მაგრამ ჯაპიში განსაკუთრებით ცნობილია როგორც დიდი ბიბლიოთფილი, რომელიც, ამავე დროს, წიგნმცოდნეც იყო. მისი მაგალითი არაა ერთადერთი. ასევე ცნობილია ისტორიკოსი ალ-ვაჰიდი, რომლის პირადი ბიბლიოთეკა 60 კუთ წიგნს შეიცავდა. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მხრივ კეზირ იბნ აბადის პირვენებაც, რომელიც მე-10 საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა. ის გარს იქრებდა ცნობილ მეცნიერებსა და პოეტებს. მისი ბიბლიოთეკის კატალოგი ათი ტომისაგან შედგებოდა. მხოლოდ სადგომისმეტყველო წიგნები 400 აქლემის ფუთას შეადგენდა. აბადი გატაცებული იყო აგრეთვე ტექნიკით, მედიცინით, ასტრონომიით, მუსიკით, ლოგიკითა და მათემატიკით. მის ბიბლიოთეკაში 117 ათასი ხელნაწერი იყო დაცული. ფრიად დაკავებულმა სახელმწიფო მოღვაწემ, ცხოვრების დიდი ნაწილი ბრძოლებში გაატარა. ლაშქრობაში მას თან მიქონდა წიგნები, რომლებიც ერთ ქარავანს ჰქონდა აკიდებული. საყურადღებოა, რომ ეს ქარავანი ერთგვარ „კატალოგს“ წარმოადგენდა, რადგანაც წიგნები აქლემებზე გარკვეული წესრიგით იყო აკიდებული და ამის მეშვეობით ადვილად პოულობდნენ საჭირო წიგნებს.

არაბულ სამყაროში პირადი ბიბლიოთეკების მიმართ დამოკიდებულების ტიპურ მაგალითს წარმოადგენს ჩვენს



დრომდე მოღწეული ანდერძი, რომელიც მთარგმნელ ტერიცკალ
ბოჩის ექუთვნის. ის შეიღს წერდა, რომ დიდიძალ წიგნებზე
უტოვებდა და სთხოვდა, მუდმივ წესრიგში პქონოდა ისინი,
თანაც ასწავლიდა, როგორ უნდა გაფრთხილებოდა და
მოევლო მათთვის და დასძენდა: „წიგნი შენი საუკეთესო
განძია, შენი საუკეთესო მეგობარი. კარადებში მოქცეული
ბიბლიოთეკა სწავლულის თვალისათვის უფრო სასიამ-
ოენოა, ვიდრე ყველაზე ლამაზი ბაღი“.

პირად ბიბლიოთეკებთან ერთად, ზოგი კერძო პირი სახ-
ალხო მოხმარების ბიბლიოთეკებსაც აარსებდა ვეზირ აბა-
დის მსგავსად. ბადდადში მის გარდა ცნობილი იყო აგროვე
ვეზირ იბნ საბურის მიერ 994 წელს დაარსებული ბიბ-
ლიოთეკა „მეცნიერების სახლი“, სადაც 10 ათასზე მეტი
წიგნი ინახებოდა. ეს ბიბლიოთეკა 1058 წელს განადგურ-
და.

ამგვარ „მეცნიერების სახლებში“, სადაც ყველა მსურვ-
ელს კეთილდად ღვბულობდნენ, ჩამოსულებისათვის ცალკე
ოთახებიც კი იყო გამოყოფილი. ამგვარი სახლები სხვა
დიდ ქალაქებშიც იყო: მოსულში, ნიშაპურში, ბასრაში, რამ-
ჰერმოზაში, ქაიროში.

საგულისხმოა, რომ ბევრი მმართველი წიგნის დიდი
ტრფიალი იყო და საბიბლიოთეკო საქმეს მფარველობდა.
განსაკუთრებული ბრწყინვალებით გამოირჩეოდა ესპან-
ეთში-კორდოვაში აღ-პაკამ მეორის მიერ შექმნილი ბიბ-
ლიოთეკა, რომელშიც 400 ათასი ერთეული ინახებოდა. მისი
კატალოგი, რომელშიც მითითებული იყო მხოლოდ სათაუ-
რები და ავტორები, 42 ტომისაგან შედგებოდა. ყოველი
ტომი 50 გვერდს შეიცავდა. ემირს აგენტების მთელი ქსე-
ლი ჟყავდა, სპეციალური პირები მთელ მუსულმანურ სამ-
ყაროში დაეძებდნენ საინტერესო წიგნებს და კორდოვაში
აგზავნიდნენ. მე-10 საუკუნის შუა წლებში ქალაქში 500
ათასამდე ადამიანი მოსახლეობდა, 30 ათასამდე სკოლა
მოქმედებდა და ისეთი დიდი ბიბლიოთეკები იყო, როგორც
აღქსანდრიაში მისი აყვავების პერიოდში.



კორდოვას ხალიფატში ასწავლიდნენ არა მართლი სისტემით, უსლიმანო დევოისმეტყველებას, არამე ფილოსოფიას, შათემ-ატიკას, ასტრონომიას, ფიზიკასა და მედიცინას. მე-10 საუკუნეში კორდოვაში 27 უმაღლესი სასწავლებელი არსებობდა. აქ სასწავლად ჩამოდიოდნენ დასავლეთ ევროპიდან, წინა და შემდეგი აზიანიდან.

კორდოვას ხალიფატის აუკავებას საფუძველი აღისაკამ მეორის წინამორბედება-მისმა მამამ-რამან მესამემ დაუდო, რომელიც მე-10 საუკუნის შემდეგში მოღვაწეობდა. იგი ათასობით გადამწერსა და წიგნებით მოვაჭრეს მფარველობდა. სახახლის კარზე მუდამ სასიამოვნო სტუმრებად ითვლებოდნენ წიგნების მოყვარულნი, ამჟინძველები და გადამწერნი, მხარევრები. განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდნენ სწავლული მთარგმნელები, რომლებმაც არაბულთან ერთად ბერძნული და ლათინური ენებიც იცოდნენ.

ასეთ გარემოებაში აღზრდილი მეფისწული, რომელიც თვითონ იყო სწავლული და წიგნის მოყვარული, ამრავლებდა მამისეულ დიდებას. მან კორდოვაში არსებული სამი ბიბლიოთეკა შეაერთა და სწორედ აქედან შეიქმნა ის დიდი საბიბლიოთეკო მასივი, რომელიც ტოლს არა უდებდა დაცვითი მსოფლიოს საუკუთესო ბიბლიოთეკებს (მე-10-11 საუკუნეები).

ესაპანეტში რამანის დროს დაიწყეს ქადალდის გამოყენება, რამაც დიდი გარდატეხა შეიტანა წიგნების წარმოებასა და დაცვის საქმეში.

წინა აზიაში განსაკუთრებით გაითქვა სახელი ბიბლიოთეკა-„სიბრძნის სახლმა“, რომელიც აღუდ აღ-დაულას ეკუთვნოდა. (მე-10 საუკ.), მას ხელმძღვანელობდა მმართველი (ვაჭილი), საქმეს აწარმოებდა ბიბლიოთეკარი (ხაზინი) და ინსპექტორი (მუშრიფი). აქ თავმოყრილი იყო ამ დროისათვის ცნობილი თითქმის ყველა წიგნი. ბიბლიოთეკას ეჭირა დიდი თაღოვანი დარბაზი, მრავალი გვერდითი მინაშენითა და დიდი ვესტიბულით. დარბაზის ქვედლების


გაყოლებაზე ჩამწერივებული იყო კარადები ზევიდან ჩამწერის სახური კარგით. ყოველი დარგის წიგნები ცალკე მარტინი რადებში თავსდებოდა. წიგნების ამგვარად დაცვა და განლაგება, როგორც ჩანს, დამახასიათებელი ყოფილა იმდროინდელი ყველა კარგად ორგანიზებული ბიბლიოთეკისათვის. კარადებზე მიმაგრებული იყო სია იმ წიგნების, რომლებიც აქ ინახებოდა. ბიბლიოთეკებით ძირითადად სარგებლობდნენ წარჩინებული ოჯახის შეილები, ღიდეაცობა, სამდვრელოება. ად-დაულას ბიბლიოთეკაში სამუშაოდ სხვადასხვა ქალაქებიდანაც ჩამოდიოდნენ. ბიბლიოთეკარები მხრუნველად ეკიდებოდნენ მათ-მიუჩენდნენ ბინებს და საზროსაც აწედიდნენ.

„მეცნიერთა სახლებით“ განთქმული იყო ყველა დიდი ქალაქი სხვადასხვა სახალიფატოებში-ბადდადი, კორდოვა, ქაირო, მახული, იერუსალიმი, ხალები, დამასკო ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს ამ მხრივ. მაგალითად, მოხულის ბიბლიოთეკა, რომელიც 890 წელს დააპირა ასტრონომმა ჯაფარ ალ-მავსეელ აშ-შასამმა, განსაკუთრებით განთქმული ყოფილა არაბულ სამყაროში მდიდარი ძველბერძნებული წიგნებითა და ასტრონომიული ლიტერატურით. აქ სხვადასხვა დარგის შემსწავლელი წრეებიც იყო დაცული.

993 წელს ბადდადში გაიხსნა „მეცნიერთა სახლი“-ბიბლიოთეკა, რომელიც ფაქტობრივად, ერაყში პირველ სამეცნიერო ცენტრსა და პირველ მუსულმანურ უნივერსიტეტს წარმოადგენდა. მისი ფონდი, რომელიც შეიცავდა ფილოსოფიის, გეომეტრიის, ასტროლოგიის, მედიცინის, პოეზიის ამსახველ ხელნაწერებს, გახსნილი იყო სისტემატური კატალოგის მეშვეობით. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელები იყვნენ სწავლუდები, ხოლო მკითხველებს სპეციალისტი ბიბლიოთეკარები ემსახურებოდნენ. 1059 წელს ბიბლიოთეკა საარსელებმა გადაწვეს.

ქაიროშიც არსებოდდა აგრეთვე ამავე ტიპის ბიბლიოთეკა, რომელიც 1005 წელს დაარსდა. მას უხვად ეხმარებოდნენ მმართველები. პქონდა რამდენიმე დარბაზი, მათ შორის



სწავლულთა შეკრებისა და დისკუსიებისათვის. სამოსახულის

მეცნიერთმეტე საუკუნისათვის ყველაზე დიდი მფლობელი მფლობელი იყო ტრიპოლის „მეცნიერების სახლი“, რომელი მაც სულ 30 წელი იარსება, მაგრამ წარუშლელი კვალი დატოვა. მასში დაცული იყო დაახლოებით 3 მილიონი წიგნი, მათ შორის 50 ათასი ყურანი. აქ 180 თანამშრომელი მოღვაწეობდა. ახლანდელი ლიბიის ტერიტორიაზე გაშენებული ეს ულამაზესი ქალაქი თავისი ბიბლიოთეკით მრავალ სწავლულს იზიდავდა. იგი ჯვაროსანთა შემოსევების დროს ხანძრისაგან განაღებულდა. მე-9-11 საუკუნეებში არაბთა სახალიფატოებში ბიბლიოთეკა თითქმის ყველა ასე თუ ისე დიდ მეჩეთს გააჩნდა. ისინი თავიანთი დანიშნულებით ძალიან წააგავდნენ იმგვარ ბიბლიოთეკებს, რომლებსაც შემდგომში „სახალხოს“ უწოდებდნენ. იმათ შექმნასა და განვითარებას დიდად უწყობდა ხელს არსებული ტრადიცია, რომლის ძალითაც დიდებული და შეძლებული უკოდალები თავიანთ წიგნებს ანდერძით უტოვებდნენ მეჩეთებს. ზოგ შემთხვევებში მეჩეთში დიდალი წიგნი იყრიდა თავს. მაგალითად, მე-12-13 საუკუნეების ცნობილი ისტორიკოსის იაკუტის დამოწმებით, მერვეში 12 ასეთი ბიბლიოთეკა იყო, რომელთაგან ერთ-ერთში 10 ათასამდე წიგნი ინახებოდა. იაკუტს განსაკუთრებით ხიბლავდა ის, რომ მას ნებას აძლევდნენ შინ წაედო წიგნები ყოველგარი გირაოს გარეშე მართალია, ეს უკვე არაბების დაქვეითების ხანაა, მაგრამ მათი საბიბლიოთეკო ტრადიციები დიდხანს რჩებოდა მათ მიერ ადრე დაპყრობილ ქვეყნებში, განსაკუთრებით, მუსულმანურ სამყაროში.

დამასკოს ნაციონალურ მუზეუმში დაცულია შუასაუკუნეობრივი ბიბლიოთეკების წიგნები, რომლებიც ან-ნურის მეჩეთს ეკუთვნოდა. ეს მეჩეთი ერთ-ერთი ყველაზე თვალსასინო სასულიერო დაწესებულება იყო სირიაში. როგორც ჩანს, მისი დამაარსებელი სულთანი ნური-ი-დინი ზანკი (მე-11 ს.) განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მეჩეთებში წიგნების თავმოყრას.

არაბეთის ხალიფატის საემიროებში მიღებული აეთ
ბიბლიოთეკებისათვის მათი დამაარსებლების ხახელების
მინიჭება. ამგვარი ბიბლიოთეკა იყო, მაგალითად, განმუშავილი
და მუსტანისირის მედრესეს ბიბლიოთეკა, რომელიც 1233
წ. არის დაარსებული. მის ფონდებში თამოყრილი იყო
ცნობილი ავტორების წიგნები. აქ მომუშავე მასწავლე-
ბლები და მოსწავლეები უზრუნველყოფილი იყვნენ პა-
ბით და სტიპენდიებით.

მეჩეთების, ჰოსტელების, მედრესეების და სხვა სასული-
ერო დაწესებულებათა ბიბლიოთეკები თანდათან დამოუკი-
დებლობას იძენდნენ და ავტონომიურად მოდგაწეობდნენ.
ზოგი მათგანი ამა თუ იმ ემირატის ფარგლებში შემდგომ-
ში ნაციონალურ ბიბლიოთეკებადაც იქ იქცა.

ის, თუ როგორ განათავსებდნენ და იცავდნენ წიგნებს
არაბეთის ხახალიფოს ბიბლიოთეკები, საგსებით გასაგებია
ჩვენთვის, მაგრამ რა სისტემით იყო ისინი განლაგებული,
უცნობია. ერთი ცხადია: გამოყენებული უნდა ყოფილიყო
სისტემატური განლაგების წესი. წიგნები თემატურად იყო
განლაგებული. რასაც ადასტურებს ავიცენა (დაახლ. 981-
1037), რომელიც სამარყანდის ბიბლიოთეკას ეწვია და
დაწვრილებით აღწერა იგი. ის გვატყობინებს, რომ ჩახა
სპეციალური სია (კატალოგი), რომელიც თვითონ აირჩია
მისთვის საჭირო წიგნები. ავიცენა იმასაც იტყობინება, რომ
წიგნები აქ ერთიერთმანეთზე იყო დაწყობილი კიდობნებ-
ში.

საინტერესო ვიცოდეთ, რა ხასიათის წიგნები დო-
მინირებდა ხახალიფოს ბიბლიოთეკებში, ვინ იყო მათი
მომხმარებელი.

ამ თვალსაზრისით, მეტად საინტერესოა ბიბლიოფილ-
ისა და წიგნმოვაჭრის ან-ნედიმის მიერ 988 წელს შედგენი-
ლი რეესტრი, რომელიც განკუთვნილი იყო მკითხველთა
დასახმარებლად საჭირო წიგნების შერჩევში. რეესტრში
მოცემულია არა მარტო წიგნების ჩამონათვალი, არამედ
ცნობები ავტორთა შესახებ და სხვადასხვა დარგების მეც-



ნიერული დახასიათება. თავდაპირეელად მოცემული
„მუსულმანური მეცნიერებები“-ფურანი, გრამატიკა-ზექურ-
რია, პოეზია, დოგმატიკა, სამართალი, შემდეგ-„არამუსულმა-
ნური მეცნიერებები“, როგორიცაა ფილოსოფია, სახალისო
ლიტერატურა, ალქიმია, რელიგიის ისტორია.

რეესტრი გვაძლევს წარმოდგენას მაშინდელი დროის
ფონდების შემადგენლობაზე, მათ მრავალფეროვნებასა და
სიმდიდრეზე. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ბალდადის
ბიბლიოთეკებში (ერაყი), რომელთა რაოდენობა სულ 30
იურ, ძირითადად სწორედ ამგვარი ლიტერატურა დო-
მინირებდა.

რაც შეეხება არაბული სამყაროს ბიბლიოთეკათა მომხ-
მარებლებს, სხვადასხვა დროს აქ მსოფლიოს უთვალსაჩი-
ნოებს მეცნიერებსა და შემოქმედებს უმოღვაწიათ.

ამათგან მხოლოდ ნაწილი შეიძლება დავასხახელოთ:
უდიდესი ალქიმიკოსი ჯაბინ იბნ პაიანი, მათებატიკოსი
ალ-ხორეზმი, გეოგრაფი ალ-იაკუბი, მოგზაური იბნ ფალდანი,
ისტორიკოსი ალ-ტაბარი, დიდი სწავლული ავიცენა და
მრავლი სხვა, რომელთა შემოქმედების ნაყოფი შემდეგში
იქცეოდა თვით ამ ბიბლიოთეკებისვე ძვირფას შენაძენე-
ბად.

არაბული ბიბლიოთეკების ანალიზიდან ნათლად ჩანს,
თუ რა დიდი კულტურული აღმავლობა განიცადა წიგნება
და საბიბლიოთეკო საქმემ მოცემულ პერიოდში, მაგრამ ეს
გზა, რომელიც განვლო კაცობრიობამ, სრულიადაც არ იყო
იოლი. არაბეთის კულტურა, მისი წიგნი და ბიბლიოთეკა,
აღორძინების მიუხედავად, მაინც არ იყო მოკლებული ერთ-
გვარ რეაქციულ ზედაწოლას. მაგალითად, ჯერ კიდევ 923
წელს ბაღდადის სასახლის კარიბჭესთან 14 ტომარა ის
წიგნები დაწვეს, რომელთაც მავნედ მიიჩნევდნენ. ანალი-
გიური შემთხვევები აქა-იქ ამა თუ იმ დროს შემდეგშიაც
არაერთხელ მომხდარა, რაც გამოწეველი იყო იდეოლო-
გიური დაპირისპირებებით.

სახალიფოს წიგნსაცავების ბედი, ისევე როგორც მათ



წინამორბედი ბიბლიოთეკებისა, ტრაგიკული იუო, ბაღდებულებისა და ბიბლიოთეკები 1258 წ. მონქოლებმა გაძარცვეს. უამრავი წიგნი ტიგროსში გადაყარეს. სხვა ბევრი ბიბლიოთეკა ჯვაროსნებმა გაანადგურეს, კორდოვას ბიბლიოთეკები ქრისტიანმა ფანატიკოსებმა შეიწირეს, უმეტესობა დროთა მსეულელობაში იავარებო. მიუხედავად ამისა, მაინც ბევრი რამ დარჩა, რაც თანამედროვე ცივილიზაციისათვის განუმეორებელ განძს წარმოადგენს.



5. საბიბლიოთეპო საქმე შუა საუკუნეების უცოდალურ სახელმწიფო განაკვეთი (XII-XV სს)

5.1. საეპლესიო-სამონასტრო ბიბლიოთეპო შუა საუკუნეების ეპოქაში

მე-12 საუკუნისათვის ევროპაში საგრძნობლად შეიცვალა ძალთა ოანაფარდობა. გამუდმებულმა ფეოდალურმა განხევთქილებებმა, შინააშლილობამ, ჯვაროსნულმა ომებმა არსებული პირობების დაჩქარებულად გარდაქმნა გამოიწვია. ერთ დროს აღორძინებული ქავენები და მხარეები დაეცა, განიცადა დეგრადაცია, ადრე დაქვეითებულმა სახელმწიფოებმა ასევე სწრაფად მიაღწიეს წარმატებას, მაგრამ ყოველივე ეს არამყარი და ცვალებადი აღმოჩნდა.

ანტიკური კულტურის პირდაპირი მემკვიდრე-ბიზანტიია თავის უკანასკნელ დღეებს ითვლის. მე-13 საუკუნის დასაწყისში მე-4 ჯვაროსნული ომის შემდეგ (1202-1204) ქრისტიანული ბიზანტიია მნიშვნელოვნად დაქვეითდა. რამდენიმე პროვინციამ შეინარჩუნა თავისუფლება. ამ დროიდან მოყოლებული, ბიზანტიის ბიბლიოთეკები კარგავენ თავიანთ დიდებას, ნადგურდება მათი ფონდები, რომლებსაც დამკურობლები დაეპატრონენ. დამცველისა და მოქავშირის ძებნაში თურქი დამკურობლებისაგან ყოველმხრივ შევიწროვებული ბიზანტიია დათანხმდა ბერძნული ეკლესია პაპისათვის დაექვემდებარებინა. ამან ბერძენი მოსახლეობის მდელვარება გამოიწვია. ბევრი ადამიანი იძულებული გახდა იტალიში გადასახლებულიყო და ქონებასთან ერთად თავისი ბიბლიოთეკაც გადაეტანა. 1453 წლის მარცხმა საბოლოოდ მოუდო ბოლო კონსტანტინოპოლის და პროვინციების ბიბლიოთეკებს.

ევროპის ასეთი დიდი კულტურის მქონე ქვეყნის დაცვა მამ დიდი ხნით გამოიწვია საერთო დეგრადაცია. ჯვაროსნულ ომებში დამარცხებული სამღვდელოება თავის რეაქციას შინაურ მოწინააღმდეგებზე აკრცელებს. ძლიერდე-

გა რელიგიური დოკუმენტის დაცვის მოთხოვნილებები. 
სულიერო საზოგადოებრიობა, ფაქტობრივად, თავის ხელშია და იღებს წიგნის წარმოებისა და გავრცელების საქმეს. შე-12-
15 საუკუნეებში ევროპაში ყველაზე მეტად სამონასტრო
ბიბლიოთეკებია გავრცელებული. ისრდება მათი ფონდები,
მაგრამ ადრეულ ბიბლიოთეკებთან შედარებით, ისინი უმ-
ნიშვნელო რაოდებისაა (1000-2000). შედარებით ისრდე-
ბა მომსმარებელთა რაოდებისა. ამ პერიოდში შეიმსწევა
გადამწერთა გამოცოცხლება.

მე-13 საკუნემდე გადამწერთა მსხვილი ცენტრები მხ-
ოლოდ ქალაქებში იყო. შემდეგში, მე-15 საკუნეში, წიგნის
ბეჭდვის შემოღებამ მათ ფასი დაუკარგა, თუმცა ისინი მაშ-
ინვე არ გამქრალან. ბეჭდვის შედეგად წიგნის მომრავლე-
ბამ სავხებით შეცვალა არსებული მდგომარეობა და პირობე-
ბი.

რაც შეეხება საეკლესიო-სამონასტრო წიგნების შინაარს,
იგი ძირითადად სახულიერო ხასიათისაა, მაგრამ წარჩინებ-
ული საზოგადოების საერო კულტურის ელემენტების ჩასახ-
ვამ, მწვალებლური იდეების გამოცოცხლებამ სამღვდელოება
აიძულა რელიგიური დოკუმენტის ფილოსოფიურად გაეაზრე-
ბინა, რაც სქოლასტიკის ძირითად ამოცანას წარმოადგენ-
და. ამან კი თავისთავად გამოიწვია ბიბლიოთეკებში სქო-
ლასტიკოსთა ნაწარმოებების მოკარბება. ზოგ ბიბლიოთეკა-
ში დიდი გაჭირვებით თუ შეაღწევდა ნამდვილი მეცნიერ-
ული წიგნი, რომლის წაკითხვის ნება ყველას არ ეძლეოდა.

შეიცვალა ფონდის ჯანრობრივი შემადგენლობაც.
სამოძღვრო ლიტერატურის გარდა, წარმოდგენილი იყო
ქრონიკები, კომენტარები, მაჩვენებლები, სწავლებანი, ენციკ-
ლოპედიები, ხელმძღვანელობანი, საცნობარო წიგნები,
მოთხოვნები, რომანები, სიმღერები. ფონდი ენობრივად
გამრავალფეროვანდა-ბერძნულ და ლათინურ ენოვან
წიგნებს არაბული დაქმატა. შეიცვალა ფონდის გარეგნო-
ბაც. მანამდე ყველაზე მეტად გავრცელებული ფორმატი
„ინკურტო“ უფრო მცირე ზომის წიგნებმა შეავიწროვა,



რომლებიც უოველდღიური ხმარებისათვის უფრო უშუალესია ებული იყო. დიდი უორმატები უმთავრესად ბიბლიისა და ლიტერატულისათვის გამოიყენებოდა.

წიგნების უმეტესობა ეტრატისაგან იყო დამზადებული. ქადალდი ამ პერიოდში იშვიათობას წარმოადგენს. წიგნებისთვის, ზოგ შემთვევაში, უმეტესად დიდ სამონასტრო ბიბლიოთეკებში, ცალკე სათავსს გამოყოფდნენ. აქ წიგნებს სპეციალურად დამზადებულ კარადებსა თუ თაროებზე განალაგებდნენ, შედარებით მცირე ზომის კრებულებს სპეციალურ ყუთებსა თუ ჩვეულებრივ კიდობნებში აწყობდნენ.

ბიბლიოთეკის ფონდებზე სხვადასხვა სისტემის კატალოგებს ადგენდნენ. ბევრმა მათგანმა ჩვენამდეც მოაღწია. ამ პერიოდში ბიბლიოთეკარები კატალოგებს ანიჭებდნენ არა მარტო აღწერილობით-სარეგისტრაციო, არამედ საძიებო ფუნქციებსაც, რაც საფუძვლად ედება კატალოგების შემდგომ განვითარებას, მათ გამოყენებას თაროებზე წიგნების მოქმედისათვის. ამ ეპოქაში დაიწყეს შეერთებული კატალოგების შექმნა. მაგალითად, ბრიტანეთის კუნძულების ფრანცისკანელმა ბერებმა შეადგინეს „ინგლისის წიგნის ნუსხა“, რომელიც შეიცავდა ცნობებს 183 მონასტრის ბიბლიოთეკის წიგნების შესახებ. ზოგ შემთხვევაში კატალოგებს უბრალოდ შექრებდნენ ერთად, როგორც ეს გააკეთეს 1210წ. სავინიის მონასტერში, სადაც თავი მოუყარეს ნორმანდიის სამონასტრო ბიბლიოთეკების კატალოგებს.

მე-14 საუკუნიდან აქაური წესებით ნებადართული იყო წიგნების შინ წაღება დროებითი სარგებლობისათვის, მაგრამ ეს კველა წიგნზე არ ვრცელდებოდა. ზოგ წიგნზე მიწერილი იყო: „არ გაიცემა მონასტრის გარეთ გამოსაყენებლად“.

საეკლესიო-სამონასტრო ბიბლიოთეკების ფონდები ორად იყოფოდა: წიგნები, რომლებიც განკუთვნილი იყო კველა მქითხველისათვის და წიგნები, რომლებიც მათი დირექტულებისა თუ იდეური მოსაზრებების გამო მხოლოდ რჩეულთათვის იყო.



ამ პერიოდში დაიწყო საბიბლიოთეკო საქმის მეცნიერული ულად შესწავლა და თეორიული მოსაზრებების ჩამოყალიბება. სწორედ სამონასტრო ბიბლიოთეკები ჰქონდა მხედველობაში რიშარდ და ფირნივალს, ამენის გადასახის წინამდგარს, თ ვსი დროის უგანათლებულებს ადამიანს (1201-1260), რომელმაც საფუძველი დაუდო საბიბლიოთეკო მეცნიერებას თავისი „ბიბლიონომიათი“ (წიგნმცოდნეობა). ეს შრომა მთლიანად კონკრეტული ბიბლიოთეკის პრაქტიკის მაგალითზე არის შექმნილი და არ ითვალისწინებდა იმ დროის მიღწევებს, განსკუთრებით ცოდნის დარგების სიტემატიზაციის შესახებ. ის არ იზიარებდა ინგლისელი ბერის, ფილოსოფოსისა და ბუნებისმეტყველის როჯერ ბეკონის (1214-1294) პროგრესულ იდეებს, მაგრამ მისი ნაშრომი სანიმუშო იყო მეთოდიკური თანმიმდევრულობითა და რეკომენდაციებით.

ბეკონის კლასიფიკაცია ითვლისწინებდა თეორიულ და პრაქტიკულ მეცნიერებათა თანაბრობას. სამწუხაროდ, მისმა თეორიამ ვერ პკოვა მხარდაჭერა თავის დროს. მას მხოლოდ მე-17 საუკუნეში ედირსა სათანდო გამოხმაურება.

საეკლესიო-სამონასტრო ბიბლიოთეკები, მიუხედავად მათი ვიწრო მიზანდასახულობისა, მაინც უაღრესად დიდ როლს ასრულებდა საზოგადოების განათლებისა და განვითარების საქმეში. გარდა ამისა, ისინი ხშირად უფრო ფართო მოხმარების ბიბლიოთეკებად იქცეოდნენ. მაგალითად, ფლორენციაში წმინდა მარკოზის მონასტერში, რომელიც არაფრით არ გმოირჩეოდა თავისი დატაკი ფონდით, ფლორენციის მმართველის კოზიმო მედიჩის თაოსნობით (1389-1464) ცნობილი ფლორენციელი ბიბლიოფილის შეკრინია და დაუმატა წიგნები არსებულ ფონდს და ამგვარად საფუძველი ჩაუყარა ეკროპაში ერთ-ერთ პირველ საჯარო ბიბლიოთეკას.

ამგვარად, მართალია, ეკროპული სამონასტრო ბიბ-

ლიოთექების დიდი უმრავლესობა თავის ნაჭუჭმერებში ბოდა, ბევრგან იგი უდღეურ ყოფაშიც იყო, როგორც მაგრამ დიდი პუმანისტი და მწერალი ბოკაჩო გვატყობინებს, მაგრამ მოცემულ ეპოქაში მათი არსებობაც კი საკმაო საყრდენს წარმოადგენდა ახალი კულტურის დასამკვიდრეობლად, რომელიც რენესანსის სახით მოევლინა ქაცობრიობას.

5.2. შეა საუკუნეობის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკები

მე-12 საუკუნისათვის ადრინდელი სხვადასხვა ტიპის სასწავლებლის შემდგომი განვითარების შედეგად, ჩამოყალიბდა განათლების ახალი ტიპის სასწავლებელთა სისტემა უნივერსიტეტების სახით.

პირველი უნივერსიტეტები ევროპაში სხვადასხვა დიდ ქალაქებში წარმოიშვა. ზოგი საეპისკოპო სკოლების, ზოგი პერძო პედაგოგთა და მოძღვართა თაოსნობით. თავდაპირველად აქ ასწავლიდნენ ფილოსოფიას, სამართალს და მედიცინას. ისინი უნივერსალური პროფილისანი იყვნენ. ჯრ კიდევ არ იყო დამკეიდრებული დარგობრივი უმაღლესი სასწავლებლების შექმნის ტრადიცია.

ველა უნივერსიტეტის უაჰველ კომპონენტს კარგად ორგანიზებული ბიბლიოთეკა წარმოადგენდა. ზოგ შემთხვევაში ბიბლიოთეკის დაარსება უნივერსიტეტის გახსნასაც კი უსწრებდა წინ.

მე-11 საუკუნეში ბოლონიაში (იტალია) დაარსდა ერთერთი პირველი უნივერსიტეტი ევროპაში, რომელიც აქაური სამართლის სკოლისა და მისი ბიბლიოთეკის ბაზაზე შეიქმნა. თითქმის ამავე პერიოდში უნივერსიტეტად გადაკეთდა სალერნოს (იტალია) სამედიცინო სკოლა, რომელსაც კარგი ბიბლიოთეკა გააჩნდა. ბიბლიოთეკის გარეშე უნივერსიტეტის გახსნა, საერთოდ, წარმოუდგენელი იყო.

მე-12 საუკუნეებში ზედიზედ ისესწოდდა უნივერსიტეტები



ევროპის დიდ-დიდ ქალაქებში: პარიზი და მონპელიე (საფრანგეთი), ოქსფორდი და კემბრიჯი (ინგლისი), სალამანჩი (ესპანეთი), ლისაბონი (პორტუგალია), პრაღა (ჩეხეთი), კრაკოვი (პოლონეთი), ვენა (ავსტრია), იენი, ერცურტი და ჰაიდელბერგი (გერმანია), უპეხალი (შვედეთი), კოპენჰაგენი (დანია). მე-16 საუკუნის დასაწყისისათვის ევროპაში 60 უნივერსიტეტი უუნივერსიტეტი ფუნქციონირებდა თავიანთი ბიბლიოთეკებით.

შეუძლია საუკუნეების უმაღლესი სახსრავლებლისათვის სწავლების უმთავრეს ფორმას მასწავლებლის მიერ წიგნის კითხვა და კომენტარები წარმოადგენდა. შეიძლება სწორედ ამიტომაც გაჩნდა ტერმინი „ლექციის წაკითხვა“.

უნივერსიტეტებს თავიანთი სკრიპტორიუმები პქნდა, რომლებიც საქმიანობით ბევრად აღემატებოდა საეკლესიო-სამონასტრო და კერძო სკრიპტორიუმებს. უნივერსიტეტებში ზოგან მოწყობილი იყო წიგნსავაჭროებიც.

განსაკუთრებით მდიდარი ბიბლიოთეკები გააჩნდა პარიზისა და ოქსფორდის უნივერსიტეტებს. სხვა ბიბლიოთეკებთან შედარებით, რომ არაფერი ვთქვათ სასულიერო დაწესებულებების ბიბლიოთეკებზე, აქ ფართოდ იყო წარმოდგენილი საერთო ლიტერატურა, ისეთი წიგნებიც კი, რომლებიც ფეოდალური სახოგადოებისათვის მიუღებელს წარმოადგენდა. საერთოდ კი, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებში წიგნების გაცემა შინ სარგებლობისათვის ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. არსებობდა წიგნის გაცემის რეგისტრაციის სათანადო ინსტრუქციები. მთელ რიგ შემთხვევებში ბიბლიოთეკები ხელნაწერებს ორად ყოფდნენ: ერთი ნაწილის გაცემა შინ სარგებლობისათვის არ იყო განკუთვნილი, აგრეთვე ძვირფასი გამოცემები, ზედ პირვიტოზე, რომელიც საკითხავი მაგიდის როლს ასრულებდდა, ჯაჭვით იყო მიბმული. მე-13-14 საუკუნეებში და შემდეგაც ასეთი წიგნების აღწერილობებზე ნუსხებში მიწერილი იყო: „მიჯაჭვულია“.

არც თუ იშვიათად კატალოგებს წინ ურთავდნენ შესავალს, ჩვეულებრივ ახსნა-განმარტებებს, თუ რა დანიშნულებ-

ისაა კატალოგი და როგორ უნდა გამოიყენოთ ეგვიპტის მაგალითად, სორბონის უნივერსიტეტის ბიბლიოთუფლექსით გვალი კატალოგის შემდგენელი (1289) საქმაოდ დაწვრილებით ახსნა-განმარტებებს იძლევა და აღნიშნავს, რომ წიგნებში ბევრია ქომეულიტი და დეფექტური ხელნაწერები, რის გამოც კატალოგების გამოყენების გარეშე ძალიან მნელია ფონდების შინაარსის სრულყოფილად გახსნა.

შეა საუკუნეების საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებში კონცენტრირდებოდა მაშინდელი მეცნიერული აზროვნების მთელი პროდუქცია. ამიტომაც მათ ძალიან ფრთხილად ეკიდებოდა სამდვდელოება. სქოლასტიკური სისტემები საქმაოდ ბოჭავდა საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების ზე გავლენას მოხსენელე ახალგაზრდებზე.

5.3. მცროველ დიდებაშლთა ბიბლიოთეკები

საეკლესიო-სამონასტრო და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებთან ერთად, ევროპის ცივილიზებულ ქვეყნებში სულ შირდება კერძო (საოჯახო) ბიბლიოთეკები, ძირითადად დიდგვაროვანთა შორის. სასულიერო წოდება ყოველმხრივ ცდილობს, მთლიანად დაიმორჩილოს წიგნის წარმოებისა და გავრცელების საქმე, მაგრამ ის სრულიად უძლურია რაიმე ზეგავლენა მოახდიონოს კერძო ბიბლიოთეკებზე, რომლებშიც საერო წიგნები ჭარბობს. თანდათან ფეხს იკიდებს კაზმულსიტაციერები, ნატიფი ხელოვნება, პუმანური იდეები, რაც ძირითადად სწორედ საჯარო და კერძო ბიბლიოთეკებში პოვებს დასაყრდენს.

მეცნიერების, გაჭრობის, განათლების საქმის განვითარება ხელს უწყობს წიგნისადმი განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობას. ოჯახში წიგნიერი გარემოს შექმნა დიდებულთა პრესტიჟის საქმეს წარმოადგენს. წიგნი იქცა არა მარტო განათლების, არამედ ფუფუნებისა და თავმოწონების საგნად, მით უმეტეს, რომ თანდათან უფრო და უფრო მტკიცდება მათი ძვირფასი ლითონითა და ქვებით მოოჭვის



ტრადიცია, მათი მაღალმხატვრულად გაფორმების ჩევულებული ბა, ტექსტის ნატიფი კალიგრაფიული ხერხების გამოყენების მოთხოვნილება.

ამ მხრივ ყველას მეფის კარის ბიბლიოთურები აჭარბეჭები. ერთ-ერთი პირველთაგანი იყო ფრანგთა მეფე შარლ მე-5 (1364-1380). მან საქმაოდ დიდ ბიბლიოთურებას ჩაუყარა საფუძველი, რომელიც შემდეგში, ვალუათა დინასტიის არსებობის პერიოდში იზრდებოდა და მდიდრდებოდა, ვიდრე საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს მეფის სიკვდილის შემდეგ სახალხო საკუთრებაში არ გადავიდა. ოუმცა იყო შემთხვევა, როცა შარლ მე-6 ის დაშალა ნაწილებად, მაგრამ მისმა მექანიზრებმა შემდეგში კვლავ გააერთიანებ.

ბევრი სამეფო ბიბლიოთურება ბოლოს ეროვნულ ბიბლიოთებას შეუერთდა, ან თავად გახდა ეროვნული ბიბლიოთება. ახლაც კი ბევრი ქაფნის ბიბლიოთურება „სამეფო“ ტიტულს ატარებს, როგორც მაგალითად, კოპენაბენის სამეფო ბიბლიოთურება, შვედეთის სამეფო ბიბლიოთურება, ბრიტანელის სამეფო ბიბლიოთურება და სხვ.

მეცენა მაგალითს, თავისთავად დიდებულებიც მისდევდნენ და საოჯახო ბიბლიოთურები სასახლეების შემაღებელ ნაწილებად იქცეოდა.

განსაკუთრებით მომრავლდა საკუთარი ბიბლიოთურები ინგლისში. ამას ხელი შეუწყო ედუარდ მე-3 (1312-1377) მეცენატურმა მოღვაწეობამ. იგი აღზრდილი იყო დარემის ეპისკოპოსის, დიდი სახელმწიფო მოხელის რიჩარდ დე ბერის მიერ, რომელიც მე-14 საუკ. პირველ ნახევარში მოდგაწეობდა. გადმოგვცემენ, რომ რიჩარდ დე ბერის შედგენილი პქონია კატალოგი დახსელოებით 1500 ტომზე. იგი მეფის ნებართვით ინგლისის მონასტრებში ექცედა საყურადღებო წიგნებს, რომლებსაც ზოგჯერ თავისთვისაც გადააწერინებდა. როგორც ეპისკოპოსს, უშუალოდ მას ექვემდებარებოდნენ მხატვარ-მინიატურისტები, გადამწერები, მკინავები. მან დიპლომატიური მისით იმოგზაურა იტალიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, სადაც ათვალიერებდა საუკუთხ-



სო ბიბლიოოთეკებს, რაც შეიძლებოდა იძენდა, ზოგპერველდა აწერინებდა და ინგლისში ჩაქონდა. წიგნების მრავალბაზი სხვადასხვა დატაკი ორდენების მოხეტიალე ბერებს იშველიებდა.

რიჩარდ დე ბერმა თავის ბიბლიოთეკა ბოლოს ოქსფორდის უნივერსიტეტს გადასცა, რომელიც ერთ დროს თავად დაამთავრა და ერთ ხანს ბიბლიოთეკაშიც მუშაობდა. მან შეადგინა პრაქტიკული სახელმძღვანელო ბიბლიოთეკებისათვის-, „ფილობიბლონი“ (წიგნთმოყვარეობა), რომელიც ინსტრუქციული ხასიათის მიუხედავად, მაინც ითვლება ერთ-ერთ ფუძემდებლურ ნაშრომად, რომელმაც ხელი შეუწყო ბიბლიოთეკადმცოდნეობის ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

აქრძო ბიბლიოთეკებს შორის ინგლისში გამორჩეულად ითვლებოდა აბატ ჯონ უნბრამსტიდის ბიბლიოთეკა, რომელიც თავმოყრილი იყო როგორც ბევრი, ისე ახალი მწერლებისა და მეცნიერების უნიკალური ხელნაწერები, მსოფლიოს საუკეთესო წიგნები, ჰუმანისტების ლიტერატურული მემკვიდრეობა. ის წიგნებს ჩუქნიდა კიდეც სააბატოსა და სკოლას. ინგლისში ასევე ცნობილი იყო პერცოგ ჰუმფრი გლოსტერის უმდიდრესი კოლექცია. გლოსტერი წიგნებს იტალიიდან და საფრანგეთიდან იღებდა. მისი წიგნები ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაშიც ბევრი აღმოჩნდა. გადმოცემით ცნობილია, რომ პერცოგი საჭირო წიგნის მოპოვებისათვის არავითარ ხერხს არ ერიდა, ბოლა, ქურდობასაც კი არ თაკილობდა.

საყოველთაოდ ცნობილი იყო იტალიელ დიდებულთა კერძო ბიბლიოთეკები. ამ პერიოდში აქ განსაკუთრებული ინტერესით ეკიდებიან ანტიკურ ეულტურას, სწავლობენ ბერძნულ და ლათინურ ენებს. წიგნები არა მარტო დიდჯულთა სახელებში იყრის თავს, არამედ უბრალო ადამიანების ოჯახებშიაც. ეს მოვლენა თანდათან უფრო ფართოდ იკიდებს ფეხს და თავისი განვითარების მწვერვალს აღორძინების ეპოქაში აღწევს.

შეა საუკუნეებში აღმოსავლეთის ქვეყნები დიდ პოლი-
ტიკურ და სოციალურ გარდაქმნებს განიცდიან; საომარი
მოქმედებები გიგანტურ მასშტაბებს აღწევს. ამ მოვლენათა
შორის ცენტრალურია მონიტორინგის გაუთავებელი
ლაშქრობები „მსოფლიოს დასამყრობად“. ეს დამანგრევ-
ელ გავლენას ახდენს სხვადასხვა ქვეყნის კულტურულ
საქმიანობაზე, მაგრამ ამავე დროს ხდება ხალხთა დიდი
გადასახლებები, რაც ცივილიზაციათა ურთიერთშერევასა
და შენივთებას იწვევს. აზიის უდიდეს ნაწილზე ბატონიშვ-
ილი ჩინურ-მონიტორი ზეგავლენა და ამგვარად, ბუდის-
ტური და მუსულმანური რელიგიები ტერიტორიების უდი-
დეს მასივებს ედება.

რამდენადაც პარადოქსალურად არ უნდა მოგვეჩენოს,
სასტიკი დამპურობლური ომების და აუტანელი სოციალ-
ური ვითარების მიუხედავად, აღმოსავლეთი არ წარმოად-
გენს „უნაყოფო ველს“, სადაც არ ხარობს უაღრესად მაღა-
ლი მეცნიერებლი და კულტურული მემკვიდრეობა. სწორედ
მოცემულ პერიოდს ემთხვევა ე.წ. „აღმოსავლური რენესან-
სი“- ლიტერატურისა და მეცნიერების აღორძინება ინდო-
ეთსა თუ ჩინეთში, ირანსა თუ კავკასიაში. ამ ეპოქაში ცხ-
ოვრობდნენ სხვადასხვა ქვეყნის უთვალსაჩინოები მოაზ-
როვნები, ფილოსოფოსები, მეცნიერები, პოეტები, მსოფლიო
მასშტაბის მოდვაწები: რუდაქი, ფირდოსი, ნიზამი, ჰაფიზი,
რუსთაველი, ულუგბეგი, ხორეზმი, ალ-ბირუნი, ალიშერ ნავოი,
ჯამი, რუმი, ხაჯანი, ხაიდამი და სხვანი და სხვანი. ბევრი
მათგანის ნადვაწი თავს იყრიდა აღმოსავლეთის საუკუნე-
სო ბიბლიოთეკებში. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას,
რომ თითქოს აღმოსავლეთის კულტურა სულაც არ იც-
ნობდა ადრეული ცივილიზაციის საუკუნესო წარმომად-
გენლებს-ანტიკურობის გიგანტებს. ცნობილია, რომ თემურ
გენერაციის შვილიშვილი, სწავლული მეფე მუჟამედ ტარაგაი
ლენგის



ულუგბეკი (1394-1449) საფუძვლიანად იცნობდა პლატიზებს, პიპარქის, ატოლემეს, არისტოტელეს შემოქმედებას! თუ ჯერ კიდევ ბავშვი დაყვებოდა თავის სახელოვან პაპას ბრძოლებში. თემურს ლაშქრობაშიც გარს ეხვივნენ სწავლულები და მრჩევლები. ცნობისმოყვარე ბიჭი სიამოქნებით ატარებდა დროს საველე კარავში თავმოყრილ წიგნებს შორის, რომლებიც თან დაქმონდა ზეიად ხანს, როგორც „საღაშქრო ბიბლიოთეკა“. საღამოობით ამ კარავში იქრიბებოდნენ ისტორიკოსები, პოეტები, სწავლულები. მათგან ულუმბეკი ბევრ საინტერსო ამბავს იგებდა და სულ უფრო იმსჭვალებოდა ცოდნის შექნის სურვილით; ულუმბეკის მამა შაჰრუჟ ხანი (1377-1447) გერატში იყო მმართველი, სადაც ბიჭუნა კარგად გაეცნო უკვე ნამდვილ ბიბლიოთეკას. გერატი (ავღანეთი) იმ დროისათვის მსხვილ კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. ხელოსანთა შორის აქ განსაკუთრებით წიგნის მწარმოებლები გამოირჩეოდნენ-ქადალდის დამამზადებლები, კალიგრაფები, გადამწერები. ქალაქში ათი სასწავლებელი იყო, მრავალი წიგნის საგასტრო, მედრესებები და კიტაბ-ხანა-სასახლის ბიბლიოთეკა, რომელიც შაჰრუჟის დაარსებული იყო. შაჰრუჟი წიგნების ნამდვილი ტრფიალი იყო. იშვითი წიგნისათვის ყოველგვარი გასამრჯელოს გადებაზე იყო თანახმა. ამ ბიბლიოთეკის ზედამხედველის თანამდებობას მისი შვილი ბაისუნქარი ასრულებდა. კიტაბ-ხანას გააჩნდა გადამწერთა, მინიატურისტთა, მომეარაცებებულთა, დამჭრავებელთა და ფილოლოგთა დიდი შტატი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა წიგნების ორიგინალურად გაფორმებას. ხშირად წიგნს სხვადასხვა ფერის ქადალდებისგანაც ამზადებდნენ. აქ დამზადებულ წიგნებს შორის გამოირჩევა ფირდოუსის „შაჰნამე“. თავისი სისრულითა და გაფორმებით სწორუპოვარია აქ შესრულებული „ქილილა და დამანას“ ხელნაწერი.

ამ ბიბლიოთეკაში შემოდებული იყო იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი თავისებურება-წიგნზე საკუთარი ნიშნის დასმა (ექსლიბრისი). სასახლის ბიბლიოთეკის კუთვ-



ნიდ წიგნზე ოქრო ვარაყით მხატვრულად აწერდნენ უკიცხებულის ახატავდნენ ექსლიბრისის წინა და ბოლო გვერდებზე.

17 წლის ასაკში ულუგბეკი თემურის მდიდრული და ბრწყინვალე დედაქალაქის მემკვიდრე გახდა. განათებული მმართვლისათვის მთავარ ამოცანად იქცა, რამდენადაც შესაძლებელი იყო, აემაღლებინა ქვეყნის კულტურის დონე ისე, რომ დამპყრობლური ომებისათვის არ მიენებებინა თავი, თუმცა დიდი პაპასავით მსოფლიოს დაპყრობაზე არ ოცნებოდა.

ულუგბეკის ბრძანებით ბუხარაში აშენდა მედრესე, რომელზედაც ახლაც შემორჩენილია წარწერა: „ცოდნისადმი ლტოლვა ყველა მუსულმანისათვის აუცილებელია“. ცხადია, აქ განსაკუთრებული ადგილი დათმობილი ეჭხადოდა წიგნებს. ულუგბეკის ბრძანებით მსგავსი მედრესე აიგო სამარყანდშიც. აქ ულუგბეკი თავად კითხულობდა ლექციებს, როგორც ვარაუდობენ, ძირითადად ასტრონომიაში. აქ მისი მოწაფე ყოფილი ცხობილი პოეტი ჯამი.

ულუგბეკმა, თავადაც ცხობილმა ასტრონომმა და მეცნიერმა, ისტორიკოსმა, გატაცებულმა პოეზიითა და მუსიკით, ირგვლივ შემოიკრიბა იმდროისათვის საუკეთესო სწავლულები, რომელთა შორის გამოირჩეოდა ასტრონომი კაზიზადე რუმი, რომელსაც ულუგბეკი თავის მასწავლებლად მიიჩნევდა. ულუგბეკმა სამარყანდში სპეციალურად შექმნა ბიბლიოთეკა, რომელშიც უმეტესად მათემატიკური და ასტრონომიული ხელნაწერები იყო თავმოყრილი. ზოგი თანამედროვე მეცნიერი ვარაუდობს, რომ შესაძლებელია, ეს ბიბლიოთეკა ობსერვატორიასთან იყო დაარსებული, რომელიც იმდროისათვის საუკეთესოდ მიიჩნეოდა. როგორც ცხობილია, თემურმა 1402 წ. დაანგრია პერგამონი და მის ბიბლიოთეკა სამარყანდში გადაიტანა. სავარუდოა, რომ ულუგბეკი მაშინ გაეცნო ანტიკურ ხელნაწერებს და დაინტერესდა მათი შინაარსით. თემურმა არაერთი დაპყრობილი ქვეყნიდან წაიღო ნადავლად წიგნები.

იმ დროის ერთ-ერთი სომები ისტორიკოსი წერს, რომ



თემურმა საქართველოსა და სომხეთში ლაშქრობის შემთხვევაში შეკრიბა სომხური და სპარსული წიგნები, გადაგზავნა სამარყანდში, ერთ დიდ კოშკში დაუდო ბინა, და სასტიკად აკრძალა იქედან მათი გამოტანა. მხოლოდ აღგილზე მათი გამოყენება შეიძლებოდა.

ულუგბეკის წიგნსაცავის ბიბლიოთეკარად, როგორც ვარაუდობენ, მისი მეგობარი, თავისი დროის დიდი მეცნიერი ალი-ჯუშჩი მუშაობდა.

სამარყანდის ბიბლიოთეკის ხელნაწერებიდან ურთი ნაწილი გადაურჩა დროთა დინებასა და ნგრევა-განადგურებას და ჩვენს დრომდე მოაღწია.

ცენტრალური აზიის სილიან უდაბნოში-გობის დაბლობზე – 1900-იან წლებში ჩატარებული არქეოლიგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა დიდი ხნის წინათ სრულიად გამქრალი ქალაქის ნაშთები. გამოირკვა, რომ ეს იყო მონცვლოთა ტომის ტანგუტების ძველი ქალაქის ხარა-ხოროს ნანგრევები სხვა უამრავ ნივთებს შორის აღმოჩნდა წიგნები, რომლებიც მოწიწებით იყო შეხვეული აბრეშუმის ნაჭრებში და ერთმანეთზე მიჯრით იყო მიწყობილი. შენახული იყო აგრეთვე კლიშეები და ქსილოგრაფიული დაფები. როგორც ჩანს, აქ ადრიდანვე უნდა ყოფილიყო განვითარებული ქსილოგრაფიული ბეჭდვა.

ტანგუტური წიგნი ქალალდის გრაგნილია, ზოგი განიერი, ზოგი ზოლივით ვიწრო. ერთი მათგანი სიგრძით თერთმეტ მეტრს აღწევს. ქალალდი მონაცრისფეროა. გრაგნილები უმეტესად გადაწებებული ქალალდებისაგან შედგება. ტექსტს ზემოდან და ქვემოდან გასდევს სწორხაზოვანი ჩარჩო. ხელწერა მკვეთრი და სუფთაა. გვხვდება აგრეთვე „წიგნი-გარმონები“, მხოლოდ ცალ გვერდზე მოცემული ტექსტით.

წიგნების უმეტესობა ქსილოგრაფიულია, ზოგი გრავირებული. იბეჭდებოდა ისინი დიდი ტირაჟებით 50-100 ათას ეგზემპლარად, რაც წიგნებზე დიდ მოთხოვნილებაზე მეტყველებს. საგულისხმოა, რომ წიგნების გაფორმების დროს საქმაო ყურადღებას უთმობდნენ საგამომცემლო ცნობების შემთხვევაში გადამომცემლობრივი მიზანის სამიზანოდ მოიხსენიერდა.



ბით მათ ადჭურვას. უპირველეს ყოვლისა, იძლეოდნენ ნაწარ-
მოების დასახელებას, რომელიც შემოკლებულად იწერფილია
ბოდა აგრეთვე ყოველ ახალ რეეულ შენაკინძზე, მიუ-
თითებდნენ აგჩორს, მთარგმნელს, კომენტატორს, წინასიტა-
კარბისა თუ ბოლოსიტყვაობის შემდგენელს, ხშირად ქსი-
ლოგრაფიული დაფების გამომჯრელსაც. გვერდები სათო-
თაოდ ინომრებოდა. გვხვდება წიგნები, რომლებზედაც
მოცემულია ცნობები ტირაჟის, გამოცემის ადგილისა და
დროის შესახებ.

ტანგუტებმა მე-10 საუკუნეში დამოუკიდებელი სახელმ-
წიფო შექმნეს. მათ იდეოგრაფიული დამწერლობა ჩინურის
მაგვარი აქვთ, მაგრამ გაცილებით უფრო რთული. საერ-
თოდ, ჩინური კულტურის ზეგავლენა თვალსაჩინოა, რასე-
დაც მეტყველებს როგორც ქსილოგრაფიული ბეჭდვა და
ქადალდის დამზადების ტრადიციები, ისე აქ აღმოჩენილი
ჩინურ-ტანგუტური ლექსიკონი. აღნიშნული ბიბლიოთეკის
ფონდებში საქმაოდ ბევრი აღმოჩნდა საცნობარო წიგნები,
მათ შორის ენციკლოპედიები. აღმოცენდა აგრეთვე სა-
კანონმდებლო კრებულები, ისტორიული, სამედიცინო, პედ-
აგოგიური ნაწარმოებები, სამხედრო ტრაქტატები, პოტური
ქმნილებები, მაგრამ განსაკუთრებით მრავლად იყო ბუდის-
ტური ტექსტები.

გადმოცემით ცნობილია, რომ ყოველ ოლქში არსებობდა
სკოლა, რომელიც იყო მოკლებული პატარ-პატარა ბიბ-
ლიოთეკებს. არის პირდაპირი ცნობები იმის თაობაზე, რომ
სი-სიაში (როგორადაც ტანგუტებს მეზობელ ქვეყნებში
უწოდებდნენ) იმდენი სწავლული იყო, რამდენიც არც ერთ
ქვეყანაში. ნათქვამია ისიც, რომ მათ დედაქალაქში-სინძინ-
ში (ხარა ხოტაში) სკოლის გარდა აკადემიაც არსებულა.

1225 წელს ჩინგის ხანმა დალაშქრა ტანგუტების სახ-
ელმწიფო. ხარა-ხოტა მთელი წელი უძლებდა აღყას, მა-
გრამ ბოლოს მაინც დაეცა. უძველესმა ნანგრევებმა შე-
მოგვინახეს გადარჩენილი წიგნები, რომელთა მიხედვითაც
შეიძლება ვიმსჯელოთ აქაური ბიბლიოთეკების რაობაზე.



მოცემულ საუკუნეებში აღმოსავლეთის ქვეყნებში წერილი ისა და საბიბლიოთეკო საქმის ისტორიისათვის სწორი რამ განსაკუთრებულად ღირსშესანიშნავი არაფერი ჩანს. შეა აზიის ქვეყნებში ამ დროს ფეოდალურ ცენტრალიზმებული ხელისუფლებისათვის დამახასიათებელი მუსულმანური კულტურა ბატონობს, შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში კი ძირითადად ბუდისტური კულტურა. მთელ ამ მხარეში განსაკუთრებით დიდია ჩინელების ზეგავლენა.

იაპონიაში, სადაც ბიბლიოთეკების გაჩენა ბუდიზმის შემოღებასთანაა დაკავშირებული (მე-7b), მე-12-16 საუკუნეებში არისტოკრატიის პოლიტიკური სიძლიერის დაცემა აღინიშნება. შინააშლილობით აწიოქებულ ქვეყანაში სამხედრო-ფეოდალური დიქტატურა მყარდება. ეს თავისთავად საკმაოდ მაღალი კულტურის დაქვეითებას იწვევს. იღუპება ბიბლიოთეკები, ნადგურდება წიგნები. ამ პირობებში იაპონიაში წარმოიშვა ბიბლიოთეკის ახალი ტიპი, ეწ. „ბუნკო“ (საცავი, წიგნების საგანძე). მათი მთავარი ფუნქციაა, მხოლოდ ფონდების, როგორც ძვირფასი განმის დაცვა. ცნობილია ორი ასეთი ბიბლიოთეკა, რომლებიც მსხვილ ფეოდალურ კლანს განეკუთვნებოდა – ასიკაგასა და კანაძავასი. მთელი ასეული წლის განმავლობაში ისინი კულტურის უმნიშვნელოვანებს ცენტრებს წარმოადგენდნენ, რომლებმაც დღემდე შემოგვინახეს უაღრესად ფასეული შუასაუკუნეობრივი იაპონური წიგნები.

თვით ჩინეთი, რომლის რელიგიურ-კულტურული და საგანმანათლებო ტრადიციები შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების უზარმასარ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა, ამ დროს მონღოლთა შემოსევების წყალობით დაქვეითდა-საგულისხმოა, რომ ჩინური კულტურის ზეგავლენას თვით დამპურობლებიც კი განიცდიდნენ. მე-14 საუკუნის შეა ხანებში ჩინელებმა მოახერხეს, თავი დაედწიათ მონღოლთა მონობისაგან. კვროპელი კოლონიზატორების წყალობით, კერ მოხერხდა ამ ქვეყნის ხალხთა კონსოლიდაცია, რამაც დიდად შეაფერხა მისი კულტურული განვითარება.



ეს წიგნისა და საბიბლიოთეკო საქმეზეც უარყოფითად მოქმედებდა. აქ მხოლოდ სამონასტრო და ფეოდალთა კულტურულ ბიბლიოთეკებს ვხვდებით, რომელთა საქმიანობას დიდი კულტურული ძვრების მოხდენა არ შეეძლო.

აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის ერთგვარად გამორჩეულია საარსეთი. აქ ისლამი მე-10 საუკუნისათვის საფოელთაო რელიგიად იქცა, რამაც განაპირობა კიდევ ძველის ტრადიციები. მე-12 საუკუნეში გახშირდა დინასტიური ომები. ირანის დიდი ნაწილი დაიმორჩილა ხვარაუმშაჲ თექეშმა, ხოლო მე-13 საუკუნისათვის ირანი დაიმორჩილეს მონღოლებმა. ეს გახდა ირანის კურნომიკური და კულტურული დაქვეითების მიზეზი. მე 14 საუკუნისათვის ქვეყანა რამდენიმე სახელმწიფოდ დაიშალა. ეს პროცესი შემდგომში კიდევ უფრო გაღრმავდა; ვიდრე მე-16 საუკუნეში საფუძველი არ ჩაეყარა სეფიანთა დინასტიას და ირანის სახელმწიფოს სათავეში არ ჩაუდგა აბას პირველი 1587 წელს.

ამგვარ პირობებში შეუძლებელი იყო განვითარებულიყო ქვეყნის კულტურა. ამ პერიოდში დაქვეითებულია ერთ დროს აღორძინებული წიგნისა და საბიბლიოთეკო საქმე, ბიბლიოთეკები ძირითადად თავმოყრილია მედრესეებში და აბსოლუტურად რელიგიური ხასიათისაა. აქა-იქ არსებობს მდიდარ ფეოდალთა ბიბლიოთეკები. არ ხდება იმ დიდებული ტრადიციის განვითარება, რომელიც ჯერ კიდევ მეთერთმეტე საუკუნეში ჩამოყალიბდა ლიტერატურულ ცხოვრებაში, ძირითადად სახოტბო პოეზიისა და რომანული კროსის სახით და რომლის მწვერვალს „ვისი და რამინი“ წარმოადგენდა. ამ პერიოდში მოღვაწეობდნენ მსოფლიო მნიშვნელობის შემოქმედები: ნიზამ განჯელი, ხოსროვი, ხაკანი, ხაიამი, რუმი, საადი, ჰაფეზი, ჯამი, ქეიქაუზი და სხვანი, მაგრამ მიუხედავად ამის, სეფიანთა ეპოქა საარსული ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის ვერ გამოდგა შესაფერისი, რაც გამოწვეული იყო იმ დაქსაქსულობით, რაც დამახასიათებელია ირანის ლიტერატურული ცენტრებისათვის. ამას ემატება ისიც, რომ მხატვრულ ლიტერ-



ატურასთან შედარებით, დაქვეითებულია მეცნიერებულია ასროვნება, ძლიერდება რელიგიური ზეგავლენა უცხოურების წესებსა და განათლების სფეროზე. ყოველივე ამან საგრძნობლად დაქვეითა საბიბლიოთეკო საქმე. ამ მიმართულებით არ გვხვდება რაიმე მნიშვნელოვანი, რომელიც საბიბლიოთეკო საქმის ისტორიაში განსკუთრებული აღნიშვნის ღირსია.

დაახლოებით იგივე ითქმის მსოფლიოს ერთ-ერთ გრანტურ ქაჟანაზე, უჭველესი, თვითმყოფადი კულტურის მქონე ინდოეთზე. პირველი ბიბლიოთეკები აქ ძვ. წ. მ. გ-8 საუკუნეში ჩნდება, მაგრამ ისინი ვერაფრით შეედრებიან არქაული ხანის ბიბლიოთეკებს.

მე-11-15 საუკუნეებში ინდოეთში საბიბლიოთეკო საქმის განვითარების პროცესი ძირითადად შემოიფარგლებოდა კულტურულ ფერდალთა საშინაო ბიბლიოთეკების მოღვაწეობით. იმ პირობებში, როდესაც მთელი საბიბლიოთეკო საქმე სასულიერო დაწესებულებათა ხელში იყო, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმგვარ კერძო ბიბლიოთეკებს, სადაც დიდი რაოდენობით იყრიდა თავს საერთ ლიტერატურა. სწორედ ამგვარი იყო ტანჯორის რაჯის ბიბლიოთეკა, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია.

მე-11-15 საუკუნეების საბიბლიოთეკო, საქმის ანალიზი გვიჩვენებს, რომ როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში ადგილი აქვს საკმაოდ შესამჩნევ თვისებრივ ცელილებებს – საწერ მასალად თითქმის ყველგან მკვიდრდება ქაღალდი, ამაღლდა ფონდების დაცვის, ბიბლიოგრაფების, საბიექტო სისტემების წარმოების კულტურა, სახე იცვალა საწერმა მოწყობილობამ და მასალამ, დაიხვეწა წიგნის ფორმა და მისი გამოყენების ტრადიციები, საფუძველი ჩაეყარა წიგნმცოდნებისა და ბიბლიოთეკათმცოდნების, წიგნი იქცა სწავლების იარაღად, ბიბლიოთეკა კულტურის ცენტრად, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც შეინიშნება საბიბლიოთეკო საქმის დაქვეითება-ენინდება ბიბლიოთეკები, მცირდება მათი მოქმედების მასშტაბები, იქარგება ისედაც



უმნიშვნელო დემოკრატიული თვისებები, ისინი სულ უფრო მაღალი
და უფრო გეცევიან წარჩინებულთა ქლანის სამსახურში,
ძლიერდება საცენტურო საქმიანობა და რელიგიური
ზედამხედველობა. ყოველივე ეს ამ პერიოდისათვის დამახ-
ასიათებელი არეულობის, გამუდმებული ომების, ურთიერთ
დაპყრობის, შინააშლილობის, რელიგიური რეტინის და სხვა
უამრავ უარყოფით მოვლენათა მოჭარბების ნაყოფია. ეს
ძირს უთხრიდა საერთო კულტურის განვითარების საქმეს.
სწორედ ამ მოვლენას გამოუცხადა ბრძოლა ამავე კოქა-
შივე ჩასახულმა ახალმა დიდმა მოძრაობამჲუმანიზმმა,
რომლითაც ქაცობრიობის ისტორიაში ახალი ერის დასა-
წყისს ჩაეყარა საფუძველი.

6. საბიძლიოთეპო საქმე რენესანსის შეცვალები ეპოდაზი

6. 1. პუბლისტური მოძრობის ზეგავლენა საბიძლიოთეპო საქმის ბანვითარებაზე

რენესანსად, ანუ აღორძინების ხანად ითვლება კულტურული და იდეოლოგიური განვითარების პერიოდი, რომელიც მე-14-16 საუკუნეებს მოიცავს და ძირითადად ევროპულ ნაწილზე კრიელდება, თუმცა შემდეგი მისი ზეგავლენა მეტ-ნაკლებად მთელმა მსოფლიომ განიცადა. სათავეს ის იტალიაში იდებს, სადაც ყველაზე ცოცხლად იყო შემორჩენილი ანტიკური კულტურის ტრადიციები, სადაც ინტერესით ეკიდებოდნენ ძველბერძნული და რომაული კულტურის ძეგლების შესწავლას, უზარმაზარი მემკვიდრეობის ათვისებას, სწორედ ამიტომაც უწოდეს ამ ეპოქას დიადი აღორძინების ხანა, ხოლო მის ძირითად იდეოლოგიურ მრწამს-ჟუმანიზმი.

აღორძინება სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროსა და ვითარებაში დაიწყო. იტალიიდან ის ჯერ ახლობელ მეზობლებზე გავრცელდა, შემდეგ კი უფრო შორეულ ქავშნებამდეც მიაღწია. რენესანსი წარმოიშვა შეა საუკუნეების ქალაქები კულტურის საფუძველზე. ბუნებით იგი ანტიფეოდალურია, მისი მსოფლმხედველობა პუმანისტური და ამდენად, დემოკრატიული იდეების წარმოშობას უწოდს ხელს. მისი სოციალურ-ეკონომიკურ წინაპირობას წარმოადგენს ის ძვრები, რომლითაც აღინიშნა რენესანსის წინა პერიოდი – მანუფაქტურული წარმოების, ვაჭრობის, საბანკო და კომერციული ოპერაციების, მევაბშეობის განვითარება. უზარმაზარმა კაპიტალმა მოიყარა თავი მეწარმეთა და ფეოდალური არისტოკრატიის ხელში, რომლის დიდი ნაწილი კულტურასა და მეცნიერებასაც მოხმარდა. ამ პერიოდში განსაკუთრებით განვითარდა ნავიგაცია, რაც, უკირველეს ყოვლისა, ზუსტ მეცნიერებათა მონაპოვრების

ათვისებას საჭიროებდა. იწყება დიადი გეოგრაფიული ა-
მოჩენები, გაძლიერდა კოლონიური დაპყრობების მასშტაბით
ბები, რამაც ევროპაში სხვადასხვა ქვეყნებიდან დიდძლი-
ქონების შემოზღვას შეუწყო ხელი. ქალაქებში წარმოიშვა
გონიერივი შრომის ადამიანთა ფენა, მოხდა მეცნიერული
შრომის დიფერენცირება. რამაც ბიძგი მისცა პროფესიონ-
ალ მეცნიერთა დაოსტატების საქმის განვითარებას, საგნის
უფრო ღრად წელომასა და საფუძვლიან შეცნობა-შესწავ-
ლას. განათლების სისტემა შედარებით დემოკრატიულ ხა-
სიათ იძენს, შეძლებულ მოქალაქეთა დიდ ნაწილს საშუ-
ალება ეძღვევა, საქმაოდ მაღალპროფესიული ცოდნა მი-
იღოს. ყოველივე ეს ხელს უწყობს სწავლულთა, მეცნიერ-
თა, კულტურისა და ლიტერატურის მოღვაწეთა გამრავლე-
ბას. სწორედ ისინი წარმოადგენენ ახალი აღორძინების
ფუნდამენტს. რენესანსის ხანა აღინიშნება არა მარტო
ჰუმანურ-კულტურული აღორძინებით, არამედ პოლიტიკურ-
სოციალური გარდაქმნებითაც. სწორედ ამიტომაც უწოდე-
ბენ მას რეფორმაციის ხანასაც.

გამოჩენილი მეცნიერების, მოაზროვნეების, მწერლების,
პოეტების, ხელოვნებისა და განათლების დარგის მოღვაწეების
მოელი პლეადა იდებდა მონაწილეობას ახალი მსოფ-
ლმხედველობის ჩამოყალიბებაში, რომლის ცენტრში იდგა
აღამიანი. ეს მოძრაობა მირითადად სამი მიმართულებით
წარიმართა: არსებული პოლიტიკური სასტემის რეფორმა-
ცია, ჰუმანისტური მსოფლმხედველობის აღორძინება,
ბუნებათმცოდნეობის ღრმად წვდომა.

ევროპული ქვეყნების უმეტეს ნაწილში ხდება ბურჟუა-
ზიული ურთიერთობების ფორმირება. ეს მირითადად ხელს
უწყობს ერთიანი ნაციონალური ერთეულების შექმნას-
ყალიბდება ეროვნული ენა და კულტურა, ძლიერდება
ეროვნული ლიტერატურა.

ამ პერიოდში საგრძნობლად იცვლის სახეს წიგნი და
მისი დაცვის ტრადიციები. იწყება წიგნის ბეჭდვა, რამაც
მოელი გადატრიალება მოახდინა წიგნის წარმოებისა და



გავრცელების საქმეში. ამასთან დაკავშირებით, ცნობა იცვლება საბიბლიოთებულ საქმე, ბიბლიოთეკის საქმიანობის ფორმა და შინაარსი.

იხსენება ახალი უნივერსიტეტები შესანიშნავი ბიბლიოთეკებით, არსედება საჯარო ბიბლიოთეკები, ბევრი სამონასტრო ბიბლიოთეკა ქალაქის გამგებლობაში გადადის. ბიბლიოთეკების ფონდებში ნაციონალურ ენაზე გამოცემული წიგნები ჭარბობს, ზუსტდება კატალოგების შედგენის, ფონდების განლაგების, მეითხველთა მომსახურების წესები. საქალაქო ბიბლიოთეკები შედარებით ფართოდ უდებს ქარს მანამდე სრულიად უცნობი კატეგორიის მეითხველებს, როგორებიც არიან: ზღვაოსნები, ინჟინრები, მასწავლებლები, იურისტები, ვაჭრები, მოზაურები, ხელოსნები.

დიად აღორძინებას არ აკლია მძაფრი წინააღმდეგობებიც, რაც ძირითადად რელიგიურ ნიაღაგზე არის აღმოცენებული, მაგრამ მისი სიდიადე სწორედ იმაშია, რომ მაინც შეძლო კაცობრიობისათვის გაედო კარები შემდგომ პროგრესში გადასასვლელად.

6.2. საბიბლიოთეკო საჭიროებების მდგრადი განვითარება

რენესანსს სათანადო პირობების წყალობით, იტალიაში ჩაეყარა საფუძველი. რომი, ფლორენცია, ბოლონია, პადუა აყვავებულ ქალაქებს წარმოადგენდა, სადაც მტკიცედ იყიდებდა ფეხს პუმანისტური იდეები. ანტიკური კულტურისადმი პატივისცემა, მისი გამოცემების ხელს უწყობდა იმგვარი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, რომლის ცენტრში რეალურად არსებული ადამიანი იღება. მეცნიერებისა და კულტურის აღმავლობა აზროვნების გაფართოვანის იწვევდა, რაც თავისთვალ პუმანიზმის გაძლიერებას უწყობდა ხელს.

პუმანისტები დიდად აფასებდნენ წიგნებსა და ბიბლიოთეკას. მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის განვითარებას.

ბა ერთიორად ზრდიდა წიგნზე მოთხოვნილებას. იტალიის
მრავალ ქალაქში შეიქმნა როგორც საქალაქო, ისე საქართველოს
ნასტრო და სასწავლო ბიბლიოთეკები, მაგრამ განსაკუთრე-
ბულ ყურადღებას ამ პერიოდში მდიდრული კერძო ბიბ-
ლიოთეკები იპყრობენ, რომლებიც შეძლებულ ოჯახებში
იქმნებოდა. ამ მხრივ, არ შეიძლება გვერდი ავტაროთ პე-
ტრარკას. დიდი პუმანისტი პოეტი მოგზაურობის დროს
გამუდმებით დაეძებდა ძველ მწერალთა წიგნებს, იშვიათ
ხელნაწერებს. ამგვარად აღმოაჩინა მან და შეიძინა
პორაციუსის, კვინტილიონის, ციცერონის ხელნაწერები. ის
მიმოწერის საშუალებით უკავშირდებოდა სხვადასხვა ქალა-
ქებში თავის ნაცნობ-მეგობრებს და წიგნებს სთხოვდა. პე-
ტრარკა წიგნებს თითქმის არასდროს შორდებოდა. მოგზა-
ურობის დროს მათი ერთი ნაწილი თან მიაქონდა. გადაწ-
ყვეტილი პქონდა, აღუდგინა ძველი რომაული ტრადიცია
და საჯარო ბიბლიოთეკა გაეხსნა. ამ მიზნით მან 1362
წელს თავისი ბიბლიოთეკა ვენეციას უანდერდა.

მაგრამ იტალიაში ყველაზე დიდი და განთქმული ბიბ-
ლიოთეკის მფლობელი იყო ფლორენციის დიდებული
ნიკოლო ნიკოლი, რომელიც მე-14 – 15 საუკუნეთა მიჯნაზე
მოღვაწეობდა. ის პირდაპირ შეპყრობილი იყო წიგნების
სიყვარულით, მთელი სიცოცხლე წიგნების შეგროვებასა
და კითხვას მოანდომა. მას თანამედროვენი მანუსკრიპტ-
ბის ყველაზე ცნობილ შემგროვებლად მიიჩნევდნენ.

საერთოდ, კერძო პირთა ბიბლიოთეკებს მაშინ აქვს მნიშ-
ვნელობა, როცა ისინი საზოგადოების მიერ ფართოდ გამ-
ოყენება. ეს თავისებურება მაინცა და მაინც არ ახასი-
ათებს კერძო ბიბლიოთეკებს, ნიკოლი კი სწორედ ამით
გამოირჩეოდა. მას თფიციალურ სამსახურში არასდროს
უმუშავია, მაგრამ ყველა დიდ მოხელესთან მეგობრობა და
ნაცნობობა აკაგშირებდა. ყველა სახელმწიფო მოდვაწე,
რომელიც კი ფლორენციაში ჩამოდიოდა, თავს ვალდებუ-
ლად თვლიდა, სწვეოდა მას და გასცნობოდა მის ბიბ-
ლიოთეკას. ძალიან უყვარდა წიგნების შესახებ სჯა-ბასი,

დაგა-კამათი, სიამოვნებით ათხოვებდა წიგნებს ყველას, ვისც
კი მოესურვებოდა. ოჯახში რამდენიმე გადამწერე ჰქოვდა
რომლებიც მისთვის მოღვაწეობდნენ. მან საფუძვლით მართდა
შეისწავლა პეტრარკა და მის ნაშრომებს მეტად საინტერესო
კომენტარები დაურთო. მას თავისი რწმუნებულები პეტრი
რომლებიც სხვადასხვა ქამანებში ემიტდნენ და აგროვებდნენ
წიგნებს.

საქმაოდ კარგი წიგნების კოლექცია პქონდა დიდ პუ-
მანისტ მოასროვნეს და მწერალს ჯოვანი ბოკაჩის. მან
თავისი ბიბლიოთეკა 1374წ. წმინდა მარკოზის მონასტერს
უანდერძა, მაგრამ აქ ისეთ დღეში აღმოჩნდა ეს კოლექცია,
რომ განადგურების პირას იყო მიმდგარი. სწორედ ამ მდგო-
მარეობაში იხილა ის ბიბლიოთეკა ნიკოლიმ და საჭირო
ზომები მიიღო.

ნიკოლის ცხოვრების ბოლო წლებში ვატიკანის ბიბ-
ლიოთეკაზე უფრო მეტი წიგნები დაუგროვდა. მთელი თავი-
სი ბიბლიოთეკა მან ანდერძით ფლორენციას დაუტოვა,
მაგრამ ნიკოლის დიდი ვალები დარჩა და მევალეებმა
წიგნების ცალ-ცალკე გაყიდვა გადაწყვიტეს. მაშინ ქალა-
ქის მმართველმა კონიტო მედინმა (1389-1464) გადაიხადა ეს
ვალები და ბიბლიოთეკა ქალაქს შეუნარჩუნა. მას სურდა
თვითონ შეესყიდა იგი, მაგრამ რაეკი ეს საქმაოდ ძვირი
აღმოჩნდა, ისევ თავის გადამწერებს გადააწერინა მთელი
ბიბლიოთეკა. გადამწერეთა 45-კაციანი ჯგუფი 22 თვე
მუშაობდა ამ საქმეზე. მედინის თხოვნით, ნიკოლის ბიბ-
ლიოთეკის მთელი ფონდი თავისებური სისტემით აღწერა
პაპის კურიის მდივანშა, ნიკოლის მევობარმა პარგნტუჩელ-
მა. ამ ნუსხას სიზუსტისა და სიმწყობრისათვის თავისი
დროის „ბიბლიოგრაფიულ კანონს“ უწოდებდნენ.

კოზიმო მედინის თაოსნობით ნიკოლის წიგნები მოთ-
ავსებული იყო წმინდა მარკოზის მონასტერში, რომელიც
მან გაანახლა და აქ პირველი საჯარო ბიბლიოთეკა გახს-
ნა. კოზიმო მედინის მეცადინეობითა და ხარჯებით ეს
ბიბლიოთეკა სისტემატურად იქსებოდა სხვადასხვა ქამა-



ნიდან ჩამოტანილი წიგნებით. შემდეგში კოზიმო მედიხის
საქმე მისმა მემკვიდრეებმა განაგრძეს.

ასეთი ნათელი და დიდი ისტორია არ პქონდა სხვა
კერძო ბიბლიოთეკებს, მაგრამ მათი არსებობა ყველა ქაშ-
ანაში უდიდეს კულტურულ როლს ასრულებდა. თავისი
შემაღებელობით ისინი რადიკალურად განსხვავებული იყო
საეკლესიო-სამონასტრო და სასწავლო ბიბლიოთეკებისა-
გან, როთაც კიდევ უფრო იზრდებოდა მათი მნიშვნელობა.
აღორძინების ეპოქისათვის კერძო ბიბლიოთეკების ქალა-
ქის საკუთრებში გადასვლა საკმაოდ გავრცელებული მოვ-
ლენა იყო.

მე-13-14 საუკუნეებში იტალიაში სასწავლო ხასიათის
ბიბლიოთეკებიც წნდება. ერთ-ერთ მსხვილ ცენტრს წარ-
მოადგენდა ბოლონიის უნივერიტეტის ბიბლიოთეკა. რაც
შეეხება სამონასტრო ბიბლიოთეკებს, ისინი თანდათან
უფრო და უფრო კნიდებოდა. ამის დასტურია სწორედ
ბოკაჩოს გამოხმაურება მონტეპასინის მონასტრის ბიბ-
ლიოთეკაზე მისი დათვალიერების შემდეგ. აქ მან არნახუ-
ლი სიღატაკე და გულგრილობა იხილა. ხარბი ბერები
წიგნებში ფეხებდნენ ნაწერებს და თავიანთ ტექსტებს აწერდ-
ნენ ზედ, ჭრილნენ მთელ გვერდებს და პატარ-პატარა ფრაგ-
მენტებს ამზადებდნენ, რომ უფრო იოლად გასაღებულიყო.

სასულიერო ხელისუფლება გამუდმებით ცდილობდა
ხელო ეგდო წიგნის გავრცლების სადაცები. ამ მიმა-
რთულებით განსაკუთრებით გაძლიერდა მისი მოქმედება
წიგნის ბეჭდვის შემოღების შემდეგ. საქმე იქამდე მივიდა,
რომ 1471წ. პაპმა სიქსტუს მე-4 წინასწარი ცენტურაც კი
გამოაცხადა. ხოლო პაპმა ლეო მე-10 მიაღწია იმას, რომ
მსოფლიო ქრისტიანთა მე-18 კრებაზე მიეღოთ გადაწ-
ყეტილება, ამგვარი საცენტურო წესი მთელ საქრისტიანო
სამყაროზე გავრცელებულიყო. ეპისკოპოსებს ევალებოდათ,
პირადად დაწესებინათ მეთვალყურეობა ამ წესის განუ-
ხრელად შესრულებაზე.

ეპლესია პირველ ხანებში წინ აღუდგა ბეჭდვის საქმეს.



თავდაპირველად დუთერმაც კი – გერმანიაში შემოწმებული მაციის სულისხამდგმელმა უარი თქვა თავის წმინდაში სტამბურად გამოქვეყნებაზე. ეს გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, იმით, რომ უკვე ძნელდებოდა მეთვალყურეობა წიგნზე, ხოლო, მეორე მხრივ, იმით, რომ სამღვდელოება კარგავდა მონოპოლიას წიგნის წარმოებაზე, რამდენადაც წიგნის გადაწერის საჭმე უმეტესად მათ ხელში იყო.

სტამბამ ერთიასად გაზარდა ტირაჟები. სულ რამდენიმე წელიწადში იმდენი წიგნი გამოიცა, რამდენიც საუკუნის განმავლობაში არ წარმოებულა. მიუხედავად ამისა, იტალიაში მაინც ძალიან დიდხანს პრიორიტეტი ხელნაწერ წიგნებს ენიჭებოდა.

ამაზე მეტყველებს ბიბლიოთეკების შესახებ არსებული მონაცემები. ყველა ტიპის ბიბლიოთეკა უფრო მეტად ხელნაწერი წიგნებით იცხებოდა, ვიდრე ნაბჭდით. ამიტომაც მე-18 საუკუნეებში შემორჩა იტალიას წიგნის გადამწერთა სამქროები.

იტალიის საბიბლიოთეკო საქმისათვის დამახასიათებელი თავისებურებაა აგრეთვე საბიბლიოთეკო კატალოგების თეორიისადმი განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება. შრომების მთელი სერიები ქვეყნდებოდა საკატალოგო მეურნეობის მოწესრიგებაზე. მათ შორის გამორჩეულია ბენედიქტიანელი ბერის ფლორიან ტრეფლერის ნაშრომი, რომელიც 1560 წელს გამოქვეყნდა და მეთოდიკური მითითებების ერთგვარ დამუშავებას წარმოადგენს. ნათლად ჩანს, რომ ავტორი კარგად იცნობდა როგორც იტალიურ, ისე უცხოურ საკატალოგო სისტემებს. მას ბიბლიოთეკოსათვის სავალდებულოდ მიაჩნდა ანბანური, სისტემატური და საგნობრივი კატალოგები. თავის ნაშრომებში ტრეფლერი ხაზგასმულად მოითხოვდა, რომ ბიბლიოთეკა ქვეყნად წამყვან საზოგადოებრივ ძალებს უნდა მსახურობდეს.

იტალიური ტრადიციების დიდ გავლენას განიცდიდა სხვა შედარებით მცირე ქვეყნები-დალმაცია, უნგრეთ-ხორვატიის სახელმწიფო, ჩეხეთი, პოლონეთი. იტალიისა და



მისი პედაგურის გავლენის ქამ მუოფი ქვეყნების ბიბლიოთეკების ლიონთვეკების ფონდების გამდიდრებას ხელს უწყობდათ ბერძნების ემიგრაცია, რაც თურქების მიერ ბიზანტიის დაკრობის შემდეგ სულ უფრო დიდ მასშტაბებს იღებდა. ბიზანტიიდან ბერძნებს შემოჰქონდათ მრავალი ხელნაწერი, ხელოვნების ნიმუში, ძვირფასი მანუსკრიპტები, ორიგინალური ხელნაწერი, ხელოვნების ნიმუში, ძვირფასი მანუსკრიპტები, ორიგინალური ხელნაწერები. მათი უდიდესი ნაწილი იმ პერიოდის ყველაზე მდიდარ ქალაქში – ვანა ციაში იყრიდა თავს.

პუმანისტური მოძრაობა გერმანიასაც მაღე მოედო. მე-16 საუკუნისთვის ეს მოძრაობა უკიდურესად განვითარდა და ძირითადად კათოლიკური ეკლესიის – როგორც ფეოდალური წევრის თავგამოდებული დამცველის – წინააღმდეგ ამხედრდა.

გერმანელი პუმანისტები: რუდოლფ აგრიკოლა, კონრად ცელტეხი, პოლანდიური წარმოშობის ერაზმ როტერდამელი თავიანთ მიმდევრებთან ერთად უნივერსიტეტებში აარსებდნენ ანტიკური კულტურისა და ენის შემსწავლელ წრებს. მხერვალედ ქადაგებდნენ პუმანისმის იდეებს, აშკარად იძროდნენ სქოლასტიკური განათლების წინააღმდეგ, თავგამოდებით აგროვებდნენ საჭირო წიგნებს და საქმაოდ მდიდარ ბიბლიოთეკებს ქმნიდნენ.

გერმანელი პუმანისმი რეფორმაციის ავანგარდში იდგა, აშკარად გამოიძოოდა კათოლიკური რელიგიის სამოქალაქო ცხოვრებაზე დიქტატის წინააღმდეგ. პუმანისტურმა მოძრაობამ თავის აპოგეას მიაღწია, როცა მას სათავეში ჩაუდგა ვიტენბერგის უნივერსიტეტის დათისმეტყველების პროფესორი მარტინ ლუთერი (1483-1546). მას მიანწდა, რომ რეფორმაციულმა მოძრაობამ ბიბლიოთეკებს მონასტრების კედლებიდან უნდა გააღწევინოს თავი. ლუთერს ექვთნის აზრი, რომ ქალაქების განვითარების, მათი უოველმხრივი უსრუნველყოფის საწინდარი განათლებულობაა. ამიტოცი ქალაქები, განსაკუთრებით ცენტრალური, არ უნდა ერიდა-

ბოდნენ ხარჯებს ხალხში წიგნიერების დასანგრევად.
მე-15-16 საუკუნეებში გერმანიაში იქმნება საჯარო ლიტერატურა, ლიონთეკები-1429წ. ნიუნბერგში, ხოლო 1532წ. აუგსბურგში. ამ ბიბლიოთეკებს საფუძველად სამონასტრო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდები დაედო.

რენესანსის ხანძარი განსაკუთრებით სწრაფად საფრანგეთს მოედო. კულტურული აღმავლობა იმდენად ძლიერი იყო, რომ იგი რელიგიურმა ომებმაც ვერ შეარყია. ფრანგული აღორძინების ძირითად ცენტრად იქცა პარიზი, ლიონი და ნავარიის ზოგიერთი ქალაქი. 1530წ. პარიზში, ისესხება ახალი უნივერსიტეტი-სორბონის, რომელიც მოდიანად საერო ხასიათს ატარებდა. საუნივერსიტეტო მოდგაწვების შედეგად იქნა შესაძლებელი 1635 წელს პარიზში საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის დაარსება. აღსანიშნავია, რომ პროფესორებმა და აკადემიკოსებმა საქმაოდ მდიდარი კერძო ბიბლიოთეკები შექმნეს.

ფრანგული ლიტერატურა და ხელოვნება ცდილობს არაფრით ჩამორჩეს იტალიურს. დიდი ყურადღება ეთმობა არა მარტო ანტიკური ლიტერატურის შესწავლას, მის პრაქტიკულ გამოყენებას, მითებს და ჩრაგვების თემების გამოყენებას. ხდება ბიბლიოური თემატიკის მხატვრული დამუშავებაც. განსაკუთრებით მაღალ საფეხურს აღწევს ლიტერატურათმცოდნეობა და არქიტექტურა, ვითარდება თეატრალური ხელოვნება, საფუძველი ეყრება მრავალ ახალ ლიტერატურულ ქანრს.

ფრანგული რენესანსის პირობებში თვისებრივად ახალ სახეს იქნეს საბიბლიოთეკო საქმე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საგამომცემლო საქმეში მაღალმხატვრულ დონეზე წიგნების გამოცემას, სისტემაში შემოდის ბეჭდური პროდუქციის აღრიცხვა და რეგისტრაცია, იწყება ბიბლიოგრაფიული საქმიანობა. ამას საფუძველი ჩაუყარა ნაციონალური ბიბლიოგრაფიის შექმნელმა დელაკრუამ, რომლის ნაშრომი 1584წ. გამოქვეყნდა პარიზში. 1585 წელს ლიონში გამოდის აგრეთვე დოუ ვერდიეს მიერ შედგენი-

ლი ბიბლიოგრაფიული ნაშრომი. ამ ჟრომებს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა, როგორც უმნიშვნელოვანებს ბოტანიკური ლიტერატურის წერილებს, რომლებმთვე განსაკუთრებული სრულყოფილადაა ასახული მუ-16 საუკუნის ფრანგული ბეჭდური პროდუქცია. დელაკრუას ნაშრომს თან ერთვოდა სამეფო ბიბლიოთურის ორგანიზაციის პროექტი, რომელიც ავტორია 1583წ. წარუდგინა მეფე ჰენრი მუ-3. წინადაღება იყო წამოყენებული, ფონდი 100-100 კარადაში მოეთავსებინათ, თითოეულში ათი თარო უნდა ყოფილიყო, თითოეულ თაროზე 100 წიგნი დალაგებულიყო, რომელიც საკრთო ჯამში 1000 წიგნს შეადგენდა. ყოველ კარადაში მოთავსებული წიგნები რომელიმე ერთ დარგს უნდა განკუთვნებოდა, კარადაზე მიმაგრებულ ფიფრიტაზე ეს დარგი იქნებოდა და აღნიშნული. დელაკრუამ შეადგინა 100 კარადის ნუსხა. თუ რა დარგები იქნებოდა წარმოდგენილი და თითოეულ დარგს (იგვე კარადას) თავისი ნომერი – ინდექსი მიანიჭა. ეს 100 კარადა მთლიანად წარმოადგენდა მთელ თემატურ კომპლექსს. ფაქტობრივად, ესევ ფონდების განლაგების მიმაგრებითი სისტემაა, რომელიც შეუძლებელი იყო სხვაგარად განხორციელებულიყო, მაგრამ თვით მიმაგრებითმა სისტემამ, რომელიც მსოფლიოში პირველ ბიბლიოთურებულიც კი გამოიყენებოდა ჯერ კიდევ არქაულ ხანაში, თავის პრინციპები აღიარება პოვა, იგი ბევრგან დაინერგა და ახლაც გამოიყენება ზოგ დიდ ბიბლიოთურებაში.

პეტანიზმი საფრანგები ინკვიზიციასთან საპირისპიროდ კრცელდებოდა. „მწვალებლობის“ წინადმდებარებულ რად იბრძოდნენ ბერების ორდენები, რომელთაგანაც განვითრებული სისასტერიკით იქნებოდი გამოირჩეოდნენ. მათ ერების წინადმდებარებით ბრძოლის მიზნით სპეციალური სახ-წავლებლები პქონდათ შექმნილი, სადაც ბეჯითად ეცხო-ბოდნენ მათვეის არასასტურებელ მოძღვრებებს. ამისათვის საჭირო იყო შესაფერისი ლიტერატურის შეპროვება და მისი წესრიგში მოყვანა. ამნაირად იქმნებოდა ერესიული დიტერატურის შეტანა და მდიდარი ბიბლიოთეკები. ასეთი



ბიბლიოთეკა გააჩნდა, მაგალითად, პენრი მე-4 მიერ ჭდანუსამ ბულ ერთ-ერთ კოლექსს, რომელსაც „სამეფო ჰიტლერის ქოლეჯ რუაიალი“ ეწოდებოდა. ამ კოლეგიას მეფემ ერთ-ერთ ციხე-სიმაგრე დაუთმო. აქაური ბიბლიოთეკა ქარგად სარგებლობდა მეფის სიუხვით და სწრაფად ივხებოდა. ამ და მის მსგავს ბიბლიოთეკებში არასასურველი წიგნებიც ბლომად იყო, მაგრამ მათ განცალკევებით ინახავდნენ, რომ ქარგად დაენახათ, ვინ სარგებლობდა ამ ფონდით. ყველა სხვა ხახის ბიბლიოთეკებს, საერთოდ, ეკრძალებოდათ ეკლესიისათვის მიუღებელი ლიტერატურის შეძენა და მათი მკითხეველებზე გაცემა. ამ წესების დამრღვევთ მყაცრად ხჯიდნენ-ხიკვდილითაც კი. 1553 წელს მეფის ბრძანებით ხორბონის უნივერსიტეტში თვოლოგებმა „აკრძალული წიგნების სიაც“ კი შეადგინეს. ინკვიზატორები დრო და დრო ამოწმებდნენ წიგნების სავაჭროებსა და ბიბლიოთეკებს, ხომ არ ინახავდნენ ისინი აკრძალულ წიგნებს.

მუხედავად ასეთი სიმკაცრისა, პუმანისტური მოძრაობის ხაკადი იმდენად მძლავრი იყო, რეაქცია ვერ ახერხებდა მის აღკვეთას. ბოლოს და ბოლოს გამოვლინდა კიდევ პუმანისტური მოძრაობის ფარული მოქმედების შედეგები. მისი ნაყოფი იყო პირველი საჯარო ბიბლიოთეკა, რომლის დამარსებელი კარდინალი ჯულიო მაზარინი (1602-1662), რამდენიმე ხანს ამ ბიბლიოთეკაში მოღვაწეობდა წიგნმცოდნე, პუბლიციისტი, მედიცინის პროფესორი, ლუი მე-13 ექიმი გაბრიელ ნოდიე (1602-1653). ნოდიე დიდი სერიოზულობით ეკიდებოდა ბიბლიოთეკარის მოვალეობას; იგი ევროპის უდიდესი ბიბლიოთეკების მუშაობას გაეცნო და თავისებური მეთოდები შეიმუშავა. იგი თვითონ ხელმძღანელობდა მაზარინის ბიბლიოთეკის შევსებას.

მაზარინის გარდაცვალების შემდეგ ბიბლიოთეკა მუცის ოჯახის საკუთრებად გამოცხადდა, ხოლო ნოდიე სტოკ-პოლმში გადავიდა სამეფო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარად. მან შეადგინა და გამოსცა თავისი თვორიული ნაშრომი „რჩევანი ბიბლიოთეკის მოსაწყობად“, რომელშიც მოცემუ-

ლია რეკომენდაციები ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების სისტემის, მრავალფეროვნებისა და შერჩევის შესახებ იყო აქვთ ლაპარაკობს ე.წ. „პატარა“ ავტორებისა და წიგნების სიადმი ჟურალების მიპყრობის საჭიროებაზე.

ნოდიეს მოღვაწეობამ დიდად შეუწყო ხელი ბიბლიოთეკათმცოდნების ჩამოყალიბებას საერთოდ, საფრანგეთის საბიბლიოთეკო პრაქტიკა მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ევროპაში საბიბლიოთეკო საქმის შემდგომ განვითარებას.

ქვეყანა, სადაც რენესანსის გავლენა ინტენსიურად გავრცელდა, იყო ინგლისი, თუმცა აქ პუმანისტურმა მოძრაობამ საქმაოდ გვიან შემოაღწია, მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნებში მისი კრიზისი იწყებოდა. ამ დროისათვის ინგლისის ქველმა არისტოკრატიამ ფაქტობრივად ამოწურა თავისი თავი. ე.წ. „წითელსა“ და „თეთრ“ ვარდებს შორის წარმოებულ ფერდალურ ომებში ჩამოყალიბდა ახალი ბურჟუაზიული თაობა, რომელმაც უყოფელნოდ გაიზიარა პუმანიზმის იდეაბი, მიიღო ის რეფორმები, რომლებიც ევროპის ქვეყნებში მიმდინარეობდა. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ინგლისი აქტიურად ჩაება ახალი საგაჭრო გზების ათვისების საქმეში, რაც მის ქონებრივ მდგრამარეობას აუმჯობესებდა. ინგლისი ძალიან მოკლე ვადაში აღწევს წარმატებებს: ხდება მისი ეროვნული თეიტეგნების ჩამოყალიბება, აქ ვაგებას იწყებს მეცნიერება და ეკლესიურა. სასწავლო სისტემა საგვებით ახლებურ ნიადაგზე დგება, რასაც ხელი შეუწყო სრულიად ახლებური ტიპის სასწავლებლების – ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების დარსებამ. განსაკუთრებით აქტიურად და თანმიმდევრულად პუმანისტურ იდეებს ოქსფორდის უნივერსიტეტი ნერგავდა.

იტალიაში, საფრანგეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში აღორძინების დასაწყისში, სამონასტრო ბიბლიოთეკების გარდა, არსებობდა საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკები, ინგლისში კი ამ პერიოდისათვის წამყვანი ადგილი კალავ სამონასტრო ბიბლიოთეკებს ეჭირა. სხვა ტიპის ბიბ-



ლიოთეკების არსებობის მხოლოდ ერთული შემთხვევების ბია ცნობილი, როგორც იყო, მაგალითად, 1579წ. დაარსებული გრემიშ-კოლეჯის ბიბლიოთეკა. ეს კოლეჯი პირველი სასწავლო დაწესებულებაა ინგლისში, რომელიც ქლასიკური განათლების სისტემით გათვალისწინებული წაგნების გარდა, ისეთი დისციპლინებიც ჰქონდა შემოღებული, რომლებიც ზღვაოსნობის საქმის უკუ შესწავლის მიზანს ემსახურებოდნა – გეოგრაფია, ასტრონომია, საზღვაოსნო მოწყობილობანი და სხვ. აქ ლექციებს კითხულობდნენ ლათინურ და ინგლისურ ენებზე. აქაურ ბიბლიოთეკებში ლიტერატურაც შესატყვიილის იყო.

ინგლისური რეფორმაციის დროს ოქსფორდისა და კემბრიჯის ბიბლიოთეკები არ ფლობდნენ წიგნების დიდ მასივებს, მდგომარეობა ძირითადად მას შემდეგ შეიცვალა, რაც ჰქონი მე-3 (1495-1547) მონასტრებსა და ეკლესიებს წიგნებისა და სხვა ქონების დიდი ნაწილი ჩამოართვა – ჩაატარა ეწ. სეკულარიზაცია (საკულტერო მიწების კონფისიაცია). ეს იყო ერთ-ერთი მძლავრი დარტყმა, რომელმაც საგრძნობლად შეარყია კათოლიკური ეკლესიის ძალაუფლება, მაგრამ ამან ბიბლიოთეკები მაინცა და მაინც ვერ გაამდიდრა.

ჯერ კიდევ ოფიციალურ სეკულარიზაციამდე მეფემ 1533წ. სამეფო ბიბლიოთეკის მცველს (ბიბლიოთეკარს) ჯონ ლელენდ უმცროსს დაავალა, გამოეკვლია უკელა ეკლესიის, სააბატოს, კოლეჯის ბიბლიოთეკები, სადაც კი ინახებოდა მნიშვნელოვანი ძევლი ხელნაწერები, შეერჩია ფასეულობანი სამეფო ბიბლიოთეკისათვის. ლელენდის უხევირო მოქმედებამ საშუალება მისცა სასულიერო მსახურო, ბეჭრი რამის გადამალვა მოესწროთ. ამიტომაც, მან მხოლოდ რამდენიმე ასეული წიგნის შეგროვება შეძლო. ამის გამო ბეჭრი რამ უგზო-უკელოდ დაიკარგა და განადგურდა. არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს სამეფო ბიბლიოთეკაში წიგნების თავმოყრა მეფის ახირებას წარმოადგენდა – რაც შეძლება მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა, არამედ ეს გამოწვეული იყო სურვილით, ინგლისის წიგნადი სიმდიდრე ერთად და საიმედოდ ყოფილიყო თავმოყრილი.

1536-1539 წლებში გაუქმებულ იქნა 800 სამონასტრო ბიბლიოთეკა. განრისხებულმა ბერებმა ფონდების დიდი



ნაწილი დაწვეს ან დაფხრისტეს. ამის შესახებ ინგლისურთათა რენესანსის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი ჯონ ბეილი (1495-1563) გულისტიკივილით აღნიშნავდა, რომ ბერები შეგნებულად ანადგურებდნენ უმნიშვნელოვანეს ძველისძველ ხელნაწერებს.

რეფორმაციის პროცესი ხასტიყი წინააღმდეგობის გარეშე არც ინგლისში წარმართულა. 1549წ. დეუარდ მე-6 დროს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკები მნიშვნელოვნად დაზარალდა „წმენდისაგან“. მათ შორის ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა. მან კიდევ შეწყვიტა არსებობა. 50 წლის განმავლობაში უნივერსიტეტს არ ჰქონია ბიბლიოთეკა, მხოლოდ მე-16 საუკუნის ბოლოს დაიწყეს მისი ხელახლა შექმნა. ამ საქმეში განხაგუთრებით დიდი როლი ითამაშა ინგლისელმა დიპლომატმა და სწავლულმა თომას ბოდლეიმ. მან თავისი ხარჯებით აღადგინა წიგნსაცავი, გადასცა ბიბლიოთეკას მრავალი წიგნი. 1602წ. ბიბლიოთეკა საზეიმოდ გაიხსნა. ამ დროს მისი წგნადი ფონდი მხოლოდ 2 ათას შეადგენდა. ამ შენობაში ბიბლიოთეკამ 344 წელი დაჭყო და მხოლოდ 1946წ. გადავიდა ახალ კეთილმოწყობილ შენობაში. მის ფონდებში დაცული იყო ძ.წ. მე-2-3 საუკ. ხელნაწერები ლათინურ და ბერძნულ ენებზე, აგრეთვე ინგლისში პირველი ნაბეჭდი წიგნები, შექსპირის პირველი გამოცემები. ამ ბიბლიოთეკისათვის ბევრი რამ გააკეთა ჯერ უნივერსიტეტის ხტუდენტები და შემდეგ მისმა პროფესიონალი, თვალსაჩინო სწავლულმა და ფილოსოფიულმა ფრენისის ბექონმა (1561-1626).

ინგლისის საუნივერსიტეტო და კერძო ბიბლიოთეკებში მე-15-16 საუკუნეებში უკვე არსებობდა ლიტერატურის კლასიფიკის კარგად მოვიქრებული ხისტემა. წიგნები განლაგებული იყო ცოდნის დარგების არისტოტელესეული კლასიფიკაციის საფუძველზე შედგენილი სქემის მსგავსად.

ინგლისის, ისევე როგორც გერმანიის სასულიერო ბიბლიოთეკებში ეკლესიის მიერ მოწონებული წიგნები ნათელი ფერის ყდებში იყო ჩასმული და მარჯვენა მხარეს ინახებოდა, ხოლო მუქ ყდებში ჩასმული არასასურველი წიგნები – მარცხნა მხარეს. სასულიერო მოღვაწეები კონ-

სერვატულად უდგებოდნენ კატალოგებსაც – ლიტერატურის
აღნუსხვისას თეოლოგიური ლიტერატურა მაინცადა მათხე
პირველ რიგში უნდა ყოფილიყო მოქცეული.

ამ თვალსასწრისით ერთგვარ გამონაკელისს წარმოადგნდა ბიბლიოგრაფი და მწიგნობარი ენდრიუ მაუნსელი. მის მიერ 1595 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი „ინგლისური ნაბეჭდი წიგნების კატალოგი“ სრულიად ახალ მოთიქებს იძლევდა კატალოგების შედგენის წესების შესახებ. მაუნსელი თვლიდა, რომ კატალოგებში წინ უნდა ყოფილიყო წამოწეული ის ლიტერატურა, რომელზედაც კვლანე მეტი იყო მოთხოვნა. ასეთად მას მიაჩნდა საბუნებისმეტყველო წიგნები, იგი, საერთოდ, მნიშველოვან ადგილს უთმობდა თავის ნაშრომში წიგნების აღწერილობის ტქინოლოგიას.

აღნიშნულ ქვეყნებში არსებული ვითარება მეტ-ნაკლუბად ტიპური იყო ევროპის სხვა ბევრი ქვეყნისათვის. პარიზ-პარარა ქვეყნები შედარებით მოწინავე, დიდი ქვეყნების გავლენას განიცდიდნენ და იმათი ანალოგით აგებდნენ თავიანთ ქვეყანაში საბიბლიოთეკო საქმეს.

ამ წლებში ბერლინში ახალმა ინიციატივამ იჩინა თავი. გაეცენენ რა ამერიკის შევრთებული შტატების გამოცდილებას, პროფესორმა ფრიდრიხ ფონ-რაუმერმა 1841 წელს დააარსა „სამეცნიერო საუბრების საზოგადოება“. ამ საზოგადოების მეცადინეობით საკმაო ფული შეგროვდა, რომელიც სახალხო ბიბლიოთეკების დასახმარებლად ბერლინის აღგილობრივ მმართველობას გადაეცა, რომელმაც კიდევ დაუმატა ამ თანხას ერთი ნაწილი და მისი წყალობით ბერლინში 1850 წელს 4 ახალი ბიბლიოთეკა გახსნა. შემდეგ ამგვარი წესით სხვადასხვა ქალაქებშიც დაიწყეს ბიბლიოთეკების დაარსება.

სახალხო ბიბლიოთეკებს ხელმძღვანელობდა სპეციალური კომისია, რომელშიც შედიოდნენ „სამეცნიერო საუბრების საზოგადოებისა“ და ქალაქის მმართველობის წარმომადგენლები. 1879 წლამდე ეს ბიბლიოთეკები დამოუკიდებელი იყო როგორც ფონდების შერჩევაში, ისე ორგანიზაციულ საქმიანობაში. მათ მხოლოდ „ზნეობრივი საფუძლების დაცვა“ მოეთხოებოდა ხელმძღვანელობისაგან.

სახალხო ბიბლიოთეკებმა თავიანთი განვითარების გზაზე მაინცა და მაინც დიდ წარმატებებს ვერ მიაღწიეს, მაგრამ მათი საქმიანობა ეულტურის განვითარების მნიშვნელოვან რგოლს მაინც წარმოადგენდა. მთავარი მაინც ის იყო, რომ მოსახლეობაში გაჩნდა მისწრაფება კითხვისადმი, ბიბლიოთეკისადმი, წიგნისადმი. გარდა ამისა, გამოიკვეთა გარევეული მიმართულებები, თუ რა გზით უნდა განვითარებულიყო საბიბლიოთეკო საქმე. ამასთან, ყურადღება მიექცა სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილებას, რაც იმჟამად ყველაზე პროგრესული იყო.

შექმნა რა დემოკრატიული სახელმწიფო, შეერთებული
შტატები მსოფლიოში ყველაზე მეტად იყენებდა პროგრესის
სულ მეთოდებს. ქვეყნის განვითარება ეფუძნებოდა შეც-
ნიერების, განათლებისა და კულტურის განვითარების
დემოკრატიულ პრინციპებს. მე-18 საუკ. ბოლოსა და მე-20
საუკუნის დასაწყისში ხდება ამერიკელი ხალხის ეროვნუ-
ლი კულტურის ჩამოყალიბება. ისტორიის განვითარების
ამ მონაკვეთში განსაკუთრებული აღვიდი უჭირავს ნა-
ციონალური ბიბლიოთეკის დაარსების ფაქტს კონგრესის
ბიბლიოთეკის სახით.

1800 წელს აშშ პრეზიდენტმა ჯონ ადამსმა ხელი მოაწ-
ერა კონგრესმენებისათვის ბიბლიოთეკის დაარსების დო-
კუმენტს. ბიბლიოთეკას ძირითადად საცნობო დანიშნულება
უნდა ჰქონოდა. თავდაპირველად სულ 3 ათასი საბიბლიოთეკ-
ეო დოკუმენტი ინახებოდა აქ. ამ ბიბლიოთეკის შემდგომ-
ში განვითარებისა და პრესტიუსისათვის განსაკუთრებით
ბევრი გააკეთა მომდევნო პრეზიდენტმა თომას ჯეფერსონ-
მა. მან 1802 წ. შემოიღო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის
თანამდებობა, რომელზედაც კონგრესი შესაფერის პიროვ-
ნებას ნიშნავდა. 1814 წ. ბიბლიოთეკა ხანძარმა დააზიანა.
ჯეფერსონი დაუდალავად იღვწოდა ფონდების აღდგენი-
სათვის. ცნობილია, რომ მან თვითონ შეიმუშავა ფონდების
განლაგების სქემა, რომელიც მთელ ას წელს იყო ძალაში.
1832 წლიდან თანამშრომელთა რიცხვი თანდათან იზრდე-
ბა. ამ ბიბლიოთეკის მკითხველებად, კონგრესმენების გარ-
და, იყნენ უმაღლესი სასამართლოს წევრები, სხვა სახელმ-
წიფო დაწესებულებების მოსამსახურენი, სწავლულნი.
ყოველივე ეს იწვევდა ბიბლიოთეკის პროფილის ცვლას.
იურიდიულ ლიტერატურისა და სხვა ოფიციალური
გამოცემების გარდა, ბიბლიოთეკაში თანდათან შედის ის-
ტორიული და მხარეთმცოდნეობითი ლიტერატურა. ფონ-
დების შევსების მნიშვნელოვან წყაროს წიგნცვლა წარ-
მოადგენდა, რასაც დიდად უწყობდა ხელს სმიტსონის ინ-
სტიტუტი, რომელიც დაარსებული იყო ცნობილი ბუნებათ-

მცოდნის სმიტსონის მიურ საკუთარი სახსრებით. სმიტსონის მიზანს წარმოადგენდა მეცნიერთა მიმოფანტული ძალებით გაერთიანება, განსაკუთრებით ბუნების მეტყველების დაწევში.

1832 წ. კონგრესის ბიბლიოთეკაში სამართლებლივი ლიტერატურა, რომელიც უმრავლესობას წარმოადგენდა, ცალკე გამოყვეს დამოუკიდებელ განყოფილებად. ეს განყოფილება შემდეგ დროთა განმავლობაში მთავრობის მთავარ სამცნიერო ბიბლიოთეკად გადაეცავდა.

აშშ ეროვნული ბიბლიოთეკების სისტემა თავისი სპეციფიკით ეკროპელისაგან საგრძნობლად განსხვავდება. აქ ძალაში არ არის წესი, ერთ დიდ ბიბლიოთეკაში მოიყაროს თავი მთელმა ნაციონალურმა პროდუქციამ. საქმისადმი ამგვარმა მიღვომამ ხელი შეუწყო დარგობრივი დაკომპლექტების კონცეფციის განვითარებას. უპეველად ამის შედეგი უნდა ყოფილიყო 1862 წ. ბელტსევილში ნაციონალური სასოფლო-სამეურნეო ბიბლიოთეკის დაარსება, რომლის ფონდი 1839 წლიდან ივსებოდა. სწორედ ამავე დროს – 1836 წელს დაიწყო აშშ არმიის მთავარ სამედიცინო სამსახურის ბიბლიოთეკის ფონდის ფორმირება; ეს ფონდი დაედო საფუძვლად 120 წლის შემდეგ აშშ ეროვნულ სამედიცინო ბიბლიოთეკას.

მეცნიერული მოთხოვნილებების დასაქმიყოფილებლად ამ პერიოდშიც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ადრე დაარსებული სასწავლებლების ბიბლიოთეკებს, კერძოდ, პარვარდის უნივერსიტეტის, პენსილვანიის კოლეჯების ბიბლიოთეკებს, განსაკუთრებით ნიუ-იორკის სამეცნიერო კოლეჯის, ამჟამად კოლუმბიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას.

აშშ ეკონომიკური განვითარების ტემპები, რაც ასე დამახასიათებელი გახდა ამ ქვეყნისათვის, განსაკუთრებით მისი დამოუკიდებლობის შემდეგ, დღის წესრიგში აყენებდა კადრების დაჩქარებულ მომზადებას. ეს თავისთავად განათლების სისტემის გარდაქმნას მოითხოვდა. ამგვარი ეთარება ზედმიწვნით ხელსაყრელი აღმოჩნდა ბიბლიოთეკა-

ბის გამრავლებისათვის. ამ თვალსაზრისით, შეერთებულ /
შტატებში უფრო შესაფერისი ნიადაგი არსებობდა, აფთიანებულ
სხვა ქვეყნებში. ბევრ შტატში გაიხსნა ისეთი სასწავლებელი,
რომელსაც კარგი ბიბლიოთურება პქონდა.

მე-19 საუკ. შეუა ხანებამდე ამერიკის უმაღლეს სკოლებ-
ში, ტექნიკური პროგრესის მიუხედავად, მაინც პუმანიტარუ-
ლი მიმართულება დომინირებდა, რაც არ შეიძლებოდა არ
დატყობოდა ბიბლიოთეკების ფონდების ფორმირებას. მა-
გრამ თანდათან იწყება ტექნიკური მიმართულების გა-
ძლიერება, რამაც არ დააყოვნა შესატყვის შედეგის მიღე-
ბა და ბიბლიოთეკებში მეტ ყურადღებას ტექნიკური ლიტ-
ერატურის შექნას უთმობენ. ნაციონალური ბიბლიოთეკის
შემდეგ ყველაზე დიდმა – ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიბ-
ლიოთეკამ პირველმა დაიწყო ტექნიკური ლიტერატურით
თავისი ფონდების შევსება. პირველი შენაძენი გაეკობუ-
ლი იყო გამოჩენილი ფიზიკოსის რემფორდის სახსრებით,
რომელიც მან უნივერსიტეტს უანდერძა.

ამ ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა მთელი რიგი თეო-
რიული დებულებები ჩამოაყალიბეს, რომლებიც ყველა
სამეცნიერო ბიბლიოთეკისათვის საგულისხმო იყო. აქ მაც-
რად მოითხოვდნენ სამეცნიერო ბიბლიოთეკებისათვის მაქსი-
მალური სისრულით დაკომპლექტების პრინციპის დაცვას,
რაც უაღრესად დიდ თანხებს მოითხოვდა, რადგანაც ამ
შემთხვევაში იგულისხმებოდა, რომ ყველა ქვეყნის მნიშ-
ვნელოვანი გამოცემა უმჯობესად უნდა შეძენილიყო.

შეერთებულ შტატებში ყველაზე მეტად, ვიღრე სხვაგან,
საქმარე დიდი ყურადღება ეთმობოდა საბიბლიოთეკო
მომსახურებით მოსახლეობის უზრუნველყოფის გაუმ-
ჯობესებას. მე-19 საუკ. 50-იან წლებიდან იწყება აქტიური
მოძრაობა საზოგადოებრივი ბიბლიოთეკების დაარსები-
სათვის. მანამდეც იყო ასეთი ბიბლიოთეკების გახსნის ცდა,
როდესაც 1835 წ. ადგილობრივი ხელისუფლების მიერ
გაცემულ იქნა სანქციები საოლქო სკოლების ბიბლიოთეკე-
ბის დაარსების შესახებ. ჩანაფიქრით ეს ბიბლიოთეკები

მოსწავლეებთან ერთად ადგილობრივ მოსახლეობასაც უნდა
მომსახურებოდნენ, მაგრამ ამგვარმა ცდამ ვერ გაამართდა კულტურის
რის გამოც ისევ დამოუკიდებელი საქალაქო ბიბლიოთეკების
ბიბლიოთეკების მომრავლებას მიჰყვეს ხელი. ასეთი ბიბლიოთეკები
თავდაპირველად დაარსდა ბოსტონის (1857) და მასაჩუსეტსში (1848). ამ ქალაქების მერების ინიციატივით შემოღებულ
იქნა საბიბლიოთეკო გადასახადი. ამგვარი გადასახადები
1849 წლიდან სხვა ქალაქებშიც შემოიღეს.

იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყველა შტატის მთავარ
ქალაქში იხსნებოდა სახალხო ბიბლიოთეკა. მათი ფონდები,
როგორც წესი, ძირითადად სამთავრობო და სხვა ოფი-
ციალური გამოცემებისაგან შედგებოდა. ცალკეულ შემთხ-
ვევაში ამგვარი ბიბლიოთეკები ბავშვებსაც ემსახურებოდ-
ნენ.

1853 წ. ნიუ-იორკში გაიმართა სხვადასხვა ტიპისა და
სახის ბიბლიოთეკების მუშაკთა შექრება. გადაწყდა: ყოველ-
მხრივ შეეწყოთ ხელი იმისათვის, რომ ყოველ ქალაქში
გახსნილიყო სახალხო ბიბლიოთეკა, შეედგინათ დამხმარე
სახელმძღვანელოები ბიბლიოთეკართა დასახმარებლად.
პირველი ასეთი სახელმძღვანელო 1858 წ. გამოიცა.

1851 წ. ჩატარდა ქვეყნის ბიბლიოთეკების პირველი საყ-
ოველთაო აღწერა, რომელიც გამოცხადდა ჩარლზ კოფინ
ჯუვეტის ხელმძღვანელობით, იგი სმიტსონის ბიბლიოთეკის
ბიბლიოთეკარი იყო ვაშინგტონში.

1867 წ. იქმნება საგანმანათლებლო საქმეთა ბიურო,
რომელიც თავის ანგარიშებში სტატისტიკურ მონაცემებს
აქვეყნებს ბიბლიოთეკების შესახებ. ამ მონაცემებით 1870
წლისათვის შტატებში 161 საზოგადოებრივი ბიბლიოთეკა
ყოფილა. 1876 წ. ბიურო სპეციალურად უძღვნის ბიბ-
ლიოთეკებს ვრცელ ანგარიშს, რომელშიც მოცემულია ბიბ-
ლიოთეკების მოქლე ისტორია და მათ თანამედროვე მდგო-
მარება.

შტატებში საჯარო ბიბლიოთეკების შექმნა ბევრადა იყო
დამოკიდებული ამ საქმეში შეძლებულ კერძო პირთა თაოს-



ნობაზე. შაგალითად, 1854 წ. ნიუ-იორკის ერთ-ერთი მდგრადი ი.ი.ასტორის მიერ გაღებული სახსრებით აქ საჯარო ბიბლიოთეკა გაიხსნა. ცოტა ხნის შემდეგ ასევე გაიხსნა ბიბლიოთეკა ბანკირის ვ.ნიუბერის, ვაჭრის – დ.ლენოქსისა და სხვათა ხარჯებით.

მოცემულ პერიოდში შეერთებულ შტატებში საფუძველი ჩაეყარა ცენტრალიზებული საჯარო საბიბლიოთეკო სისტემის შექმნას: იხსნებოდა ცენტრალური ბიბლიოთეკა სამკითხველო დარბაზითა და აბონემენტით, სხვადასხვა ადგილებში ფუნქციონირებდნენ მისი ფილიალები. ცენტრალურ ბიბლიოთეკასა და ფილიალებს შორის წიგნების ურთიერთგაცვლა ხდებოდა ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტით.

ამერიკის სახალხო ბიბლიოთეკებმა ძალიან ბევრი ახალი დანერგეს პრაქტიკაში, რაც შემდეგში მოხდა მსოფლიოში გაერცელდა. საერთოდ, ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრივი მოხმარების ბიბლიოთეკების მდგრმარეობა და საქმიანობა საფრანგეთის პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ პერიოდში ნათლად გამოხატავდა ამ ქავენების ხელისუფალთა და ხალხის დამოკიდებულებას მეცნიერების, განათლებისა და კულტურისადმი. ამერიკული ბიბლიოთეკების გამოცდილება უდიდეს ზეგავლენას ახდენდა მსოფლიოს, განსაკუთრებით ევროპის ქავენების საბიბლიოთეკო საქმიანობაზე.

8.2. საბიბლიოთეკო საქმის განვითარება ეპოქის სხვადასხვა ძველებზი

ევროპის მოწინავე ქავენების გამოცდილება თანდათან თითქმის ყველგან ვრცელდება – ზოგან შედარებით სწრაფად, ზოგან – მოგვიანებით. ამ ხანებში ხდება, ერთი მხრივ, არსებული ბიბლიოთეკების საქმიანობის გამოცოცხლება-

გარდაქმნა, მეორე მხრივ, ახალი ტიპის ბიბლიოთეკების
დაარსება. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყროვებულ
რობს ევროპის განვითარებული ქვეყნების მაგალითი. ერთ-
ერთი სახელმწიფო, სადაც სწრაფად გავრცელდა მოწინავე
გამოცდილება, იყო ავსტრია. მე-19 საუკ. პირველ ნახევარ-
ში ვენის სასახლის ბიბლიოთეკა მთელ ევროპაში შევე
საგმაოდ განოქმულ დაწესებულებად ითვლებოდა. გან-
საკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ამ ბიბლიოთეკის ხელ-
ნაწერების განყოფილება, სადაც უნიკალურმა ეგზემპლარებ-
მა მოიყარა თავი. ძირითადი ფონდიც მეტად მდიდარი
ლიტერატურისაგან შედგებოდა, მაგრამ მკითხველები ბეჭ-
რი არ ყოლია. ამ მხრივ გამოიჩინეოდა ვენის უნივერსიტე-
ტის ბიბლიოთეკა, რომელიც ვენის, ქვემო ავსტრიისა და
ბურგუნდიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის
ფუნქციებს ასრულებდა. მნიშვნელოვანი როლი ეკისრე-
ბოდა აგრეთვე ინსბრუკის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასაც.

1815 წ. ავსტრიაში გაიხსნა უმაღლესი ტექნიკური სას-
წავლებლის ბიბლიოთეკა, 1849 წ. – ფერალური კანცლ-
ერის კანცელარიასთან არსებული ბიბლიოთეკა, 1858 წ. –
დედაქალაქის საქალაქო ბიბლიოთეკა და სხვ. ისინი ძირ-
ითადად ვენის საზოგადოებას ემსახურებოდნენ. სხვადასხ-
ვა საადგილმამულო აღმინისტრაციულ ცენტრებშიც არ-
სებობდა ბიბლიოთეკები, მაგრამ ისინიც მხოლოდ რჩეულო
უწევდნენ მომსახურებას. აქა-იქ გაიხსნა სახალხო ბიბ-
ლიოთეკაც, მაგრამ მათი რაოდენობა იმდენად უმნიშვნე-
ლო იყო, არავითარი გავლენის მოხდენა არ შეეძლო საერ-
თო საბიბლიოთეკო საქმეზე. მე-19 საუკუნის პირველ ნახ-
ევარში სახალხო ბიბლიოთეკები უნგრეთშიც ჩნდება. ისი-
ნი უმეტესად კლუბებთან და სხვადასხვა წრეებთან არსე-
ბოდნენ, რომელთა წევრებიც მათი მკითხველები იყვნენ.
ეს ბიბლიოთეკები, მათი ხელმოკლეობისა და ფონდების
სიმცირის მიუხედავად, ენერგიულად ავრცელებდნენ მოწი-
ნავე ლიტერატურას და დიდად უწყობდნენ ხელს ეროვნუ-
ლი თვითშეგნების გამოღვიძებას.



1802 წ. ცნობილი საზოგადო მოღვაწის ფერენც სექენის მიერ შეწირული წიგნები დაედო საფუძვლად ნაცენტნიკოსის ლურ ბიბლიოთეკას, რომელიც 1804 წლიდან სავალდებულო ცალებს დებულობდა.

1825 წ. ბუდაპეშტში ფერენც სექენის ვაჟის იშტვანის მიერ გაღებული სახსრებით დაარსდა უნგრული ენის საზოგადოება – შემდეგში აკადემია, თავისი ბიბლიოთეკით.

მე-19 საუკ. დასაწყისი ჩეხეთისა და სლოვაკიისათვის კულტურის ნამდვილ გარდაქმნის ხანად იქცა. აქ ჩამოყალიბებულმა ეროვნული მოძრაობის მძლავრმა ცენტრმა ბიძგი მისცა კულტურის დარგების განვითარებას, რაც საბიბლიოთეკო საქმესაც დაეტყო. განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებდა პრაღის, ბრნოს, ოლომოუცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები. პრაღის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა 1907 წლიდან მთელ ჩეხეთში გამოცემული წიგნების სავალდებულო ეგზემპლარს დებულობს. ეს ბიბლიოთეკა, რომელიც დიდხანს ითვლებოდა პრაღის უნივერსიტეტისა და ეროვნულ ბიბლიოთეკად, თანდათან მთლიანად ეროვნულ ბიბლიოთეკად ჩამოყალიბდა.

1818 წ. დაარსდა ჩეხეთის ნაციონალური მუზეუმი, რომელსაც კარგი ბიბლიოთეკა გააჩნდა, სადაც ნაბეჭდ წიგნებთან ერთად თავმოყრილი იყო ძვირფასი ხელაწერებიც. ეს ბიბლიოთეკა იმ ხანად ყველაზე მდიდრულ სლავურ ლიტერატურას ფლობდა. დიდი სახელი მოიხვეჭა ამ პერიოდში ჩეხური სამეცნიერო საზოგადოების სამეცნიერო ბიბლიოთეკამ, რომელიც შემდეგში ჩეხეთ-სლოვაკეთის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკას შეუერთდა.

30-40-იან წლებში ინგენსიურად იხსნება მკითხველთა საზოგადოების ბიბლიოთეკები. სწორედ ისინი იქცა ჩეხური კულტურის განვითარების ყველაზე ძლიერ მამოძრავებელ იმპულსად. მოგვიანებით იხსნება საერობო ბიბლიოთეკები, რომელთაგან პირველი 1860 წელს დაარსდა პრაღაში. განსაკუთრებით ინგენსიურად დაიწყეს გავრცელება ამგვარმა ბიბლიოთეკებმა მე-19 საუკ. დასასრულს.



მე-19 საუკუნის დასაწყისში რემინიცის საბიბლიოფრესული კო საქმის მშენებლომაში ყველაზე დიდ როლს გიმჩიტებული ბის, კოლეჯებისა და კოლეგიუმების ბიბლიოთეკები ასრულებდნენ. ბუქარესტისა, კლუნასა და იასში იხსნება უნივერსიტეტები და მათთან ერთად ბიბლიოთეკები. საყურადღებოა, რომ ბუქარესტში გახსნილი იყო წიგნის სავაჭრო ბიბლიოთეკა, რომელიც შინ სარგებლობისთვისაც იძლეოდა წიგნებს. სხვა მნიშვნელოვანი სახალხო ბიბლიოთეკა აქ არ ყოფილა.

ერთ დროს განთქმული იტალიის ბიბლიოთეკები მე-19 საუკუნის დასაწყისისათვის საკმაოდ გაძარცული და ზოგი განადგურებულიც აღმოჩნდა ნაპოლეონის დაპყრობითი ომების შედეგად. იტალიურ ბიბლიოთეკებს ძარცვავდნენ აგრეთვე ავსტრიელები. აუზაზდაურებელი დანაკლისი განიცადა ვენეციურმა მარჩიანებმ — წმინდა მარკოზის ბიბლიოთეკამ, მხოლოდ თავგამოდებული ბიბლიოთეკარის მორელის დაუღალავი ცდით გახდა შესაძლებელი ამ ბიბლიოთეკას დაბრუნებოდა თავისი ქონების დიდი ნაწილი. მორელმა 40 წელი იმუშავა ნაციონალურ ბიბლიოთეკაში მეტად მძიმე პირობებში, მაგრამ ყველაფერს აკეთებდა, რათა ვენეციაში საბიბლიოთეკო საქმე არ ჩამკვდარიყო.

იტალიური ბიბლიოთეკები უმძიმეს პირობებში აღმოჩნდნენ. ხელისუფლებას სახსრები არ ჰქონდა მათ დასახმარებლად. ბიბლიოთეკებზე აქ ავსტრიის აღმინისტრაციის წესები თუ რეგლამენტები ვრცელდებოდა. სავალალო მდგომარეობაში იყო საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკები ტურინისა და გენუაში. მხოლოდ ეპიზოდური დონისძიებები თუ ხორციელდებოდა მდგომარეობის გამოსასწორებლად. მათ შორის აღსანიშნავია 1806 წ. საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებისათვის სავალდებულო ცალების უფლების მინიჭება. ეს წესი ყველა საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის მიმართ ერთბაშად ვერ განხორციელდა. იგი მხოლოდ 1848 წლის რევოლუციის შემდეგ ინერგება შედარებით ინტენსიურად და დამთავრდა 1870 წელს რომის უნივერსიტეტი-

სათვის ამ უფლების მინიჭებით.

საბიბლიოთეკო საქმეში მცირე სასიკეთო ძვრები დაჲპავ-შირდა ურთელეს პოლიტიკურ მოვლენებს, როგორიც იყო 1847-1848 წლების ეკონომიკური კრიზისის დასასრული, 1859 წლის საფრანგეთ-იტალია-ავსტრიის ომი ჯუზეპე გარიბალ-დის ხელმძღვანელობით ქვეყნის სამხრეთში, 1860 წლის რევოლუცია.

1866წ. სარდინიაში დაიწყო მონასტრების ქონების ხეკუ-ლარისაცია. ქონების დიდი ჩაწილი გადავიდა მუზეუმები-სა და ბიბლიოთეკების ხელში. ეს პროცესი 1873 წლისათვის მთელ სამეფოზე გავრცელდა. რომში იგებოდა ახ-ალი ეროვნული წიგნსაცავი.

1869წ. მიიღეს სახელმწიფო ბიბლიოთეკების პირველი რეგლამენტი, რომელიც არეგულირებდა კატალოგების სისტემასა და საკადრო პოლიტიკას. ამ რეგლამენტის მთა-ვარი იდეა ქვეყნის წიგნსაცავების ცენტრალიზებული მარ-თვის მოთხოვნა იყო. მიუხედავად ერთგვარი წინსვლისა, იტალიაში არსებითად არაფერი იყო ისეთი, რომელიც გან-სკუთრებულ როლს ითამაშებდა ბიბლიოთეკისა თუ წიგნ-ის ისტორიაში.

თითქმის მსგავსი მოვლენები იყო ესპანეთში: ნაპოლე-ონის ომები, ესპანელ ჰაბსბურგების ხანგრძლივი ბატონო-ბა, რელიგიური რეაქციის თარეში მე-19 სუეუნის დასაწყი-სისათვის, უმძიმეს მდგომარეობაში აგდებდა ქვეყნის ბიბ-ლიოთეკებს. სამეფო ბიბლიოთეკა კვლავ უსუსურ მდგო-მარეობაში იყო. ცნობილი რელიგიური კომპლექსის ესკო-რიალის ბიბლიოთეკას თავისი შენობაც კი ჩამოართვეს და მხოლოდ 1819 წელს მოხერხდა მისი ხელახლა გადაცე-მა ბიბლიოთეკისათვის; შეა საუკუნეებში განთქმული სალა-მანკის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა იძულებული შეიქნა თავისი წიგნების ნაწილი გაეყიდა.

მე-19 საუკუნის რევოლუციურმა მოვლენებმა დიდად გერ შეარყიეს ესპანეთის მონარქიული იურარქია და საქ-მაოდ უმნიშვნელო ზემოქმედება თუ მოახდინეს ქვეყნის

ბიბლიოთეკებზე. ერთი, რაც იყო მნიშვნელოვანი, მონასტრის გრების უძოძრაო ფონდების სეპულარიზაციის შედეგში დასამეფო და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების ფონდების შერწყმა, აგრეთვე კორდოვაში, ტარაგონში, კადიქსში და სხვა ქალაქებში ახალი ბიბლიოთეკების დაარსება წარმოადგენდა. 1849 წ. სამეფო ბიბლიოთეკა ეროვნულ ბიბლიოთეკად გადაკეთდა. თითქმის ყველა სამეცნიერო ბიბლიოთეკა ანბანურ კატალოგს აწარმოებდა.

1859 წ. გამოვიდა ბრძანებულება პროვინციების ბიბლიოთეკების შესახებ, რომელიც უფლებას იძლეოდა ადგილობრივი მმართველობის სახსრების მოშველიებით სახელმწიფო ხაზინის ხარჯზე ბიბლიოთეკები გახსნილიყო. 1867 წ. გამოდის აგრეთვე ბრძანებულება არქივების, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების განცალკევების შესახებ, რამაც ცოტათი შეუმსუბუქა მდგომარეობა ბიბლიოთეკებს. საბიბლიოთეკო ქონების დატაცებისათვის კანონმდებლობა სასჯელს ითვალისწინებდა.

მასების სიღატაკემ და უმეცრებამ, განათლების დაბალმა დონემ ხელისუფლება აიძულა ბიბლიოთეკების სასარგებლოდ რაღაც ედონა. 1869 წ. გამოიცა ბრძანებულება 20 სახალხო ბიბლიოთეკის გახსნის შესახებ. გარდა ამისა, სახალხო ბიბლიოთეკის გახსნის შესახებ. გარდა ამისა, სახალდნე დარჩა, თუმცა მან მაინც შეუწყო ხელი ესპანეთში საბიბლიოთეკო საქმის ცოტათი გამოკეთებას.

ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, ზოგჯერ მათი სიახლოების მიუხედავადაც კი, საესებით სხვადასხვა მდგომარეობა სუფეს საბიბლიოთეკო საქმის განვითარების თვალსუფრისით. მიუხედავად ამისა, ასე თუ ისე, ყველა ქვეყანას სახრისით. მიუხედავად ამისა, ასე თუ ისე, ყველა ქვეყნებს რაღაც წელილი საერთო საქმეში. თვით ისეთ მცირე ქვეყნებს, როგორიცაა ბელგია, ნიდერლანდები, შვეიცარია და სხვა, დაუოკებელი სწრაფვა ახასიათებს რადიკალური გარდაქმნებისადმი. მათი უმეტესობა დიდი, განვითარებული ქვეყნების კულტურული გავლენის ქვეშ აქცევა, მაგრამ



თავიანთ სპეციფიკას მთლიანად არ კარგავენ. პატარული ნების ერთი ნაწილის ნეიტრალურად გამოცხადების შეთ დიდი შევება მოუტანა. ოშისაგან თავის არიდება ეკონომიკური და კულტურული აღორძინების საშუალებას იძლეოდა. ძლიერდებოდა ეროვნული ბიბლიოთეკები, ინერგებოდა მრავალი სიახლე, ვითარდებოდა მეცნიერება, რომლისთვისაც ბიბლიოთეკა განუყოფლენ ნაწილს წარმოადგენდა. ამდენად, ამ ქავებში თავისუფლად იწყებს განვითარებას საბიბლიოთეკო თეორია და მეთოდური მუშაობა. ბელგიელმა ჟან პიო ნომიურმა შექმნა „ბიბლიოთეკარის სახელმძღვანელო“, რომელშიც დიდი ადგილი პქონდა დაომობილი კლასიფიკაციის საკითხებს. მანვე გამოსცა მეტად მნიშვნელოვანი ნაშრომი „კაცობრიობის ცოდნის ბიბლიოგრაფიული სისტემის ახალი პროექტი“, რომელიც წარმოადგენდა ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდის განლაგების მეცნიერებულად დამუშავებულ სქემას.

იმის გამო, რომ შევეიცარიის კონფედერაცია სხვადასხვა კანტონებისაგან შედგებოდა, აქ ვერ ხერხდებოდა საერთო ნაციონალური ბიბლიოთეკის შექმნა. ეს მხოლოდ 1885 წელს გახდა შესაძლებელი. მანამდე ცალკეული კანტონის ზოგი ბიბლიოთეკა ერთგვარად ეროვნული ბიბლიოთეკის როლს ასრულებდა, როგორიც იყო, მაგალითად, 1812 წელს დაარსებული ლუცერნის ე.წ. სამოქალაქო ბიბლიოთეკა, რომელიც შევეიცარიის ჩრდილო-დასავლეთის კანტონების შესახებ ყოველგვარ ლიტერატურას იძენდა.

მცირე ქავებში სულ უფრო მეტი წარმატებით მუშაობდნენ საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკები: ლეიდენის, უტრეხტის, გრონინგენის, ამსტერდამის (ნიდერლანდები), ლუვენის (ბელგია), ბაზელის, ბერნის, ლოზანას და ჟენევის (შევეიცარია). შევეიცარიაში ძველი ბიბლიოთეკების პლეადას ახლებიც შემოემატა: 1817 წ. გაიხსნა გენტისა და ლიეჟის უნივერსიტეტები. ტრადიციულად უნივერსიტეტების ბიბლიოთეკების უმრავლესობა ამავე დროს საქალაქო ან კანტონის მთავარი ბიბლიოთეკების მოვალეობასაც ასრულებდ-



ნენ. გარდა ყოველივე ამისა, ამ ქვეყნებში ბევრგან გაიხსნა ამა თუ იმ სამეცნიერო საზოგადოებათა, აკადემიურისა და ინსტიტუტების ბიბლიოთეკები. მეტად საგულისხმო იყო შეეიცარიაში 1848 წ. ცენტრალური ფედერალური, 1860 წ. სტატისტიკური სამმართველოსა და სამხედრო უწყების ბიბლიოთეკების დაარსება; 1836 წ. ბელგიის ქალაქ მონსში სამთო ინსტიტუტის ბიბლიოთეკა გაიხსნა. ეს იყო დარგობრივი ბიბლიოთეკების დამკვიდრების ურთ-ერთი ნიშანი. მე-19 საუკუნეში შეეიცარიაში ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში დაარსებული ეწ. კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკები საქმით სოლიდურ სამეცნიერო ბიბლიოთეკებად გარდაიქმნენ.

ქალაქის მოსახლეობას საშუალება პქონდა საქალაქო ბიბლიოთეკების მომსახურებით ესარგებლა. ბევრ პატარა ქვეყანაში სახალხო ბიბლიოთეკებიც არსდებოდა.

სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, სკანდინავიის ქვეყნებში ფეოდალური ურთიერთობის დათმობა თითქმის სრულიად უმტკიცნეულოდ მოხდა. ეს ქვეყნები ხანგძლივად ინარჩუნებდნენ ნეიტრალიტეტს, განსხაქუთრებით მე-19 საუკუნის შუა ხანებში. საქმაო ხნით ადრე აქ აქტიურად დაიწყო სხვა ქვეყნების ხალხთა ჩასახლება, იყო ურთიერთდაკრობის ცდები, როგორც, მაგალითად, შვედების მიერ ფინელების დამორჩილება. შეედები საბიბლიოთეკო ტრადიციების დამკვიდრებაში დიდად არიან დავალებული ფინელებისაგან. ჯერ კიდევ 1707 წ. გამოიცა კანონი, რომლის ძალითაც ყველა ფინური გამოცემის 6 ეგზემპლარი სტოკოლმში სამეცნო ბიბლიოთეკისათვის უფასოდ უნდა გაეცავნათ.

მე-19 საუკ. სკანდინავიის ქვეყნებში განსაქუთრებით ძლიერდება საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების გავლენა. მათგან გამოირჩეოდა უმსალას, ლუნდის, გეტებორგის უნივერსიტეტები შეედეთში, ოსლოსი – ნორვეგიაში.

სკანდინავიის ქვეყნებში სათანადო ყურადღება ეთმობოდა საბიბლიოთეკო თეორიასაც. ამ მხრივ შეიძლება



გამოვარჩიოთ ქრისტიან მოლბახის „ბიბლიოთეკათმცადებული ნეობის ანუ საჯარო ბიბლიოთეკების მოწყობა და მათ თვის შესახებ”, რომელიც კოპენაგენში გამოიცა 1829 წელს. პელსინფორში 1861 წელს გამოიცა პ. კოლხის „ბიბლიოგრაფიული სისტემისა და საბიბლიოთეკო ჟურნალების შესახებ”; მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მე-19 საუკ. შუა ხანებში სტოკოლმის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის ფ. ვ. ჰიპინგის მიერ გამოქვეყნდული „ფინური ნაბეჭდი წიგნის კატალოგი”.

სკანდინავიის ქვეყნებში მე-19 საუკუნეში აურეთვე სახალხო და საზოგადობრივი ბიბლიოთეკებიც ჩნდება. ბევრ მათგანს, განსაკუთრებით სოფლად, ეკლესიები ხსნიდნენ. სკანდინავიის ქვეყნებში ასევე საქმაო რაოდენობით იხსნება სასწავლებლების ბიბლიოთეკებიც. ყოველწევე ეს ნათელ სურათს ხატავს, როგორ და რა მიმართ ჰდებით განვითარდა საბიბლიოთეკო საქმე ევროპის ამ მხარეში.

სავსებით სხვაგვარად წარიმართა საბიბლიოთეკო საქმე ბალკანეთის სახელმწიფოებში. ეს გამოწვეული იყო იმ ისტორიული პროცესით, რომელიც აქ განვითარდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ძირითადი, რაც დამახასიათებელი იყო ამ პერიოდის საბიბლიოთეკო საქმისათვის, აქც პოულობდა ასახვას. როგორც ევროპის სხვა მხარეებში, ბალკანეთის ქვეყნებშიც მე-19 საუკუნეში წარმოიშვა სხვადასხვა ტიპის ბიბლიოთეკები – ძირითადად სამეცნიერო და სახწავლო დაწესებულებებთან, მაგრამ ეს პროცესი თითქმის მთელი საუკუნე გრძელდებოდა. ბევრ სლაურ ქვეყანაში საგანმანათლებლო დაწესებულებები და სხვადასხვა საზოგადოებები გაჩნდა. საზოგადოებათა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ე. წ. „მატიცა“ იუგოსლავიის, ჩეხიის, სლოვენიის ქვეყნებში, აგრეთვე „ჩიტალიშჩა“ ბულგარეთში. ეს საზოგადოებები თავიანთი პატრიოტული სულისკვეთებით განსაკუთრებით მოსახლეობის ფართო ფენებს იზიდავდა, საგანმანათლებლო და სხვა კულტურულ დაწესე-

ბულებებთან ერთად, თავიანთ ბიბლიოთეკებსაც ხსნიდნენ. 
ამ პერიოდში ხდება ნაციონალური სახელმწიფო ბიბლიოთეკის ჩამოყალიბება, რაც დიდ გავლენას ახდენს ეროვნულ კულტურულ მემკვიდრეობის საბუღალოში, საბიბლიოთეკო და საგანმანათლებლო საქმიანობაზე. სახალხო ბიბლიოთეკები ჩნდება სერბიაში, ხორვატიაში, სლოვენიაში და ვოევოდინაში, ცოტა უფრო გვიან – ჩერნოგორიასა, ბოსნიასა და პერკოროვინაში. საფუძველი ეყრდნობა სამეცნიერო ბიბლიოთეკების დაარსებასაც. 1832 წ. ნაციონალური ბიბლიოთეკა გაიხსნა ბელგრადში. 1842 წ. ფუნქციონირება დაიწყო სერბიული ლიტერატურის საზოგადოების ბიბლიოთეკამ, რომელიც მოგვიანებით სერბის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკად გარდაიქმნა. 1844 წ. ბელგრადში გაიხსნა აგრეთვე სერბის ლიცეუმის ბიბლიოთეკა, რომელიც შემდეგ ასევე უმაღლესი სახალებლის ბიბლიოთეკად იქცა.

1866 წ. ხორვატიაში, ქალაქ ზაგრებში გაიხსნა იუგოსლავის მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის ბიბლიოთეკა, ხოლო 1874 წ. – უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა. მე-19 საუკ. შეა ხანებში საჯარო ბიბლიოთეკები არსებობდა ზაგრებში, ვარა უდინში, კარლოვიცში და სხვ. სლოვენის ეროვნულ და ეთნოგრაფიულ მუზეუმებში, ქ. ლიუბლიანაში 1821 წ. პირველად შეიქმნა სლოვენის სამეცნიერო ბიბლიოთეკა.

მე-19 საუკ. ბულგარეთის ეროვნული აღორძინების ხანაა. საუკუნეობით თურქეთის უდელქვეშ მყოფმა ხალხმა პირველად შეძლო თავისი ეროვნული პოლიტიკური და ბულტურული საქმიანობისათვის ეზრუნა. ცხადია, უპირველესი საფიქრალი სკოლები იყო და მრავლადაც იხსნებოდა ისინი თავიანთი პატარ-პატარა ბიბლიოთეკებით, რომლებსაც მოსახლეობის მომსახურებაც ევალებოდა. გაბროვოში პირველად კეთილშობილთა სასწავლებლის ბიბლიოთეკა საჯარო ბიბლიოთეკად გადაკეთდა. ამ ტიპის ბიბლიოთეკების გახსნა აქ თითქმის შეუძლებელი იყო წიგნების სიმბის გახსნა აქ თითქმის შეუძლებელი იყო წიგნების სიმბის

ცირის გამო. ბულგარეთში დედაენაზე ბეჭდვა მე-19 საუკუნეში ხდება ხანებამდე არ ყოფილა. ეროვნული წიგნები ქვეყნის კულტურული ძეგლების იძეგდებოდა. ამ ბიბლიოთეკას მოჰყვა ასეთივე ტიპის სხვა ბიბლიოთეკებიც კოპრივიცეში, ქაზანდიქასა, სოპოტსა, სოფიასა და სხვაგან, მაგრამ ეს მაღალი ცოტა იყო მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილების დასაქმაყოფილებლად.

ყირიმის ომის შემდეგ ბულგარეთში მდგომარეობა გაუმჯობესდა და სხვადასხვა ქალაქში საზოგადოება „ჩიტალიშჩეს“ ბიბლიოთეკები გაიხსნა. მათგან პირველი დაარსდა 1856 წ. სვიშჩივოში. მათი კარები დიდი იყო კველასათვის.

ბულგარეთში ნამდვილი კულტურული აღმავლობა მის შემდეგ დაიწყო, რაც აქედან თურქი დამკურობლები განდევნეს. ამ ფაქტმა საკმაოდ შეცვალა ხახე მთელ ბალკანეთს. ბულგარეთსა და მთელ რიგ სხვა ქვეყნებში ამის შემდეგ უფრო ინტენსიურად იხსნება ეროვნული ბიბლიოთეკები. საერთოდ, ქვეყნის განთავისუფლებას ყოველთვის მოჰყვება ახალი ძვრები. ამის კიდევ ერთი დადასტურებაა საბერძნეთის მაგალითი. მისი კულტურული აღმავლობა მხოლოდ ადრიატიკის ზავის შემდეგ დაიწყო 1829 წლიდან, როდესაც საბერძნეთმა, ფაქტობრივად, სრული დამოუკიდებლობა მიიღო. ქვეყნად მთელი რიგი კულტურული დაწესებულებები გაიხსნა, მათ შორის ბიბლიოთეკებიც.

1832 წ. დაარსდა ეროვნული ბიბლიოთეკა. 1834 წ. საბერძნეთის დედაქალაქად უგინის ნაცვლად ათენის გამოცხადების შემდეგ ეროვნული მუზეუმი და ბიბლიოთეკა ათენში გადავიდა. 1835 წლიდან ბიბლიოთეკა სავალდებულო ცალებს იღებს. მნიშვნელოვნად იქსება ფონდები შეწირულებებითაც. ეროვნული ბიბლიოთეკა უნივერსიტეტისას 1867 წ. შეუერთდა.

1844 წ. პარლამენტის წევრებისათვის საპარლამენტო ბიბლიოთეკა იხსნება, არსება რამდენიმე სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელთაგან აღნიშვნის დირსია 1837 წ.

დაარსებული არქეოლოგიური საზოგადოების ბიბლიოთური კა.

მართალია, დროთა განმავლობაში ბიბლიოთეკების რიცხვი მატულობდა, მაგრამ მათი მდგომარეობა და მომსახურების ხარისხი ძალიან დაბალ დონეზე იღდა. ფართობის სივიწროვე, უსახსრობა, კატალოგების უქონლობა, შტატების სიმცირე – დიდად უშლიდა ხელს საბიბლიოთურო საქმის განვითარებას. საბერძნებლში ამ დროისათვის სულ რამდენიმე საჯარო ბიბლიოთეკა არსებობდა, რომლითაც უმეტესად რჩეული საზოგადოება სარგებლობდა, უბრალო ხალხს ძირითადად სასკოლო ბიბლიოთეკები ემსახურებოდნენ, რაც თანამედროვე პირობებში ვერ უზრუნველყოფდა გაზრდილ მოთხოვნილებას.

ამგვარად, მთელი ევროპა და შეერთებული შტატები მე-19 საუკუნის 70-იან წლებამდე უდიდეს კულტურულ ცელიდებებს განიცდის. საბიბლიოთეკო საქმისათვის ამ პერიოდში დამახასიათებელია ლტოლვა ეროვნული თვითშეგნების გამოხატვისაკენ. საბიბლიოთეკო საქმის განვითარების საქმეში ხდება ძირითადი სტრატეგიის განსაზღვრა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ბიბლიოთეკები იქცევა საზოგადოებრივი ცხოვრების შემადგენელ ნაწილებად, საფუძვლი ეყრდნობა მათ დამტკრატიზაციას, ძლიერდება სხვადასხვა ქადაგების ბიბლიოთეკების ურთიერთზეგავლენა, ფეხსიკიდებს მეოთხდიკური და მეცნიერული მოდვაწეობა ბიბლიოთეკათმცოდნეობასა და ბიბლიოგრაფიის დარგში.

ყოველივე ეს წარმოადგენს ნიადაგს, რომელზედაც უნდა აღმოცენებულიყო ახალი, თვისებრივად განვითარებული ეპოქა, რომელიც წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა საბიბლიოთეკო საქმის ისტორიაში.



8.3. საბიბლიოთეკო საქმის დამოპირებულ გოლონიშრო ძველისაბირთვები

საბიბლიოთეკო საქმის განვითარება აღმოსავლეთის ქვეყნებში თითქმის მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში ევროპას საგრძნობლად ჩამორჩებოდა. აღმოსავლეთის თავისუფალ ქვეყნებში შედარებით გვიან აღწევდა ევროპული სისტემა და ისიც, დეფორმირებული. აქ ძალაში რჩება ძველი ტრადიციები, წესები, დამოკიდებულება წიგნისა და კითხვისადმი. შეა საუკუნეებში ერთ დროს განთქმული ბიბლიოთეკების უმეტესობა კნინდება, ბევრი საერთოდ ნადგურდება და წყვეტის არსებობას. რაც შეეხება კოლონიურ ქვეყნებს, აქ მთლიანად შეფერხებულია ეროვნული კულტურის, მათ შორის საბიბლიოთეკო საქმის განვითარება. კაპიტალიზმის ეკონომიკური გავლენა ჯერ კიდევ ვერ აღწევს კულტურული განვითარების სფეროს. ეს შედარგით გვიან ხდება. მანამდე კი ეროვნული საბიბლიოთეკო ტრადიციები დაქვეითებას განიცდის, თუმცა შეიძლება განვითარების ელემენტების აღმოცენებაც შევნიშნოთ.

კოლონიური პოლიტიკის სიმძიმე თვალნათლივ გამოიხატება აღმოსავლეთის უდიდესი ქვეყნის-ინდოეთის მაგალითზე. აქ ინგლისელი კოლონისტები ყოველმხრივ ცდოლობდნენ ხელი შეემალათ ხალხის კულტურული განმოღიანებისათვის. იმის გარდა, რომ აქ ევროპელები ძალის გამოყენებით ცდილობდნენ დაენერგათ თავიანთი კულტურული ტრადიციები, ევროპული კულტურა თავისთავადაც ვრცელდებოდა. განსაკუთრებით ეს ბენგალიაზე ითქმის, ხადაც ღრმად შეიჭრა ევროპული განათლება.

ინგლისის სამოქალაქო და სამხედრო აღმინისტრაციისა და ნაწილობრივ ინდოეთის არისტოკრატიისათვის ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში აარსებდნენ სახელმწიფო ბიბლიოთეკებს, ისესნებოდა აგრეთვე სხვადასხვა კულტურულ საზოგადოებათა ბიბლიოთეკებიც. 1784 წ. წარმოიშვა აზნარის საზოგადოების ბიბლიოთეკა ბენგალიაში, დაახლოე-

ბით იმავე დროსაა დაარსებული მაღრასის სამთავრომან
ბიბლიოთეკა, რომელსაც მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობა
ნობის ხელნაწერები გააჩნდა. მე-19 საუკუნის დასაწყისიდან
ისინი განაგრძობდნენ თავიანთ საქმიანობას ისე, რომ თა-
ვიანთი პოზიციები არ შეუცვლიათ.

ხალხისთვის შედარებით ხელმისაწვდომი იყო ინდოე-
ლი ინტელიგენტების მიერ დაარსებული ბიბლიოთეკები:
მაღრასის ლიტერატურული საზოგადოების ბიბლიოთეკა,
დაარსებული 1812 წ., კალკუტის საჯარო ბიბლიოთეკა,
რომელიც 1836 წ. გაიხსნა და შემდეგ ეროვნულ ბიბ-
ლიოთეკად გადაიქცა. მთელი მე-19 საუკ. განმავლობაში
ბიბლიოთეკა ყოველმხრივ შევიწროებას განიცდიდა. აქ
ნაციონალური ფონდი იმდენად მცირე იყო, რომ ბიბლიოთეკა
ვერ ახერხებდა რაიმე მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა
ეროვნული კულტურის აუვავებაში.

მე-19 საუკ. დასასრულისათვის საქმე იქამდეც კი მივი-
და, რომ ამ ბიბლიოთეკაში საჭირო წიგნების პოვნა თითქ-
მის შეუძლებელი გახდა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ეროვნული მოძრაო-
ბის გააქტიურების პირობებში საჯარო ბიბლიოთეკები რამ-
დენიმე საოლქო ცენტრში იხსნება. ესენია: ბომბეი, ალახა-
ბადი, მაღრასი. ქალაქებში კალკუტასა, ბომბეისა და მა-
ღრასში საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკები არსებობდა.

ეეროპელთა კოლონიები აფრიკის კონგინენტის უდიდეს
ნაწილზე იყო მოფენილი. ხმელთაშუა ზღვის მთელი სან-
აპირო კოლონიებისაგან შედგებოდა. მეტ-ნაკლებად გან-
ვითარებულ კოლონიებს წარმოადგენდა სამხრეთ-აფრიკის
კავშირი, ეგვიპტე და აღერი. სწორედ მათ ტერიტორიაზე
ჩნდება აფრიკის კონგინენტზე პირველი ახალი ტიპის
ბიბლიოთეკები. ინგლისის აღმინისტრაციამ კოლონიზა-
ტორთა ხელშესაწყობად 1818 წ. ბიბლიოთეკა დაარსა ეგვიპ-
ტეში. რამდენიმე ათეული წელი გავიდა, ვიდრე ბიბლიოთეკებ-
ში სხვაგანაც გაჩნდებოდა. 1848 წ. ბიბლიოთეკა არსდება
პორტ-ელიზაბეტში, 1850 წ. -კრუდოქში, 1863 წ. -ალბანში.

1857 წ. კეიპტაუნში შეიქმნა პარლამენტის ბიბლიოთეკა,
1869 წ. ბიბლიოთეკა გაიხსნა აგრეთვე ქალაქ პოჩევერსიტეტის
მის ქრისტიანული განათლების უნივერსიტეტში. მე-19 საუკ.
შუა ხანაში ინგლისის დასავლეთ-აფრიკის კოლონიაში
ქალაქ სიერა-ლეონში გაიხსნა კოლეჯის ბიბლიოთეკა,
კოლონისტებისათვის ბიბლიოთეკა გაიხსნა ასევე მავრიკის
ქუნძულზე.

თურქეთის უდღის ქვეშ მყოფი არაბეთის ქავწები დიდხ-
ანს იყვნენ მოკლებული ეროვნული კულტურის განვი-
თარებას. ეს პროცესი თითქმის მე-19 საუკუნის მეორე ნახ-
ევრამდე გაგრძელდა. დამასკოს, ქაიროს, ფესის ქველი წიგნსა-
ცავები, რომლებიც ძირითადად სასულიერო დაწესებულე-
ბებთან არსებობდა, უმდიდრეს ისლამურ ხელნაწერებს
ფლობდა, მაგრამ მათი გამოყენება თითქმის არ ხდებოდა.

მე-19 საუკ. მეორე ნახევრიდან იწყება არაბული აღმო-
სავლეთის ქავწების აქტიური აღორძინება. ფორმირდება
ახალი იდეოლოგია, რომელიც ნაციონალურ-განმანთავისუ-
ფლებელი მოძრაობის ერთგვარი ნაზავია, არაბული შუა-
საუკუნეობრივი და ახალი ევროპული ბურჟუაზიული
ტრადიციებთან. ეს იდეოლოგია ასახებს სწორედ აქ, არსე-
ბულ ბიბლიოთეკებში პოულობდა. ასე იყო, მაგალითად,
ქაიროს უნივერსიტეტისა და მისი აღექსანდრიის განყო-
ფილების ბიბლიოთეკებში, აგრეთვე ღუმიატის, ასიეტისა
და სხვა ქალაქის უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებში. მე-19
საუკუნის მეორე ნახევარში უგვიპტეში მთელი რიგი სა-
განმანათლებლო და სამეცნიერო საზოგადოებათა ბიბ-
ლიოთეკები იხსნება.

კოლონიურ ქავწებში ძირითადად მეტროპოლიტების
საბიბლიოთეკო პრაქტიკის ზეგავლენა იხსნდა თავს. მა-
გალითად, ინდოეთისა და სამხრეთ-აფრიკის ქავშირის ბიბ-
ლიოთეკებში ინგლისური ტრადიციები ინერგებოდა, ალ-
ეირის ბიბლიოთეკებს საფრანგეთის ზეგავლენა ეტუბო-
და და ა.შ. აფრიკის კონტინენტზე შორეული ამერიკის
ტრადიციებიც იკლევდა გზას. მაგალითად, 1866 წელს



ლიბანში ამერიკის შეერთებული შტატები აარსებს ახლო კოვენციალი და შუა აღმოსავლეთში ყველაზე დიდ სასწავლო დაწესებულებებისგას – ამერიკულ უნივერსიტეტს – ქარგი ბიბლიოთური კით.

განსაკუთრებით გამოიჩინეოდა 1870 წ. ეკროპულ ყაიდაზე თრგანიზებული ეროვნული ბიბლიოთეკა ქაიროში. საერთოდ, იმ პერიოდის პროგრესული საბიბლიოთეკო მუთოდების დანერგვა აფრიკულ კოლონიებში მხოლოდ მე-19 საუკუნის ბოლოს იწყება. რაც შეეხება სახალხო ბიბლიოთეკებს, არაბულ ქვეყნებში ამ პერიოდში არ არსებოდა.

კოლონიზაციონთა დამპყრობლური ომების შედეგად უმოწყალოდ ნადგურდებოდა ქველისტველი წიგნსაცავების ფონდები. დიდი ნაწილი მეტროპოლიებში გადაპქონდათ. ასე მაგალითად, 1860 წელს ინგლისელებმა უთოპიის მრავალი ტაძრიდან გაიტანეს ხელნაწერები და ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკას გადასცეს. მე-19 საუკუნის შუა ხანებში ლიბანში დაარსებული მეტად მნიშვნელოვანი ბიბლიოთეკა „ჯაგხბეტში“, რომელიც მირითადად ხელნაწერებით იყო დაკომპლექტებული, იტალიელი მეომრების ნადავლად იქცა.

თავისებურად მიმდინარეობდა საბიბლიოთეკო საქმის განვითარების პროცესები ამერიკის კონტინენტის დამოკიდებულ და კოლონიურ ქვეყნებში. მართალია, ლათინური ამერიკის ქვეყნები შეურიგებელი ბრძოლების შედეგად ოფიციალურად განთავისუფლდნენ კოლონიური უდლისაგან, მაგრამ ისინი მაინც განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ ტყვეობაში იმყოფებოდნენ. იქ ეროვნული კულტურა დიდი გაჭირვებით იკვლევდა გზას.

ამ ქვეყნებში განსაკუთრებით ძლიერ იდეოლოგიურ გავლენას აერცელებდა კათოლიკური ეკლესია. ბიბლიოთეკების უმრავლესობაც მათ ხელში იყო, მაგრამ ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის შედეგად ეს გავლენა თანდათან სუსტდებოდა და ეკლესიებიც კარგავდნენ არა



მარტო უფლებებს, ქონებასაც, და მათ შორის ბიბლიოთეკის
ბსაც. ასე მაგალითად, ეკვადორში ქალაქ კოტოს იქნებითა
ბიბლიოთეკა ნაციონალურ ბიბლიოთეკად გადაექთდა. 1857
წ. მექსიკის ეროვნულ ბიბლიოთეკას 80 ათასზე მეტი ტომი
გადაეცა ხაველესით ბიბლიოთეკების ფონდებიდან.

1810 წელს ნაციონალური ბიბლიოთეკა არგენტინაშიც
გაიხსნა, 1836 წ. – ბოლივიაში, 1810 წ. – ბრაზილიაში, ეროვნუ-
ლი ბიბლიოთეკები ამ ხანებში არსებობდა პერუში,
ურუგვაისა და ჩილეში. ყველა ეროვნული ბიბლიოთეკა
სავალდებულო ცალების მიღების უფლებით სარგებლობ-
და, თუმცა ეს წესი სრულყოფილად არ სრულდებოდა.
ხშირად ბიბლიოთეკები უმძიმეს პირობებში აღმოჩნდე-
ბოდნენ ხოლმე. პოლიტიკური სიტუაციის შედეგად, მა-
გალითად, მექსიკის ეროვნული ბიბლიოთეკის უმდიდრესი
ფონდის დიდი ნაწილი, რომელიც ძირითადად მექსიკას
შეეხებოდა, ლაიფციგში იქნა გაყიდული.

სახელმწიფო ბიბლიოთეკების არამდგრადობის გამო,
ხშირად ერთი ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდი არაკანონ-
იერი გზით მეორე ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდში გა-
დაინაცვლებდა ხოლმე.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი სულისკვეთება ნაციო-
ნალურ ბიბლიოთეკებს ძალას მატებდა ყოველგვარი
სიძნელე გადაელახა. ამის შედეგად ბევრი რამ სასიკრო
გაკეთდა ლათინური ამერიკის ქვეყნების ბიბლიოთეკებში.
მათი მეთოდიკა ძირითადად ამერიკულ-ევროპულ ტრადიციუ-
ბს ეფუძნებოდა, ამდენად, ისინი საკმაოდ თანამედროვე
ბიბლიოთეკებად გამოიყერებოდნენ.

ეროვნული კულტურის განვითარების შედეგად ლათი-
ნური ამერიკის ქვეყნებში გაჩნდა სამეცნიერო საზოგა-
დოებები და დაწესებულებები, სკოლები, უმაღლესი სახ-
წავლებლები. ყველას თავიანთი ბიბლიოთეკა გააჩნდა. ბიბ-
ლიოთეკები დაარსდა არა მარტო მსხვილ სამრეწველო
ქალაქებსა და დედაქალაქებში, არამედ შედარებით პატარა
ქალაქებსა და ზოგან დიდ სოფლებშიც, თუმცა ასეთი სახ-

აღხოვ ბიბლიოთეკები ლათინური ამერიკის ქვეყნებში
იშვიათობას წარმოადგენდა. ამ სახის ბიბლიოთეკები შექმნილი
შე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედში იქმნება, რაც საესეტიფიკაცია
სხვაგვარ სახეს აძლევს სამხრეთამერიკული ქვეყნების საბიბ-
ლიოთეკო საქმეს.

ამგვარად, ეს პერიოდი იყო მსოფლიოში საბიბლიოთეკ-
ები საქმის შემდგომი აღმავლობის დასაწყისი, რამაც თავი-
სი განვითარება უკვე შემდგა ეტაპზე პროცესი.

9. საგიბლიოთეპო საქონი განვითარება რევოლუციურ მოძრაობათა აღმავლობრივი პერიოდში (1871-1920)

9.1. საგიბლიოთეპო საქონი განვითარება ეპოქის ძველებაზი

უმძიმესი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ვითარების მიუხედავად, საბიბლიოოთეპო საქმე აღნიშნულ პერიოდში მაინც ახლებურად ვითარდებოდა, თუმცა სავსებით სხვადასხვაგვარი იყო მისი განვითარების გზა და პირობები განვითარებულ თუ შედარებით ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში. საბიბლიოოთეპო საქმე მთელ ევროპაში თეისებრივ ცვლილებებს განიცდის. აღორძინებას თან ახლავს დაქვეითება, მაგრამ მთლიანად მაინც განვითარების პროცესები უფრო მეტად და მეტად ვლინდება. ხდება ახალი ფორმებისა და მეთოდების დამკვიდრება, სხვადასხვა ქვეყნებს შორის ურთიერთობის დამყარება, გამოცდილების გაზიარება. მთელ რიგ ქვეყნებში კულტურის დარგში აშკარად შეინიშნება მნიშვნელოვანი პროგრესი, რაც, ერთი მხრივ, გამოწვეულია ცივილიზაციის შემდგომი განვითარებით, მეორე მხრივ – ხალხთა მასების განუხრევლი სწრაფვით სოციალ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებისათვის, რაც ხშირად პოლიტიკურ მოთხოვნებში გადადის. ამ მხრივ ტიპურ მაგალითს წარმოადგენდა დიდი ბრიტანეთი. ჩარტიზმით შეშფოთებული ხელისუფლება ინგლისში მოქნილ ხერხებსა და მეთოდებს მიმართავს დაბალ ფენებთან ურთიერთობის დროს. მან რამდენიმე დემოკრატიული რეფორმაც ჩაატარა, მაგრამ ბიბლიოოთეპები, განსაკუთრებით მასებისათვის განკუთვნილი, სათანადო გავრცელებას ვერ პოულობს, როგორც ეს ამერიკაში, ავსტრალიასა, კანადასა და ახალ ზელანდიაში იყო. ამ ქვეყნებში საქმაო რაოდენობით იხსნება ბიბლიოოთეპები, რომლებიც საჯარო ბიბლიოოთეპების ფუნქციებს ატარებდნენ. ის სიძნელეები,



რომელთა გადალახვა უხდებოდა მათ, თითქმის ყველა ქვეყნის მიმდინარეობისა დამახასიათებელი. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისში საჯარო ბიბლიოთეკების შესახებ კანონი 1850 წ. გამოვიდა, ბიბლიოთეკების ფინანსური მდგომარეობა ამით არ გაუმჯობესებულა.

1870 წელს მიღებულმა კანონმა სახალხო განათლების შესახებ შედარებით გააუმჯობესა მდგომარეობა. 1909 წლისათვის ინგლისში 532 საჯარო ბიბლიოთეკა მოქმედებდა, მაშინ, როცა 1889 წლისათვის მათი რიცხვი 153-ს შეადგენდა. 1917 წლისათვის ქალაქის მოსახლეობის დაახლოებით ორი მეტამედი საბიბლიოთეკო მომსახურებით სარგებლობდა.

1915 წელს ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა ადამისმა გამოიკვლია საჯარო ბიბლიოთეკების მდგომარეობა და წამოაყენა წინადაღება, ასეთი ბიბლიოთეკები სოფლებშიც გახსნილიყო. მან პროექტი შეთავაზა ხელისუფლებას ქავნის 5 რაიონად დაყოფის თაობაზე, მაგრამ იგი არ განხორციელდა. მხოლოდ კარიგის უნივერსიტეტმა, რომლის დავალებითაც მოქმედებდა ადამსი, თავისი ინიციატივით შექმნა ბიბლიოთეკების საცდელი ქსელი.

საჯარო ბიბლიოთეკების დაქომპლექტება ძირითადად შემოწირულობებით ხდებოდა. ამიტომაც ფონდების ფორმირება ვერ იყო სრულყოფილი. საგულისხმოა, რომ ყველა ეს ბიბლიოთეკა აქტიურად მუშაობდა მხარეთმცოდნეობითი ლიტერატურის შეკროვებაზე. ეს, საერთოდ, დამახასიათებელია ინგლისის ბიბლიოთეკებისათვის. საჯარო ბიბლიოთეკების უმრავლესობა აგროვებდა აგრეთვე სამუსიკო-სანოტო გამოცემებსაც. ბევრი ბიბლიოთეკა ბრძებისთვისაც იძენდა წიგნებს.

ლონდონისათვის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენდა კროოთახიანი პატარა სამკითხველოები, რომლებშიც სადგარებზე ჯოხებში შეკინძული გაზეთები ეღავა. ასეთი სამკითხველოები ძალიან პოპულარული იყო და დიდიალ ხალხს ქმსახურებოდა, უმეტესად გამვლელ-გამომვლელებს.



მე-20 საუკ-დასაწყისისათვის ინგლისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი დამქეიდრდა ფონდებთან თავის-უფალი დაშვების წესი. ჯეიმს ბრაუნმა ამ პერიოდში დამუშავა თავისი „საგნობრივო ქლასიფიკაცია“, რომელიც ორჯერ – 1906 და 1914 წლებში გამოსცა. იგი ცდილობდა ერთ კატალოგში მოექცია სისტემაზური და საგნობრივი კატალოგები და ამგვარად მისი კომპლექსური სახე მოეცა, მაგრამ ამან გამოყენება თვით ინგლისშიაც კი ვერ პოვა, სადაც კვლავ მოქმედებაში რჩებოდა დიუის ათწილადი კლასიფიკაცია.

რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, საჯარო ბიბლიოთეკებისათვის ინგლისში სპეციალური შენობების აგება დაიწყეს ყველა საჭირო სათავსით.

ამ პერიოდის ევროპისათვის დამახასიათებელია სამეცნიერო ბიბლიოთეკების საქმიანობის გაძლიერება, იხსნება ახალი კერები, განსაკუთრებით სამეცნიერო დაწესებულებებთან, მაგრამ ძირითადი ყურადღება მაინც ევროპულ ბიბლიოთეკებს ეთმობა. ასეთი ბიბლიოთეკები არის როგორც საერთო-სახელმწიფოებრივი, ისე ცალკეული რეგიონის. მაგალითად, ინგლისში რამდენიმე ეროვნული ბიბლიოთეკა იყო: უძველესი – ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და გამომგონებლობის ნაციონალური საცნობარო ბიბლიოთეკა, რომელიც 1885 წელს დაარსდა საპატენტო სამმართველოსთან, აგრეთვე ნაციონალური ცენტრალური ბიბლიოთეკა, დაარსებული 1916 წელს, რომელიც ძირითადად სტუდენტებს ემსახურებოდა, უელსის ნაციონალური ბიბლიოთეკა ქ. აბესისტუნგში, დაარსებული 1907 წელს, შოტლანდიის ეროვნული ბიბლიოთეკა ედინბურგში, კესტმინსტერნის ნაციონალური ბიბლიოთეკა მანჩესტერში, დაარსებული 1882 წელს.

მათ შორის განსაკუთრებული ყურადღებით ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკა სარგებლობდა. იგი სახალხო განათლების უწყებას კი არ ექვემდებარებოდა, როგორც სხვა ეროვნული ბიბლიოთეკები დიდ ბრიტანეთსა და უმეტეს

ქვეყნებში, არამედ უშუალოდ ხელისუფლებას. სავალდებულო ცალებისა და კოლონიებიდან უხვად შემოსულია ლიტერატურის წყალობით ფონდები იმდენად გაიზარდა, რომ უკავ დღის წესრიგში მათი განთავსების პრობლემის გადაწყვეტა დადგა. ამიტომაც მე-20 საუკუნის დასაწყისში აქ ლიტერატურის შეძენა მკაცრი შერჩევით დაიწყეს. ასევე იყო გამკაცრებული მოხმარების რეჟიმიც. მკითხველად მხოლოდ 21 წლის ასაკიდან იღებდნენ და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს პიროვნება მეცნიერულ მოდგაწყობას მისდევდა. ჩაწერისათვის საჭირო იყო ქალაქში მუდმივად მცხოვრები პირის შეამდგომლობა.

საბიბლიოთეკი საქმე საკმაოდ მაღალორგანიზებულად იყო დაყენებული გერმანიაში. პრუსიის სამეცნის ხელმძღვანელობით ქვეყნის გაერთიანებამ მრავალი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გარდაქმნა გამოიწვია. პარიზის კომუნამ, პირველი ინტერნაციონალის მოღვაწეობამ, მუშათა მოძრაობამ საქმაოდ შეაფიქრიანა ბურგუაზიული ხელისუფლება. ის ერთგვარ დათმობაზე წავიდა და რამდენიმე სოციალური რეფორმა გაატარა, რომელიც სახალხო და საჯარო ბიბლიოთეკების შექმნასაც ითვალისწინებდა. გერმანიაში, სადაც მნიშვნელოვანი რაოდენობით იხსნებოდა ბიბლიოთეკები, სახალხო ბიბლიოთეკების წილი მაინც უმნიშვნელო იყო – 2-3%. მხოლოდ ზოგ მხარეში თუ აფინანსებდა მათ ადგილობრივი მმართველობა, სანაცვლოდ კი განსაკუთრებით მკაცრად მოითხოვდნენ მათგან ორგანიზაციულ წესრიგს – ეკრალებოდათ პოლიტიკური ლიტერატურისა და მიმდინარე პერიოდიკის შეძენა. მხოლოდ რამდენიმე საჯარო ბიბლიოთეკა თუ აღწევდა იმ დონეს, რაც დამახასიათებელი იყო მაშინდელი მსოფლიოს საუკეთესო ბიბლიოთეკებისათვის, ისიც გამოჩენილი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეთა დიდი თავგამოდების შედეგად.

საბიბლიოთეკი საქმის მშენებლობაში ახალი ნაკადი შემოიტანა ვალტერ პოფმანმა (1879-1952), რომელსაც 1914



წელს ლაიფციგში საქალაქო ბიბლიოთეკების ორგანიზაცია
ცია დაეკისრა. მან პირველად სცადა, ჩამოვალიზებინა
მოსაზრებები მკითხველთა უსიქოლოგიის შესახებ. მას
მიაჩნდა, რომ ინდივიდუალური მუშაობა მკითხველებთან
საფუძვლად უნდა დაედოს ბიბლიოთეკის ყოველგვარ საქმი-
ანობას – ფონდების, კატალოგების და ცველა სხვა საქმი-
ანობის ორგანიზაციას. ის ბიბლიოთეკარებისაგან პედა-
გოგიური ტაქტის დაუფლებასა და მკითხველთა მოთხოვ-
ნილებების გათვალისწინებას მოითხოვდა. მან პირველმა
ჩაუყარა საფუძველი მკითხველთა სოციალურ, ასაკობრივ
და სხვა ნიშნებით დაყოფას, მკითხველთაგან ჯგუფების
შექმნასა და მათი ინტერესების შესწავლას. მან პირველმა
დაამუშავა ფონდების ფორმირების დროს ბიბლიოგრაფი-
ული მაჩვენებლების გამოყენების თეორია და საფუძველი
ჩაუყარა საბიბლიოთეკო სტაციისტიკას, გამოთქვა შეხედ-
ულებები კითხვის ხელმძღვანელობის შესახებ.

ჰოფმანისა და მისი თანამოაზრების – ა. ბუხბოლცის, პ.
ლადევინგისა და სხვათა ინიციატივით გერმანიაში ურთ-
იერთმეტოდური დახმარება შემოიდეს. მათ ეკუთვნის
აგრეთვე ერთიანი საბიბლიოთეკო სისტემის შექმნის იდეა.
ჰოფმანის მიერ ლაიფციგში შეიქმნა სპეციალური სკოლა
ბიბლიოთეკარების მოსამზადებლად.

გერმანიის საჯარო ბიბლიოთეკების დამახასიათებელ
თავისებურებას წარმოადგენს აგრეთვე არასტაციონარუ-
ლი მომსახურების ფორმების გამოყენება.

მთელ გერმანიაში გავრცელებული იყო სასკოლო ბიბ-
ლიოთეკები. ყოველ მხარეში თავისებური სასკოლო სისტემა
მოქმედებდა და, ამდენად, ცველა სკოლის ბიბლიოთეკა ერთ-
გვაროვნად როდი იყო დაკომპლექტებული. ამ მხრივ, შე-
დარებით უკეთ გამოიყურებოდა კლასიკური სასწავლე-
ბლები, რომლებიც უხვად სარგებლობდნენ შემოწირულე-
ბებით. ამგვარი მხარდაჭერის გარეშე დარჩენილი სკოლის
ბიბლიოთეკები მწირად გამოიყურებოდა. იმის გამო, რომ
მთელი გერმანია პრუსიის ხელისუფლების ქვეშ იყო, ქვეშ-

ნად პრუსიული მკაცრი რეჟიმი ვრცელდებოდა. ეს საბიბ-
ლიოთება საქმეზეც ახდენდა გავლენას.



შედარებით ნაკლებ იდეოლოგიურ-პოლიტიკურ წნებ-
ში იყვნენ სამეცნიერო ბიბლიოთეკები.

გერმანიის სახელმწიფოს ეროვნულ ბიბლიოთეკად 1885
წლიდან ბერლინში პრუსიის სამეცო ბიბლიოთეკა იქცა.
1914 წელს ის ახალ შენობაში გადადის. ამ ბიბლიოთეკაში
მოღვაწეობდნენ საყოველთაოდ ცნობილი ბიბლიოთეკათ-
მცოდნეები ოტო გარტვინგი – ავტორი "გალეს სამეცო
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის რეალური კატალოგის
სქემისა", და ფრიც მილკაუ – გერმანიის აკადემიური ბიბ-
ლიოთეკების საქმის ერთი ხელმძღვანელთაგანი. მათ მაღიან
ბევრი გააკეთეს დაკომპლექტების, ფონდების განლაგების,
კატალოგების ორგანიზაციისა და მკითხველთა მომსახ-
ურების გაუმჯობესებისათვის.

გერმანიაში ყველაზე ადრე იქნა შედგენილი შეერთე-
ბული კატალოგი. მასში გაერთიანდა ბერლინის 10 უნი-
ვერსიტეტისა და პრუსიის სამეცნიერო ბიბლიოთეკების
ფონდების აღწერილობანი. ამ საქმის ხელმძღვანელობა
სწორედ მილკაუს პქონდა დაკისრებული. 1899 წელს გამო-
დის მისი ხელმძღვანელობით დამუშავებული ანბანური
კატალოგის შედგნის ინსტრუქცია.

მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყის-
ში განსაკუთრებული სიმძაფრით დაიხსეა საკითხი საკატა-
ლოგო ფორმების შესახებ.

თანამედროვე პირობებში ბიბლიოთეკებს ადარ აქმაფ-
ოფილებდა მანამდელი ხელნაწერი და ბეჭდური კატალოგებ-
ის. მილკაუს მიერ საბიბლიოთეკო კატალოგების შესახებ
გამოთქმული მოსაზრებები ხელს უწყობდა კატალოგების
გაუმჯობესებას არა მარტო გერმანიაში, არამედ სხვა ქვეყ-
ნებშიც.

1890 წ. გერმანიაში საფუძველი ჩაეყარა ბიბლიოთეკათა-
შორის აბონემენტს. მსხვილ საბიბლიოთეკო ცენტრებს,
განსაკუთრებით ბერლინის ბიბლიოთეკას, ნება ეძლეოდა



გაეგზავნა სხვა ბიბლიოთეკებისათვის წიგნები დროში და სარგებლობისათვის. ზოგ შემთხვევაში ნებადართული იყო მათი სხვა ქვეყნის ბიბლიოთეკებისათვის გადაგზავნაც.

1905 წ. ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში იქმნება ცენტრალური საცნობო-ბიბლიოგრაფიული განყოფილება გერმანიისა თუ უცხოეთის ბიბლიოთეკებში საჭირო წიგნების ძიებისათვის. ამ განყოფილებიდან შეიქმნა ბიბლიოთეკათ-მცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის საცნობო ბიბლიოთეკა.

გერმანიის მეორე ნაციონალურ ბიბლიოთეკად იქცა ლაიფციგის ბიბლიოთეკა, რომელიც 1912 წელს დაარსდა. ის გადაიქცა დაარსებისთანავე ქვეყნის ბიბლიოგრაფიული მუშაობის ცენტრად.

მოცემულ ხანაში ევროპის ქვეყნებს შორის უველაზე დიდი ცვლილებები საბიბლიოთეკო საქმეში საფრანგეთმა განიცადა. პარიზის კომუნამ საბიბლიოთეკო საქმის სრული დემორატიზაცია გამოიცხადა. ამ პერიოდში მრავალი სახალხო ბიბლიოთეკა გაჩნდა. მუშაოთა ორგანიზაციები თავად აარსებდნენ, ბიბლიოთეკებს, სახელმწიფო საბჭოს საგანმანათლებლო კომისია გამუდმებით ცდილობდა სახალხო განათლებისა და საბიბლიოთეკო საქმის განვითარებას. თითქმის ყველა ბიბლიოთეკა სახალხო საკუთრებად გამოცხადდა, სახალხო ბიბლიოთეკებს უფასოდ ურიგდებოდა ლიტერატურა, ჩატარდა ღონისძიებები დიდგვაროვანთა სასახლეებში არსებული მდიდარი ფონდების თავმოყრისა და დაცვისთვის, მაგრამ საქმის წარმატებას დიდად უშლიდა ხელს ბიბლიოთეკართა საბოტაჟი, მოუწყობელი ცხოვრებისეული პირობები, სამოქალაქო აშლილობა და ომი, ხოლო 1970-1971 წლებში გერმანიასთან წარმოებულმა ომმა და მარცხმა საბიბლიოთეკო საქმე საფრანგეთში კატასტროფამდე მიიყვანა. აღორძინებული საბიბლიოთეკო საქმე ერთბაშად დაქვეითდა. ჯერ კიდევ 1861 წელს შექმნილი „განათლების მეცნიერთა საზოგადოების“ მიერ ქვეყანაში მრავლად იხსნებოდა ე.წ. „თავისუფალი ბიბლიოთეკები“,

რომელთაგან მიიღო სწორედ სათავე პარიზის მუნიცი-
პალურმა ბიბლიოთეკების დიდმა ნაწილმა. 1902 წლისათვეში „თავისუფალი ბიბლიოთეკების“ რაოდენობა 12-მდე გაიზარ-
და.

მე-20 საუკუნისათვის პარიზის მოსახლეობას 78 მუნიც-
იპალური ბიბლიოთეკა ემსახურებოდა. ოლქებში ბიბ-
ლიოთეკებს განაგებდა პრეფექტურასთან არსებული კომი-
სია. ოლქის ცენტრალური ბიბლიოთეკა ჩვეულებრივ მერიის
შენობაში იყო მოთავსებული. დანარჩენი ბიბლიოთეკები
სკოლებში თავსდებოდა. ბიბლიოთეკების ასიგნება ადგი-
ლობრივი მმართველობის სახსრებიდან ხდებოდა, რაც
ძალიან მცირე იყო. დაბალ დონეზე იდგა საკატალოგო
მეურნეობა, რადგანაც ზუსტად არ ხდებოდა არსებული
ინსტრუქციების დაცვა, არაკადალიფიციური ბიბლიოთეკები
თავიანთი შეხედულებების მიხედვით მოქმედებდნენ, მკითხ-
ველებთან არავითარი მუშაობა არ ტარდებოდა.

პროვინციის განათლებული მოსახლეობა ქალაქების
ბიბლიოთეკებით სარგებლობდა, ადგილებზე კი თითქმის
არავითარი პირობები არ არსებობდა. ეს ბიბლიოთეკები
საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის პირობებში
იყო განენილი. სოფლის მოსახლეობისათვის ერთ-ერთ
ხელმისაწვდომ ბიბლიოთეკებს სასკოლო ბიბლიოთეკები
წარმოადგენდა. მათი უმრავლესობა საქსებით ვერ პასუხ-
ობდა მკითხველთა მოთხოვნილებას. საფრანგეთში თითქ-
მის არაფერი კეთდებოდა მასების კითხვაში ჩაბმისთვის, ეს
მაშინ, როდესაც საფრანგეთი წიგნებისა და პერიოდიკის
დიდი რაოდენობით გამოცემით გამოირჩეოდა. მაგალითად,
20-იანი წლებისათვის მარტი პარიზში 500 სტამბა მო-
ქმედებდა, 950-მდე წიგნის სავაჭრო.

ერთგვარი ძვრები შეინიშნება 80-იანი წლების დასას-
რულს, როდესაც რესპუბლიკა მტკიცდება, ხდება მდგომარ-
ეობის სტაბილიზაცია, საფუძველი უწევება ახალ ტრადიციებს.
ძლიერდება ინტერესი ისტორიული მემკვიდრეობისადმი.
1888 წ. პარიზში იქმნება საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიუ-

ლი რევოლუციის შემსწავლელი საზოგადოება. ამ საზოგადოების საქმიანობისაგან ბიბლიოთეკები განსუ არ შეაძლონ ნიღან. აქტიურდება მუნიციპალური ბიბლიოთეკები პარიზში, დიუონში, ბეზანსონში, ლიონში, შერბურგში, პარიზში. სახალხო ბიბლიოთეკები მოსახლეობის უკეთ მომსახურების მიზნით, ახანგრძლივებენ მუშაობის საათებს.

1890 წელს საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიამ მოისმინა მოხსენება სახალხო ბიბლიოთეკების შესახებ. მრავალი ნაკლი იქნა აღნიშნული, მაგრამ ბევრი პერსპექტივის განსაზღვრაც მოხერხდა. ეს განხილვა ერთგვარი პროტესტი იყო სახალხო განათლების საქმეში ბიბლიოთეკების შესაძლებლობების შეზღუდულად გამოყენების გამო.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში საფრანგეთის ბიბლიოთეკებზე დიდი გავლენა მოახდინეს ამერიკელებმა. დაარსდა ახალი ბიბლიოთეკები სუასონსა და პარიზში. სუასონში გაიხსნა პირველი დამოუკიდებელი საბავშვო ბიბლიოთეკა „მხიარული საათი“. პარიზის ახალდაარსებული ბიბლიოთეკა და სუასონის საბავშვო ბიბლიოთეკა ქარგად იყო ორგანიზებული, ჰყავდათ მაღალკვალიფიციური კადრები, პროპაგანდას უწევდნენ საბიბლიოთეკო საქმეში ამერიკული ფორმებისა და მეთოდების დანერგვას.

საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტთა ერთი ნაწილი უარყოფითად აფასებდა საფრანგეთის საბიბლიოთეკო სისტემას, რომელიც სახალხო განათლების სისტემის მსგავსად, დაყოფილი იყო ორად – სხვადასხვა კლასის ბიბლიოთეკებად. ისინი ერთიანი სისტემის შექმნას მოითხოვდნენ.

საფრანგეთში უკეთეს მდგომარეობაში არც სამეცნიერო ბიბლიოთეკები იყო. საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკა პარიზში, სხვა ქვეყნების ნაციონალურ ბიბლიოთეკებთან შედარებით, მეტად უფერულად გამოიყერგდოდა. ფაქტობრივად, მისი ფუნქცია ერთადერთ ამოცანას ექვემდებარებოდა – დაეცვა ნაციონალური ბეჭდვითი პროდუქცია. მითხველთა მომსახურების დაბალი დონის მიუხედავად, ამ ბიბლიოთეკას მრავალი დადგითიც გააჩნია.

და. მისი დირექტორის – ცნობილი სპეციალისტის ლეი რამდენდედ დელილის თაოსნობით აქ ამ პერიოდში ბარათუმაც და ლი კატალოგი შედგა. ბოლოს და ბოლოს, საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციიდან მოყოლებული 1893 წლამდე გამოცემული ყველა წიგნი, რომელიც ბიბლიოთეკაში იყო დაცული, აღწერილ იქნა და კატალოგში შევიდა. 1897 წელს გამოიცა ბიბლიოთეკის კატალოგის პირველი ტომი. განხდილი ფონდები მათი განთავსებისათვის საჭირო ფართობის სივიწროვეს ქმნიდა. ამიტომაც იდგა ფონდების უფრო რაციონალურად განლაგების საკითხი. 1877 წელს ამ ბიბლიოთეკამ ერთ-ერთმა პირველთაგანმა შექმნა საერთაშორისო წიგნცვლის განყოფილება.

1900-იან წლებში საფრანგეთში საბიბლიოთეკო და საარქივო საქმის კომისია იქმნება. საბიბლიოთეკო საქმეთა ქვესექციას ხელმძღვანელობდა ლ. დელილი. მისი ხელმძღვანელობით ეროვნული და სხვა წამყვანი ბიბლიოთეკების ბაზაზე ანდანური კატალოგის ინსტრუქციის პროექტი შეიქმნა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ განხორციელდა.

მოცემულ პერიოდში საბიბლიოთეკო საქმის განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა შვეიცარიის გამოცდილებამ. 1874 წელს ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ ქვეყანა გარდაიქმნა ფედერალურ რესპუბლიკად 22 ქანტონით. გატარდა დემოკრატიული რეფორმები, ქვეყანა იცავდა მუდმივ ნეიტრალიტეტს. ბიბლიოთეკებს არ განუცდია რბევა და დაშლა. ამიტომაც საბიბლიოთეკო საქმე აქ მუდმივი აღმავლობის გზით მიღიოდა. მე-19 საუკ. დასასრულისათვის 2 მილიონ მოსახლეზე 2 ათასი ბიბლიოთეკა ფუნქციონირებდა. მოსახლეობას ემსახურებოდა სათემო, სახოფლო, საქალაქო, ზოგი კანტონის სამეცნიერო ბიბლიოთეკები და აგრეთვე ხელოვნებისა და ხელოსნობის ბიბლიოთეკები, რომლებიც შევიცარიაში მრეწველობის შემოჭრასთან ერთად შემოიდეს. შედარებით მცირე რაოდენობით იყო სახლობო ბიბლიოთეკები. ამათგან გამოირჩეოდა პეტალოცის საზოგადოების მიერ დაარსებული ბიბლიოთეკა.



საჯარო ბიბლიოთეკები კარგად იყო ორგანიზებული ფეხურით გველგან ფონდთან თავისფალი დაშვების სისტემა გამოიყენებოდა. ბიბლიოთეკებში დარბაზები არ იყო, ძირითადად ინდივიდუალური აბონემენტი მოქმედებდა. ზედმიზევნით განვითარებული იყო ბშა (ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტი) და დაუსწრებელი აბონემენტი. მომხმარებელს ქვეყნის ყველა კუთხიდან ყოველგვარი საფასურის გარეშე შეეძლო ბიბლიოთეკიდან ფოსტით მიეღო წიგნები დროებით სარგებლობისათვის.

ბურგუაზიულ-რეფორმისტული ორგანიზაციის „გრუიტლის“ ინიციატივით წარმოიშვა ე.წ. მუშათა საზოგადოებუბის, რომლებიც თავიანთი ლიბერალური სულისკვეთების გამო აღიზიანებდა რადიკალურად განწყობილ სოციალ-დემოკრატებსა და ბოლშევკიებს.

დიდ ქალაქებში ცენტრალური ბიბლიოთეკები იჭრდნენ წამყვან ადგილს. ამათგან განსაკუთრებით ციურისის ცენტრალური ბიბლიოთეკა გამოირჩეოდა. მართალია, ის დიდი არ იყო – სულ 160 ათასი ტომი გააჩნდა, მაგრამ მათ შორის მრავლად იყო მდიდარი ხელნაწერი ტექსტები; განსაკუთრებით უხვად მოიპოვებოდა პერიოდული გამოცემები (900-მდე დასახელების).

1887-1897 წლებში აქ შეადგინეს საგნობრივი კატალოგი, რომელიც, საერთოდ იშვიათად დგება ბიბლიოთეკაში. ეს კატალოგი მთელ ევროპაში საუკეთესო იყო. იგი ხელს უწყობდა სხვა ქვეყნებში ამგვარი კატალოგის პოპულარიზაციას. განსაკუთრებით დიდი ზეგავლენა იქონია მან აქსტრიისა და გერმანიის ბიბლიოთეკებზე, სადაც ამ კატალოგს გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდნენ. 1909 წელს კიდევ გამოქვეყნდა ციურისის საქალაქო ბიბლიოთეკის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო მითითებები საგნობრივი კატალოგის შესადგენად.

ზოგ კანტონში ცენტრალური ბიბლიოთეკები სამეცნიერო ხასიათს ატარებდა. ისინი ფაქტობრივად საცავებს წარმოადგენდნენ, სადაც უმეტესად თავმოყრილი იყო ის-

ტორიოგრაფიული, ეთნოგრაფიული და კანტონის კულტურის შესახებ არსებული ლიტერატურა. 20-იანი წლების მიზანით საოცის შვეიცარიის კანტონების, საქალაქო ცენტრალური და სხვა ბიბლიოთეკები გაერთიანდა კანტონურ და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებად.

შვეიცარიის ბიბლიოთეკებისათვის დამახასიათებელია დაკომპლექტების მაღალი კულტურა. მცირე დოტაციები აიძულებდა მათ მომკირნეობით შეეძინათ წიგნები, მთთ უმეტეს, ბეჭდური პროდუქციის შეძენა საჭირო იყო გერმანიის, ავსტრიის, საფრანგეთის, იტალიის გამომცემლობებიდანაც, რადგანაც აქ თანაბარ საწყისებზე ცხოვრობენ ამ ქვეყნებიდან წარმომავალი ხალხები.

მრავალი ქვეყნის სპეციალისტებისათვის ცნობილი იყო ენევის საუნივერსიტეტო საჯარო ბიბლიოთეკა, რომლის ფონდებში დაცულ ბეჭდურ პროდუქციასთან ერთად დიდი რაოდენობით იყრიდა თავს ხელჩაწერები პაპირუსება თუ ქადალდზე, დოკუმენტები ეგვენის, პარიზის კომუნის, პროტესტანტიზმის, საფრანგეთის დიდი ბერეუაზიული რეპოლუციის შესახებ, მასალები ასირიოლოგიის, ეგვიპტოლოგიის დარგში.

ლიუცერნის სამოქალაქო ბიბლიოთეკაში დიდადი მხარეთმცოდნეობითი ლიტერატურის თავმოყრამ წარმოშვა იდეა, ნაციონალური ბიბლიოთეკის ძირითად ფუნქციად სამხარეო და მხარეთმცოდნეობითი ლიტერატურის სამუდამოდ დაცვა ქცეულიყო. ამგვარი ბიბლიოთეკა იყო აგრეთვე ბერნში, რომელიც სავალდებულო ცალებსაც დებულობდა. იგი გამოსცემს ბეჭდურ კატალოგებს, მოხდა მისი ორგანიზაციული გარდაქმნა და მომსახურების სრულყოფა.

მე-20 საუკუნის პირველ ორ ათეულში ეს ბიბლიოთეკა ერთ-ერთი სანიმუშოა ევროპაში.

შვეიცარიაში არ არსებობს საბიბლიოთეკო საქმის ერთიანი ცენტრი, მაგრამ უაღრესად მაღალ დონეზე დგას ამ დროისათვის ბშა – ს საქმიანობა როგორც კანტონებს შორის, ისე უცხოეთის ბიბლიოთეკებთანაც.

მომსახურების მაღალმა კულტურამ, ფონდებთან თავის-
უფალმა დაშვებამ, კარგად შედგენილმა კატალოგებშიან
მ, ბეჭდური და შეერთებული კატალოგების არსებობამ და
სხვა პროგრესულმა საწყისებმა დიდი ავტორიტეტი მოუხ-
ვეჭეს შვეიცარიის ბიბლიოთეკებს. ეს პატარა ქვეყანა გარშემო
არსებული ქვეყნებისათვის ნამდვილ მაგალითს წარმოად-
გენდა. ამის გამო საბიბლიოთეკო საქმის ისტორიაში შვეი-
ცარიის ბიბლიოთეკებსა და საბიბლიოთეკო საქმეს მთლი-
ანად განსაკუთრებული აღვიდი უჭირავს. შემდეგ პერი-
ოდში ეს უკვე აღარ შეინიშნება. მოწინავე ქვეყნის წარ-
მატებებმა დაკარგა თავისი პრიორიტეტი მას შემდეგ, რაც
სხვა დიდმა ქვეყნებმა საბიბლიოთეკო საქმეში არნახულ
წარმატებებს მიაღწიეს. ამან ნაწილობრივ გააუფერულა
შვეიცარიის საბიბლიოთეკო სისტემის შემდგომი მიღწვევე-
ბი.

ევროპის სხვა ქვეყნებში საბიბლიოთეკო საქმის განვი-
თარების მეტად არაერთგვაროვან სურათს ვხედავთ. ამ პე-
რიოდში ერთი რამ აშკარად ახასიათებს ევროპული ქაშ-
ნების საბიბლიოთეკო საქმიანობას – ფეხს იყიდებს
დემოკრატული პრინციპები, შეინიშნება საგრძნობი აღმავ-
ლობა, მაგრამ ამ ეპოქის დასასრულს მას დიდი დაცემუ-
ლობა მოსდევს, რის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს მძიმე
პოლიტიკური ურთიერთობები სხვადასხვა ქვეყნებს შორის
და მსოფლიო ომი, რასაც თან გამანადგურებელი რევოლუ-
ციები ერთვიდა. ამის დადასტურებაა, მაგალითად, ავსტრია-
უნგრეთის საბიბლიოთეკო საქმიანობა. საკუთრივ ავსტრი-
ის პროვინციებში სახალხო ბიბლიოთეკები ძალიან ცოტა
იყო. შედარებით უკვე გამოიყერებოდა ჩეხეთის მხარე, სა-
დაც შემოღებულ იქნა საყოველთაო სავალდებულო დაწ-
ყებითი განათლება. მე-19 საუკუნის დასაწყისში ჩეხეთის
ბევრ ქალაქში საერობო ბიბლიოთეკები მოქმედებდა. 1891
წელს პრაღაში ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკა გაიხ-
სნა. პრაღაში, პლზენში, ბრნოში 80-იანი წლებიდან მოყ-
ოლებული, მუშათა ბიბლიოთეკებიც არსდება, რომლებიც



უმეტესად სოციალ-დემოკრატების გავლენას განიცდიდა. უნგრეთში 1875 წელს აკრძალეს პოლიტიკური გაერთიანების თანახებების, პროფესიული გამოცხადების, კულტურული ორგანიზაციების დაარსება, რომლებსაც ნაციონალური ხასიათი ექნებოდა. დახურეს ეროვნული, დაწყებითი და საშუალო სკოლები სლოვაკეთსა და სერბიაში, არსებობა შეწყვიტა სლოვაკურმა „მატიცამ“. განსაკუთრებულ შევიწროვებას განიცდიდნენ ხორვატები, მაგრამ მათ მაინც შეძლეს, გაეხსნათ რამდენიმე ეროვნული სახალხო ბიბლიოთეკა. ხორვატი ინტელიგენტებისაგან შემდგარ საზოგადოებაში 1905 წელს შეიქმნა საჯარო ბიბლიოთეკების მთავარი სამმართველო. მისი მოღვაწეობის შედეგად გაჩნდა ბიბლიოთეკები სპლიტში, კარლოვიცარში, ზაგრებში.

ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებში ამ პერიოდის დასაწყისში დიდი მოძრაობა იყო თურქების უღლისაგან თავდასახსნებლად, ხოლო ამის შემდეგ სხვა დიდი სახელმწიფოების მიერ შევიწროვებისაგან. საბერძნეთის, რუმინეთის, სერბიის, ჩერნოვორიის, ბულგარეთის ხალხები ყოველ დონეს ხმარობდნენ, შეენარჩუნებინათ ეროვნული თვითმყოფადობა. მოწინავე ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების გავრცელებას დიდად უწეობდა ხელს ბიბლიოთეკები. 1895 წელს ქალაქ ბელგრადში პირველი მუშათა ბიბლიოთეკა გაჩნდა. 1903 წლისათვის ასეთი 25 ბიბლიოთეკა არსებობდა.

ჩერნოვორიაში საჯარო ბიბლიოთეკების მაგივრობას სასკოლო ბიბლიოთეკები ასრულებდნენ.

რუმინეთში ბიბლიოთეკები უმეტესად კერძო ინიციატივით არსდებოდა. სოფლებში ბიბლიოთეკების გახსნა დიდი გაჭირებით ხერხდებოდა, რადგან ხელისუფლება არ იძლეოდა ამაზე თანხმობას. მხოლოდ რევოლუციური აღმავლობის დროს გახდა შესაძლებელი სხვადასხვა ქალაქში მუშათა ბიბლიოთეკების გახსნა.

ყველა ამ ქვეყანაში აქა-იქ ფუნქციონირებდნენ არალუგადური ბიბლიოთეკები, რომლებიც ეროვნულ-განმათვისუ-



ცლებელი და სოციალ-დემოკრატიული იდენტის გავრცელების
ბას უწყობდნენ ხელს.

შედარებით განხსნავებული მდგომარეობა იყო ბულგარეთში. პატრიოტულმა სულისკვეთებამ აქ მე-19 საუკ. 70-იანი წლებისათვის ზენიტს მიაღწია. თურქეთის ხელისუფლება ყოველმხრივ ავიწროვებდა ადგილობრივ ეროვნულ წამოწევებას და მათ შორის ბიბლიოთეკებსაც. გნაკუთრებით აქტიურობდნენ სასკოლო ბიბლიოთეკები. ყველა ბიბლიოთეკაში ცალკე ინახებოდა და მაღლებრივ რეცელდებოდა რევოლუციური ლიტერატურა. ბულგარეთში სხვადასხვა პერიოდში ბევრგან დაარსდა არალეგალური ბიბლიოთეკა(3).

თურქეთის იმპერიის უდლისაგან განთავისუფლების შემდეგ ადრე მოქმედი ბიბლიოთეკა-ჩიტალიშები, რომლებიც, ზოგის ასრით, უნდა გაუქმებულიყო, რაკი მიაჩნდათ, რომ მათ დაკარგეს თავიანთი ფუნქციები, უფრო მომრავლდნენ. 1908 წლისათვის ამ საზოგადოებრივი ქსელის ბიბლიოთეკათა რაოდენობა 386-ს აღწევდა. 1911 წელს ჩამოყალიბდა გაერთიანება – ჩიტალიშების უმაღლესი საბჭო, რომელმაც ენერგიულად იმოდგაწა ბულგარეთის საბიბლიოთეკო საქმის განვითარება-განმტკიცებისათვის. ამ საბჭოს ინიციატივით ბულგარეთის ბიბლიოთეკებმა პირველად დაიწყეს ათწილადი საკლასიფიკაციო სისტემის გამოყენება, გამოიცემოდა ქურნალი "ჩიტალიშე".

1891 წლიდან ხდება სასკოლო ბიბლიოთეკების რეორგანიზაცია. ისინი აღარ ემსახურებიან მასობრივ მკითხველს, მაგრამ სანაცვლოდ მომრავლებას იწყებს მუშათა ბიბლიოთეკები ძირითადად სოციალ-დემოკრატიული მიმართულებით.

თავისებური პირობები იყო შექმნილი იტალიაში. მე-19 საუკ. ბოლო ორ ათეულში აქ ძირითადად მკვიდრდება კომუნალური სახალხო ბიბლიოთეკები. ისინი თითქმის სულს დაფავენ უსახსრობის გამო. დიდ ქალაქებშიც კი ბიბლიოთეკები უმწეო მდგომარეობაში არიან, კვირაში



რამდენიმე დღეს მუშაობენ.

შედარებით გამოსწორდა მდგომარეობა მე-20 საუკუნის განვითარების დასაწყისში. რევოლუციურმა მდელვარებამ ხელისუფლება აიძულა ლიბერალიზაციის გზას დასდგომოდა, რაც ბიბლიოთეკების საქმიანობასაც დაეტყო. ქალაქში არსებული საჯარო ბიბლიოთეკები ხელმისაწვდომი გახდა მასისთვის. მათ თანხები სამონასტრო-საეკლესიო ქონების კონფისკაციით ევსებოდათ. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდვე ყოველ კარქისა და არალეგალური საქმიანობისათვის მრევლში მაინც არსებობდა კათოლიკური ბიბლიოთეკა.

1908 წელს დაარსდა სრულიად იტალიის გაერთიანება, რომელიც კულტურის დემოკრატიზაციის მოთხოვნით გამოდიოდა. იგი თანამშრომლობდა სხვადასხვა ტიპის ბიბლიოთეკებთან. 1917 წლისათვის მან მოამზადა დადგუნდება საჯარო და სასკოლო ბიბლიოთეკების დაარსებისათვის საჭირო განაწესის შესახებ.

კვროპის ქვეშებს შორის მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში განსხაკუთვებით განვითარდა სკანდინავიის ქვეყნების საბიბლიოთეკო საქმიანობა. ამას ხელი შეუწყო არნახული ტემპით მრეწველობის განვითარებამ, რასაც თან სდევდა აქტიური ურბანიზაცია. ხანგრძლივმა ნეიტრალიტეტმა, ლიბერალურმა მმართველობითმა სისტემამ, რადიკალურ-რევოლუციონერულად განწყობილი პოლიტიკური მოღვაწეებისათვის აქ თავშესაფრად კარგმა პირობებმა და პოლიტიკური ემიგრაციისათვის ხელშეწყობამ თავისებური გავლენა მოახდინა ამ ქვეყნების კულტურულ ცხოვრებაზე. მაგალითად, მე-19 საუკუნის ბოლოს ნორვეგიამ უდიდეს წარმატებას მიაღწია ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში, მოხდა ბიბლიოთეკების სრული დემოკრატიზაცია. აქ განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებენ სასკოლო ბიბლიოთეკები. როგორც ცნობილია, შეედურ-ნორვეგიული უნის მოქმედების განმავლობაში (1814-1905) ნორვეგიელი ხალხი მძაფრ ბრძოლას ეწეოდა დამოუკიდებლიბისათვის. ამ საქმეში სკოლები აქტი-



ურად იუვნენ ჩაბმული და ამდენად მათი ბიბლიოთკა კამპუსი
მშობლიური ენისა და კულტურის შენარჩუნების საქართველოს
ავანგარდულ როლს ასრულებდნენ.

შეციის საბიბლიოთეკო საქმის გამოცოცხლებაც სახეო-
ლო რეფორმასთანაა დაკავშირებული, რომელიც აქ 1890
წელს საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის
გადასინჯვას მოჰყვა. ამ პერიოდში ქაუნად ბევრი საოლქო
და კომუნალური ბიბლიოთეკა დაარსდა, რომლებიც მე-20
საუკუნის დასაწყისისათვის განსაკუთრებით მომრავლდა.
1912 წლიდან მთავრობის მიერ ბიბლიოთეკებს სამუდამო
სუბსიდიები დაენიშნა და კონსულტანტების შტატები მიეცა.

შესამჩნევ წარმატებებს მიაღწია საბიბლიოთეკო საქმემ
დანიაში. აქაც ხალხთა მასების მომსახურებას სახეოლო
ბიბლიოთეკები ეწეოდნენ. 1899 წელს განათლების სამინი-
სტროსთან შეიქმნა საბიბლიოთეკო სახელმწიფო კომი-
ტეტი, რომლის აქტიური მხარდაჭერით ქ. ორხუსში სახ-
ელმწიფო ბიბლიოთეკა გაიხსნა, რომელიც თითქმის მთვ-
ლი ქაუნის ბიბლიოთეკებს ამარაგებდა წიგნებით დროუ-
ბითი სარგებლობისათვის. ამის შედეგად ის თანდათან
ბშა-ს ცენტრად გადაიქცა. 1905 წელს დანიაში საჯარო
ბიბლიოთეკების საზოგადოება დაარსდა.

ბელგიაში, რომელიც დიდხანს რჩებოდა აგრარულ სახ-
ელმწიფოდ, ბიბლიოთეკების ქსელის ზრდა მე-19 საუკუნის
60-იანი წლებიდან იწყბა. საბიბლიოთეკო საქმე შინაგან
საქმეთა სამინისტროს ექვემდებარებოდა. ამ სამინისტროს
გადაწყვეტილებით, სახეოლო ბიბლიოთეკებს ნება დაერ-
თო საჯარო ბიბლიოთეკების ფუნქციებიც ეტვირთათ. 80-
იანი წლებიდან, როდესაც სწრაფი ტემპით იწყებს განვი-
თარებას კაპიტალიზმი, მწვავდება ბრძოლა პარტიებს შორის
სახეოლო და საბიბლიოთეკო საქმის დემოკრატიზაცია-
სთან დაკავშირებით. მიღწეულ იქნა ერთგვარი პროგრესი,
მაგრამ 1884 წელს, როდესაც კათოლიკური ხელისუფლება
მოვიდა სახელმწიფოს სათავეში, ბევრი პროგრესული მიღ-
წვა უპავდებულ იქნა. მუშათა მომრაობის არნახულმა

გაქანებამ, ბოლოს და ბოლოს, კლერიკალური მთავრობა
იძულებული გახადა გარკვეულ დათმობას წასული მომრავლდა საჯარო ბიბლიოთეკის,
ამის გამო საქმაოდ მომრავლდა საჯარო ბიბლიოთეკის,
თუმცა ბევრი სოფელი ჯერ კიდევ ბიბლიოთეკის გარეშე
იყო დარჩენილი, ამიტომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აქ
გავრცელებულ წიგნდამტარებლობას. მსოფლიო ომის დროს
ბერმანელთა მიერ ქვეყნის ოკუპაციის შედეგად საერთო
აღმაფლობა სრულიად შეწყდა და საბიბლიოთეკო საქმე
მთლიანად მოიშალა.

უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული პერიოდის დასახურული
ევროპის ქვეყნების საბიბლიოთეკო საქმიანობაში დიდი
დაქვეითებით ხასიათდება სწორედ იმ პოლიტიკური მიზა-
ნების გამო, რომელიც საომარმა პირობებში შექმნა.

9.2. საბიბლიოთეკო სამის ბანკითარება შემთხვევაში

შეერთებული შტატების კულტურის განვითარება მთლიანად შეეხატებისებოდა მოცემული პერიოდის პოლიტიკურ
და ეკონომიკურ ძლიერებას. ეს ხანა დიდი გარდაქმნების, მონოპოლიზაციისა და მძაფრი სამხედრო-პოლიტიკურ
ურთიერთობათა პერიოდია. ევროპის საბიბლიოთეკო საქ-
მის მაგალითმა, საგრძნობმა საქველმოქმედო დახმარებებმა
ამერიკის შეერთებული შტატების საბიბლიოთეკო საქმეზე
კეთილსასურველად იმოქმედა. ფართო გაქანება პოვეს
შტატებში საჯარო ბიბლიოთეკებში, რომლებიც ამერიკული
მოსახლეობის საშუალო ფენებს ემსახურებოდნენ.
ამერიკული ბიბლიოთეკების უმთავრეს პრინციპად დემო-
კრატიულობა იყო აღიარებული – ყოველგვარი შეუზღუ-
დველობა, მაგრამ რასობრივი დისკრიმინაციის პირობებში,
რომელსაც ჯერ კიდევ ჰქონდა ადგილი აქ, ამ პრინციპის
სრული რეალიზაცია შეუძლებელი ხდებოდა.

საჯარო ბიბლიოთეკები ემიგრანტებსაც ემსახურებოდ-
ნენ. ბევრი ემიგრანტი თავად მუშაობდა ბიბლიოთეკაში,



მსგავსად შვედი სოლომონ ჯოზეფსონისა (1860-1944), რომელიც საბიძლიოთეკო დარგის ერთ-ერთ რაციონალიზაციური რად შეიძლება ჩაითვალოს. იგი წიკაგოს კერძო ბიბლიოთეკაში მუშაობდა, სადაც მშვენიერი კატალოგი შეადგინა, მონაწილეობა მიიღო კატალოგიზაციის წესების სრულყოფაში, აქვს მრავალი მნიშვნელოვანი ბიბლიოგრაფიული ნაშრომი.

იმათვის, ვისაც შეეძლო ესარგებლა ამერიკული ბიბლიოთეკებით, საუცხოო პირობები იყო შექმნილი.

აქტიურად მოქმედებდა მსხვილი საწარმოო ცენტრების ბიბლიოთეკები. 1895 წელს ქველმოქმედთა სახსრებით გახსნილი ბიბლიოთეკის ბაზაზე დაარსდა ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკა. მას მთელ ქალაქში პქონდა გახსნილი ფილიალები და მოძრადები –სკოლებში, საორგანიზაციო და სამეცნიერო ინსტიტუტებში. ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული იყვნენ ბშა –თი.

მეტად ორიგინალურად ხდებოდა ბიბლიოთეკებისა და ფილიალების დაკომპლექტება. ცენტრალურ ბიბლიოთეკასა და ფილიალებს შორის ფონდების შეძენა თემატურად იყო განაწილებული. თუ ცენტრალური ბიბლიოთეკა იძენდა, მაგალითად, ისტორიულ ლიტერატურას ამერიკის შესახებ, ფილიალები ადგილობრივი მნიშვნელობის ისტორიულ ნაწარმოებებს უყრიდნენ თავს.

ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკაში ფონდის დიდი ნაწილი – ძირითადად დამხმარე ლიტერატურა – თავისუფალი დაშვების სისტემით გაიცემოდა ადგილზე სარგებლობისათვის. ერთ დარბაზში დაახლოებით 4,5 ათასამდე მიმდინარე პერიოდული ორგანო იყო თავმოყრილი. მათ შორის ასამდე დასახელება ლია თაროზე იღო. ამ ბიბლიოთეკაში განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობოდა მკითხველთა მომსახურებას, მათთვის დახმარების აღმოჩენას საჭირო წიგნის შერჩევაში. მის სტრუქტურაში შედიოდა: ბიბლიოთეკა ბრძანათვის, უცხოელთა მომსახურების განყოფილება, აღმოსავლეთის განყოფილება, ევროპული



ლიტერატურის განვითარება, სლავური განვითარება, საქართველო
კითხეველო დარბაზი ბავშვებისათვის, საცნობარო განვითარება
ფილება დარბაზითა და კატალოგებით.

1895 წელს მიღიონერ კარჩევის ხარჯზე პიტერბურგში
შეიქმნა საჯარო ბიბლიოთეკა, რომლის მკითხველთა ორი-
მესამედი ემიგრანტი იყო, უმეტესად მუშავი, ხელოსნები და
საშუალო ტექნიკური პერსონალი.

საერთოდ, საჯარო ბიბლიოთეკებიდან ფილიალები
პირველად ბოსტონის საჯარო ბიბლიოთეკამ გახსნა. 1870
წელს, რაც ტრადიციად იქცა და სხვა ბიბლიოთეკებშიც
დაინერგა.

მსხვილი ქალაქების საჯარო ბიბლიოთეკები მაშინდე-
ლი დროისათვის კარგად იყო აღჭურვილი ყველა შესა-
ძლებელი ტექნიკური საშუალებებით – ლიფტებით, შუქ-
ფარებით, მექანიკური ფოსტით, წიგნების გადამზანი
ელექტროგზებით და სხვ.

ამჟრიკის შეერთებულ შტატებში 1900 წლისათვის სოფ-
ლის მოსახლეობა 60% -ს შეადგენდა. მათი მომსახურები-
სათვის უმეტესად საოლქო ცენტრებში საჯარო ბიბ-
ლიოთეკები იხსნებიდა, ხოლო პერიფერიების მოსახლე-
ობას მოძრავი ფორმებით ემსახურებიან. პირველი ასეთი
ბიბლიოთეკა მერილენდის შტატში გაიხსნა.

მელვილ დიუსი ინიციატივით, რომელიც ნიუ-იორკის
შტატის ქ. ოლბერის საჯარო ბიბლიოთეკას ხელმძღვ-
ანელობდა, 1892 წელს დაიწყო მოძრავი ბიბლიოთეკების
(გადასატანი ბიბლიოთეკების) გამოყენება, რაც შემდეგში
სწრაფად გავრცელდა მთელ ამერიკაში.

საერთოდ, ამერიკის საბიბლიოთეკო საქმის განვითარე-
ბას დიდად შეუწყო ხელი ამ პერიოდში მოღვაწე სპე-
ციალისტთა მთელმა პლეადამ, რომელთა შორის იუვნენ
საერთაშორისო მნიშვნელობის ბიბლიოთეკათმცოდნები:
ჯ. დანი, ჩ. კეტერი, მ. დიუსი. ისინი ყოველმხრივ ცდილობდ-
ნენ, რომ ბიბლიოთეკები, რამდენადაც შეიძლება, აქტიურად
ჩაბმულიყვნენ წიგნების გავრცელების საქმეში, დახმარე-

ბოდნენ მკითხველებს, გაეთვალისწინებინათ მათი ცნურული
სები და მოთხოვნილებანი.

ამერიკული ბიბლიოთეკები ძალიან ბევრს აკეთებდნენ
მკითხველთა მიზიდვისათვის. ამ მიზნით იყენებდნენ გაზეთებს, აცხადებდნენ კონკურსებს საუკეთესო გამოფენების გამოსავლენად, რომლებიც მაღაზიაში იმართებდა, გამოდიოდნენ საჯაროდ. ტეხასის შტატის ქალაქ უაკოში ვ.წ. „საბიბლიოთეკო გადასხდომაც“ კი შემოიღეს – ტრამვაის მგზავრი, თუ ბიბლიოთეკაში მიღიოდა და შესაბამის განერებაზე ჩამოვიდოდა, მას უფასო ბილეთს აძლევდნენ.

საჯარო ბიბლიოთეკებში განსაკუთრებული გული-სყურით ემსახურებოდნენ წარმოების სფეროში დასაქმებულ სპეციალისტებს – ინჟინერებს, ტექნიკოსებს, მექანიკოსებს, კომერსანტებს. 1889 წელს ამერიკის ბიბლიოთეკართა ასოციაციის მორიგ სხდომაზე სპეციალური მოხსენებაც კი იქნა გამატებული იმის თაობაზე, თუ როგორ ემსახურებიან ბიბლიოთეკები საწარმოებს.

შემოდის სისტემაში ფონდების პროფილირებული დაკომპლექტება. ჯ. დანის თაოსნობით დენვერის ბიბლიოთეკაში ნახაზების, დიაგრამების, სხვადასხვა სურათების, პერიოდიკის ამონაბეჭდების კოლექციების შეგროვების ტრადიციას დაედო სათავე.

ჯ. დანი მეცნიერულად შეისწავლიდა ხოლმე კომერსანტების ინტერესებს და მათგან ცნობებს კრებდა იმაზე, თუ რა გავლენას ახდენდა მათ საქმიანობზავ ბიბლიოთეკები. ამგვარი მასალის ანალიზის შედეგად საწარმო დაწესებულებში მოწყობილ იქნა გაცემის პუნქტები. ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობის დროს ჯ. დანი განაგრძობდა მომხმარებელთა უკეთ მომსახურების გზებისა და საშუალებების ძიებას. ის აქ აარსებს განყოფილებას ბიზნესმენებისათვის. ამგვარი განყოფილებები იქმნება ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკისა და აგრეთვე ცინცინატის, პროკიდენსის, მინეაპოლის, სენტ-ლუისის საჯარო ბიბლიოთეკებში.

საჯარო ბიბლიოთეკები ადგილობრივ ხელისუფლებას მქამდებარებოდა. ყოველ შტატში საბიბლიოთეკო საქმიანობის მართვისათვის სპეციალური ცენტრი არსებობდა – კომისია ან დეპარტამენტი, რომელიც სახალხო განათლების ორგანოებს ექვემდებარებოდა. გარდა ამისა, ყოველი საჯარო ბიბლიოთეკის საქმიანობას მზრუნველობა საბჭო არეგულირებდა.

ბიბლიოთეკარების გამაურთიანებელ ცენტრად, რომელიც ხელს უწყობდა მათ პროფესიონალური დონის ამაღლებაში, იქცა ამერიკელ ბიბლიოთეკართა ასოციაცია, რომელიც 1876 წელს დაარსდა ფილადელფიაში. მრავალ სხვა სახარგებლო საქმესთან ერთად, ის გამოსცემდა „ბიბლიოგრაფიულ ჟურნალს“, სხვადასხვა დამხმარე სახელმძღვანელოებს, კრებულებს, მონოგრაფიებს. ასოციაციამ დამუშავა კატალოგიზაციის ერთიანი წესები, აქცეუნებდა ბიბლიოთეკების შესახებ სტატისტიკურ ცნობებს, მოაწესრიგა ბიბლიოთეკის სპეციალისტთა მომზადების საქმე, კავშირს ამყარებდა სასდვარგარეთის ბიბლიოთეკებთან, ხელმძღვანელობდა ბიბლიოთეკართა გაურთიანებებს.

მე-20 საუკუნისათვის აშკარად შეიმჩნეოდა, რომ საჯარო ბიბლიოთეკები ველარ აქმაყოფილებდნენ ტექნიკური ინტელიგენციის გაზრდიდ მოთხოვნებს. ამან გამოიწვია დარგობრივი ბიბლიოთეკების გამრავლება, რომლებიც თავიანთი დანიშნულებით სამეცნიერო-ტექნიკურ ბიბლიოთეკებს წარმოადგენდნენ. 1900-1909 წლებში 75 ასეთი ტიპის ბიბლიოთეკა გაიხსნა, ხოლო შემდეგ ათეულ წელში კიდევ დაემატა მათ 300 ამგვარი ბიბლიოთეკა. ამ ბიბლიოთეკებს ფირმები აფინანსებდნენ, როგორც თავიანთ ქაეგანაყოფებს. ზოგიერთ ფირმას რამდენიმე ასეთი ბიბლიოთეკა გააჩნდა. 1909 წლისათვის სპეციალური ბიბლიოთეკების ასოციაციაც კი დაარსდა, რომელსაც ჯოზეფ დანი ედგა სათავეში. 1910 წლიდან შეედა დიდ შტატში, აგრეთვე კანადის ქალაქებში მონრეალსა და ტორონტოში ამ ასოციაციის ადგილობრივი განყოფილებები იქმნება.

ასოციაცია დიდ მეთოდიკურ მუშაობას ეწეოდა, მან დაა-
მუშავა პერიოდიკის ამონაჭრებით მუშაობის მეთოდების დამკა-
კომპლექტების პრინციპები; იგი გამოსცემდა უსრნალს „საე-
ციალური ბიბლიოთეკები“. ასოციაციამ აქტიური მონაწი-
ლეობა მიიღო სპეციალური ბიბლიოთეკების აღწერაში,
რომელიც 1910 წელს ჩატარდა შეერთებულ შტატებში,
აგრეთვე 1911 წელს ბოსტონის კოოპერაციული საინფორ-
მაციო ბიუროს შექმნაში, რომელიც პირველ საუწყებათ-
შორისო საინფორმაციო ცენტრს წარმოადგენდა; ბოსტო-
ნის საინფორმაციო ბიურო 1916 წელს მეპაიეთა ავტონო-
მიურ ორგანიზაციად გადაკეთდა, რომელსაც ინფორმაცი-
ის გაცვლის ბოსტონის ცენტრი ეწოდა. რამდენიმე წლის
შემდეგ ის ბოსტონის საჯარო ბიბლიოთეკას შეუერთდა.

სპეციალური ბიბლიოთეკები თანაბრად არ იყო განაწ-
ილებული ქვეყნის ტერიტორიაზე. მათი რაოდენობა გან-
პირობებული იყო ქაფინად მრეწველობისა და საბანკო-
საფინანსო დაწესებულებათა სიმრავლით. ამიტომაც ჩრდი-
ლოეთის შტატების ქალაქებში, სადაც თავმოყრიდი იყო
უმეტესად სამრეწველო-საფინანსო დაწესებულებები, 1917
წლისათვის სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკების 87
% ფუნქციონირებდა.

ამერიკის საბიბლიოთეკო საქმიანობაში თავისი აღგ-
ილი ეჭირა საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებს. ამათგან გან-
საკუთრებით გამოიჩინდა ნიუ-იორკის კოლუმბიის უნი-
ვერსიტეტის ბიბლიოთეკა, რომლის სახელთანაცაა დაკავ-
შირებული საყოველთაოდ ცნობილი ბიბლიოთეკათმცოდ-
ნის – მელვილ დიუის მოღვაწეობა. მან აქ 1987 წელს
პირველი საბიბლიოთეკო სკოლა შექმნა. ამ სკოლის მას-
წავლებელთა შორის საქვეყნოდ ცნობილი სპეციალისტ-
ები მოღვაწეობდნენ, როგორებიც იყვნენ: თვით მელვილ
დიუი, ჩარლზ კეტერი, ვ. ფოსტერი, ე. რიჩარდსონი.

ბოსტონის გარეუბანში – კემბრიჯში, უძველეს ჰარვარ-
დის უნივერსიტეტში კვლავ აქტიურად მოქმედებდა ძველი
ბიბლიოთეკა. მისი ფონდი უკვე 200 ათასს აჭარბებდა.



პარვარდის უნივერსიტეტის პრეზიდენტის პრეზიდენტი წ. ელიოტი შემოგვიარებული დასკვნამდე მიეციდა, რომ გაეყო ფონდი ორად – მოქმედი ნაწილი და უმოქმედო ნაწილი. ამ უმოქმედო – იშვიათად გამოყენებული ლიტერატურისათვის ცალკე უნდა აგებულიყო სპეციალური შენობა.

სხვა უნივერსიტეტებისა და კოლეჯების ბიბლიოთეკები სიდიდით არ გამოირჩეოდა. ისინი კერძო პირების გამგებლობაში იყვნენ და მათ მსრულებლთა საბჭოები განაგებდნენ, რომელთა მოთხოვნილებისამებრ წარიმართებოდა მუშაობა როგორც სასწავლებელ ში, ისე ბიბლიოთეკებშიც. საუნივერსიტეტო დიდი ბიბლიოთეკები, რომლებსაც ხელისუფლება აფინანსებდა, გაცილებით მაღალ დონეზე იღგა, ვიდრე კერძო სასწავლებლების ბიბლიოთეკები. აქ შემოდგებული იყო საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული ცოდნისა და წიგნების პროპაგანდა, ძალიან გავრცელებული იყო წიგნების გამოფენები, განსაკუთრებით გამოფენა-დათვა-ლიერებანი.

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებს შორის სწრაფად დაწინაურდა მასაჩუსეტსის შტატის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ბოსტონში.

კვლავ წარმატებით მოღვაწეობდა და შესაბამისად ვითარდებოდა კონგრესის, ნაციონალური სამედიცინო, სასოფლო-სამეცნიერო დეპარტამენტისა და სხვა მოედი რიგი სამეცნიერო ბიბლიოთეკები, რომლებიც ფედერალური მთავრობის მიერ ფინანსდებოდა.

1897 წლიდან კონგრესის ბიბლიოთეკაში ფუნქციონირება დაიწყო საავტორო უფლებათა ბიურომ. ყოველი გამოცემის ორი ეგზემპლარი ბიბლიოთეკას რჩებოდა, რომელსაც მას სარეგისტრაციოდ უგზავნიდნენ. ამდენად, ხარჯების გარეშეც საკმაოდ იზრდებოდა ფონდი. მე-19 საუკუნის ბოლოსათვის საბიბლიოთეკო დოკუმენტთა რაოდენობამ 800 ათასს გადააჭარბა. სამედიცინო და სასოფლო-სამეცნიერო ლიტერატურით ფონდების დაკომპლექტება სამედიცინო საჯარო და სასოფლო-სამეცნიერო დეპარ-



ტამენტის ბიბლიოთეკებთან შეთანხმებით ხდებოდა კატარინა დროისათვის კატალოგები ფონდის დაახლოებით ერთად სამედის ასახავდა.

1897 წლიდან ბიბლიოთეკაში არსდება კარტოგრაფიული მასალების დეპარტამენტი, რომელიც სწრაფი ტემპით იზრდება. ამავე წელს ბიბლიოთეკამ მიიღო ახალი კეთილმოწყობილი დამოუკიდებელი შენობა.

1899 წელს კონგრესის ბიბლიოთეკის დირექტორად გამოცდილი სპეციალისტის ჸ. პატიემის დანიშვნისთანავე რეკატალოგიზაციის სამუშაოები გაიშალა. 1901 წლიდან ბიბლიოთეკა იწყებს თავისი კატალოგებისათვის ბეჭდური ბარათების ცენტრალიზებულად გამოცემას. ამასთან დაკავშირებით, ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაცია აუქნებს საკითხს ქვეყნის ბიბლიოთეკებში კონგრესის ბიბლიოთეკის საკატალოგო აღწერილობის ერთიანი წესების შემოღების შესახებ. კონგრესის ბიბლიოთეკის საკატალოგო აღწერილობის ეს წესი რამდენიმეჯერ გამოიცა 1900-იან წლებში. ის შედგენილი იყო ჩ. კეტერის, მ, დიუისა და სხვა სპეციალისტების მიერ.

ცენტრალიზებული წესით ხდებოდა წიგნების კლასიფიკაციაც, რითაც სხვა ბიბლიოთეკებიც იყვნენ დაინტერესებული. თითქმის მაშინვე 212-შა ბიბლიოთეკამ გამოიწერა ბეჭდური ბარათები. მათი გამოცემისათვის კონგრესის სტამბაში სპეციალური განყოფილება იქნა შექმნილი. 1910 წლისათვის შეიქმნა ცენტრალიზებული კატალოგიზაციის კორპორაცია. ამგვარმა სისტემამ ფართო ხასიათი მიიღო და სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა.

მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში კონგრესის ბიბლიოთეკაში საკუთარი საკლასიფიკაციო სისტემა შექმნეს. მალე ეს სისტემა შტატების ბევრმა დიდმა ბიბლიოთეკამ გადაიღო. ის ევროპის ქვეყნების ზოგ ბიბლიოთეკაშიც იქნა გამოყენებული.

ხელისუფლების მოთხოვნით, ეროვნულ ბიბლიოთეკაში კონგრესმენებისათვის საკანონმდებლო ინფორმაციის სპე-



ციალური სამსახური შეიქმნა.

აშშ საბიბლიოოთეკო საქმის განვითარებას მნიშვნელოვანად ვნად შეუწყო ხელი საქვეყნოდ ცნობილ ბიბლიოოთეკოში ცოდნეთა მოღვაწეობამ. მათი თეორიული ნაშრომები მრავალ სიახლეთა წარმოშობას განაპირობებდა, იწვევდა დარგის საქმიანობის დახვეწას, პროფესიული დონის ამაღლებას. მათგან განსაკუთებით გამოიჩინდნენ ჩ. კეტერი და მ. დიუ.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კატალოგიზაციის განვითარებისათვის კეტერის მიერ აღწერილობის წესების დამუშავებას. ეს წესები ოთხჯერ გამოიცა და განსაკუთრებული გამოხმაურება ჰქონდა. კეტერმა დაამუშავა სისტემატური, ანბანური და საგნობრივი კატალოგების წარმოების საფუძვლები, შექმნა საავტორო ნიშანთა ტაბულები; 1879 წელს გამოიაქვეყნა სტატია თავისი ქ.წ. „წელვადი კლასიფიკაციის“ შესახებ. ამ სქემაზე ის არასოდეს არ წევეტდა მუშაობას. ამგვარი კატალოგი განსრუახული იყო სხვადასხვა მოცულობის ბიბლიოთეკებისათვის. კეტერმა ბევრი დეტალი დაამუშავა და ბევრი სიახლე დანერგა კატალოგიზაციის ტექნილოგიური პროცესებისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსახოშნავია მის მიერ შექმნილი და დანერგილი „განმსაზღვრელთა სისტემა“.

მიუხედავად კეტერის კლასიფიკაციის დიდი პოპულარობისა, მან მაინც ვერ ჰპოვა გავრცელება. მას ძირითადად დიდი სამეცნიერო ბიბლიოთეკები მიმართავდნენ.

კეტერმა თავის სისტემაზე 20-წლიანი მუშაობის შემდეგ 90-იან წლებში, ბოლოს და ბოლოს, გამოსცა ის დასრულებული სახით, მაშინ, როდესაც უკვე მეღვილ დიუს კლასიფიკაცია აქტიურად გამოიყენებოდა მთელ მსოფლიოში. ამიტომაც მას აღარ ჰქონდა დიდი ასპარეზი მოქმედებისათვის. მუ-19 საუკუნის დასასრულიდან 1903 წლამდე კეტერი გულმოდგინედ მუშაობდა კონგრესის ბიბლიოთეკისათვის ახალი კლასიფიკაციის შექმნაზე. 1911 წლიდან დაიწყო მისი გამოცემა. სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება

ბა მის მიერ საავტორო ტაბულების შექმნა.

მეტად აქტიურ შემოქმედებით და ორგანიზაციულ საქმიანობას ანობას ეწეოდა მელვილ დიუ. 1876 წელს გამოქვეყნდა მისი კლასიფიკაციის პირველი ვარიანტი. ავტორის სიცოცხლეში ის 12-ჯერ გამოიცა. ათწილადი კლასიფიკაციის გამოგონება საბიბლიოთეკო პრაქტიკასა და ოფორიაში უდიდესი მოვლენა იყო.

1876 წლიდან მ. დიუ ბოსტონშია ამერიკის ბიბლიოთეკართა ასოციაციის დამფუძნებელთა შორის. 90-იანი წლებიდან ის ამ ასოციაციის პრეზიდენტია. მისი ინიციატივით შტატების სხვადასხვა ქალაქებში ბიბლიოთეკართა ადგილობრივი ასოციაციები იქმნება. დიუ იყო აგრეთვე ასოციაციის ბეჭდური ორგანოს – "საბიბლიოთეკო ჟურნალის" რედაქტორი. დიუს იდეას წარმოადგენს საქატალოგო ბარათის სტანდარტიზაცია, შემოკლებათა ერთგაროვნების დადგენა, საბიბლიოთეკო მოწყობილობათა სტანდარტიზაცია.

მელვილ დიუს ბიბლიოთეკარობა დამოუკიდებელ პროფესიად მიანიდა, თვლიდა რა, რომ პრაქტიკა და თეორია უკაველ კავშირში უნდა იყოს. ის გზას უხსნიდა საბიბლიოთეკო სკოლებსა და ბიბლიოთეკებში ქალების მუშაობას, რაც აშშ პირობებში დიდხანს აკრძალული იყო. 1889 წელს ის გადადის ოლბენში, სადაც ასევე აქტიურ საბიბლიოთეკო მოღვაწეობას აგრძელებს.

აშშ საბიბლიოთეკო საქმისათვის დამახასიათებელია პრაქტიკისა და თეორიის განუყოფელობა, რაშიც დიდი როლი მიუძღვის ბიბლიოთეკათმცოდნეობის თვალსაჩინო წარმომადგენლებს. ამ მომენტმა დიდად შეუწყო ხელი ამერიკაში საბიბლიოთეკო საქმის აღმავლობას.

მოცემულ პერიოდში ბევრი იყო წინააღმდეგობა და სიძნელეებიც. განსაკუთრებით მძიმე ზეგავლენა მოახდინა პირველმა მსოფლიო ომმა, მაგრამ დარგის აღმავლობის შეჩერება არ მომხდარა. ამერიკის შეერთებული შტატების საბიბლიოთეკო საქმე, არა ერთი თვალსაზრისით, სამაგალი-

თო იყო. მან დიდად შეუწყო ხელი მსოფლიოში საბიძლიოთებულის განვითარებას. მისი მიღწევები გაცილებებით უფრო შთამბეჭდავია იმ მძიმე ფონზე, რაც ამ პერიოდში მსოფლიოს უმეტეს ნაწილშია, თუნდაც ისეთ დიდ იმპერიაში, როგორიც რესეტი იყო, სადაც უსახსტიკები რეაქცია მძვინვარებდა. ამ მხრივ არც აღმოსავლეთის ქვეყნები არიან დაზღვეული.

ამერიკული საბიძლიოთებული საქმე თავიდანვე იქცა მოწინავე ქვეყნებისათვის შესწავლისა და მიბაძვის ობიექტად.

9.3. საბიძლიოთებული საქმე დამოკიდებულ და კოლონიურ ძველი გვერდები

კოლონიური უდღისაგან განთავისუფლების შემდეგ ლათინური ამერიკის ქვეყნები მძლავრ სახელმწიფოთა გავლენის ქვეშ ყოფნას განაგრძობდნენ. თავდაპირველად ამ ქვეყნებზე ინგლისის გაულენა კრიცელდებოდა, შემდეგ კი შეერთებული შტატების ზეგავლენამ იმძლავრა. კარიბის აუზის ქვეყნებში – ბარბადოსი, გრენადა, ტრინიდატისა და დაბაგოს რესპუბლიკა, იამაიკა და სხვ.. კ. წ. ინგლისერენოვანი ქვეყნების საბიძლიოთებული საქმეში ძირითადად ინგლისური გავლენა ბატონობდა. 1911-1915 წლებში მათთან სავალდებულო ეგზემპლარის კანონი ამოქმედდა, რომლის ძალითაც ისინი მოვალე იყვნენ დაეცვათ ყოველი წიგნი, რომელიც ამ ქვეყანაში გამოიცემოდა. ამგვარად ივებოდა აქ საჯარო ბიბლიოთეკები, რომლებიც შემდეგ ეროვნულ ბიბლიოთეკებად გადაიქცნენ. ვესტ-ინდოეთის ზოგი ქვეყანა ვალდებული იყო ყოველი გამოცემის ერთი ეგზემპლარი ბრიტანეთის მუნეციმისათვის მიეწოდებინა.

1899 წელს აშშ იპყრობს კუბას. 1902 წლის სახალხო აჯანყებამ კუბას შესდუდული დამოუკიდებლობა მოუტანა, რამაც ხელი შეუწყო მის კულტურულ განვითარებას, თუმცა 1901 წელს დაარსებულ ეროვნულ ბიბლიოთეკას ფასტობრივად ამერიკელები განაგებდნენ.

ლათინური ამერიკის ქვეყნების საბიბლიოოთეკო საქართველო
ანობაშე დიდი გავლენა იქონია სხვადასხვა ემიგრანტთათვე
უსასრულო ნაკადმა, რასაც თან მოჰქონდა სხვადასხვა ქამა-
ნების ტრადიციები, რომელთაგან ბევრი ინერგებოდა და
მკვიდრდებოდა. არგენტინაში, ჩილეში, პარაგვაიში, ურუგვაიში
ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ფეოდალური აშლილობისა
და ურთიერთობრივის კალი, რაც ხელს უშლიდა მათ
კულტურულ აღორძინებას.

მწერლობის აღორძინებამ და ტექნიკური პროცესების
განვითარებამ, კამიტალისტური სისტემის მტკიცედ დამკვი-
დრებამ ბიძგი მისცა აქამდე უცნობი ტიპის – სპეციალური
ბიბლიოთეკების დაარსებასაც. ეს ბიბლიოთეკები, სხვა
ბიბლიოთეკებისაგან განსხვავდით, ფართოდ უდებდნენ კარს
ეროვნულ ენებზე გამოცემულ წიგნებსაც.

იაპონიის საბიბლიოოთეკო პრაქტიკის განვითარების
თავისებურებებზე მეტყველებს თუნდაც აქ გავრცელებუ-
ლი ბიბლიოთეკის დასახელების ცვლილებაც – თუ ადრე
ბიბლიოთეკას წიგნის საწყობი („ბუნკო“) ეწოდებოდა, მეოცე
საუკუნისათვის მას წიგნისა და იღუსტრაციული მასალის
ინსტიტუტი („ტოსიოკან“) ეწოდა.

იაპონიასთან შედარებით, გაცილებით უმწეო მდგომარ-
ეობაში იყო აზიის სხვა ქვეყნების ბიბლიოთეკები. მაგალ-
იოთად, ისეთ დიდ ქვეყანაში, როგორიც თურქეთია, ბიბლიოთეკ-
ბისათვის ხელისუფლება არავითარ სახსრებს არ იმეტებ-
და. ბიბლიოთეკები ძირითადად კურძო კოლექციებით იქსე-
ბოდა. დარგს შედარებით წინსვლა დაეტყო 70-80-იან წლებში,
როდესაც ევროპული ტრადიციებისადმი ლოიალურმა
დამოკიდებულებამ მოიკიდა ფეხი. თურქეთის მმართველი
წრეები საბიბლიოოთეკო საქმეში ცდილობენ ევროპულად
იმოქმედონ. ორი კულტურის ასეთმა გადაჯვარედინებამ
თავისებური კოლორიტი შექმნა. მე-19 საუკუნის ბოლოს
საქართველოს მოსახლეობას უკვე შეეძლო ორი სახელმწიფო
საჯარო და 20-მდე ბიბლიოთეკით ესარგებლა. მე-20 საუკუნის
დასაწყისში თურქეთში სამეცნიერო ბიბლიოთეკები ჩნდე-



ბა. მათგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა არქეოლოგიის მუზეუმის ბიბლიოთეკა – დაარსებული 1902 წელს და 1914 წელს დაარსებული თურქულ-ისლამური კულტურის მუზეუმის ბიბლიოთეკა.

ნაციონალური ეკონომიკის აღორძინებამ, გაძლიერებულ-მა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, რაც აღინიშნა ინდოეთში ორი საუკუნის მანძილზე, ამ ქვეყანაში საკმაოდ მძლავრი კულტურული აღორძინება გამოიწვია. ამან საბიბლიოთეკო საქმესაც თავისი კვალი დაამჩნია. ამ პერიოდში აზიის არც ერთ ქვეყანაში იმდენი ბიბლიოთეკა არ არსებულა, რამდენიც ინდოეთში. საჯარო ბიბლიოთეკები უფრო მეტად ხწორედ იმ მხარეში მრავლდებოდა, სადაც შედარებით ძლიერი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებული მოძრაობა – ბენგალია, მადრასი, ტამილანდი.

1910 წელს ტამილანდის მხარეში ბაროდას სათავადოში საჯარო საბიბლიოთეკო მომსახურების მთელი სისტემა ჩამოყალიბდა, რომელსაც ცენტრალური ბიბლიოთეკა ედგა სათავეში. შორეული სოფლების მოსახლეობის მომსახურება მოძრავი ფორმებით ხდებოდა. ხელისუფლებასთან შექმნილი იყო საბიბლიოთეკო დეპარტამენტი, რომელიც ახალი ბიბლიოთეკების გახსნაზე ზრუნავდა, იძენდა ლიტერატურას ინდოეთის ხალხთა ენებზე. თვალსაჩინო იყო ამერიკული საბიბლიოთეკო საქმის აშკარა გავლენა. მთვლი სისტემის საქმიანობას ამერიკიდან მოწვეული ბიბლიოთეკარები უძღვებოდნენ.

1903 წელს კალკუტაში ეროვნული ბიბლიოთეკა არსდება, რომელსაც იმპერიის ბიბლიოთეკის სახელწოდება ჰქონდა მიკუთხნებული. იგი შეიქმნა კალკუტის უკვე დაცუმის გზაზე დამდგარი ბიბლიოთეკის ბაზაზე. მაგრამ იმპერიული ბიბლიოთეკა მეტად მძიმედ ითრევდა ფეხს, მისი ფონდები უმეტესად ინგლისურენოვანი ლიტერატურით იცხებოდა, ისიც უმეტესად შეწირულებათა ხარჯზე, ხოლო ინდოეთში გამოცემული ყოველი დასახელების ერთი ეგზემპლარი სავალდებული წესით ბრიტანეთის მუზეუმში იგზავნებო-

და მისი ბიბლიოთეკისათვის.

ინდოეთში თანდათანობით იზრდებოდა საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების რიცხვი.

რაც შეეხება აფრიკის კონტინენტის ქვეყნებს, აზიის ქვეყნებთან კავშირის გაწყვეტამ, ძველი ტრადიციების რღვევამ მათი კულტურული დაქვეითება გამოიწვია. შედარებით მეტი იყო ბიბლიოთეკები არაბულ სახელმწიფოებში, სადაც ჯერ კიდევ სულდგმულობდა ძველი კულტურული ტრადიციები. ეგვიპტის დედაქალაქ – ქაიროში რამდენიმე მსხვილი სამეცნიერო ბიბლიოთეკა არსებობდა. ამათგან გამოიჩინა 1870 წელს დაარსებული ეროვნული ბიბლიოთეკა, 1908 წელს დაარსებული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა; 1909 წელს შეიქმნა პოლიტიკური ექონომიის, სტატისტიკისა და კანონმდებლობის საზოგადოების ბიბლიოთეკები.

საერთოდ, აფრიკის კონტინენტზე უელაზე მეტად გავრცელებულ ბიბლიოთეკებს წარმოადგენს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკები. ასეთებია, მაგალითად, სხვადასხვა დროს დაარსებული უნივერსიტეტების ბიბლიოთეკები – აღსირის უნივერსიტეტის (1887), კეიპტაუნის (1873), ბლუმფონტეინის (1906), დიურბანის (1909), კრეტორიის (1908), გრეიამსტაუნის (1904) და სხვ. ისინი ძირითადად მეტროპოლიების მიერ იყო შექმნილი და მათ ინტერესებსაც ემსახურებოდნენ.

აფრიკის კონტინენტზე უმდიდრესი წიაღისეული სიმდიდრის დამუშავება, მათი შემდგომი აღმოჩენა და ტრანსპორტირება, საგზაო საშუალებების გაუმჯობესება და სხვადასხვა სამრეწველო საქმიანობის გაფართოება ხელს უწყობდა სამეცნიერო ბიბლიოთეკების გაჩენას. 1895 წელს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გეოლოგიური სამსახურის ბიბლიოთეკა დაარსდა. 1904 და 1910 წლებში ამგვარი ბიბლიოთეკები ეგვიპტესა და როდეზიაშიც გაიხსნა.

აღსირის კულტურის განვითარებაზე არანაკლებ ძლიერი ზეგავლენა იქონიეს ფრანგმა მეცნიერებმა. ისინი აქ ლაბორატორიებსა და ბიბლიოთეკებს ქმნიდნენ. ერთ-ერთი იყო 1910 წელს დაარსებული პასტერის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა.



კა. ანგოლაში, ქ. ლუანდაში 1879 წელს პორტუგალიულები ის მიერ ეაო კაპელოს მეტეოროლოგიური და მაგნიტურული თბეერვატორიის ბიბლიოთეკა გაიხსნა.

ამ კონტინენტზე მრავლად სახლობდნენ სხვადასხვა ქვეყნებიდან გადმოსახლებული კოლონისტები. ისინი თავიანთვის სამეცნიერო თუ საჯარო ბიბლიოთეკებს ხსნიდნენ. ადგილობრივი მოსახლეობა მოკლებული იყო შესაძლებლობებს, მიედო საჭირო განათლება. იშვიათად რომელიმე მათგანი თუ მოახერხებდა უმაღლესი ცოდნის შემქნას. მათ შემდეგში დიდი როლი ითამაშეს თავიანთი ხალხის თვითმუშავიდი კულტურის აღორძინებაში. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა წარმოშობდა კულტურულ მოთხოვნილებებს – იქმნებოდა ორგანიზაციები, ასოციაციები, საგანმანათლებლო საზოგადოებები, რომლებიც ცდილობდნენ ადგილობრივი მოსახლეების კულტურული დონის ამაღლებას. ამაში მათ ხელს უწყობდნენ ლიბერალურად განწყობილი კოლონისტებიც – საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები.

დამოკიდებულ და კოლონიურ ქვეყნებში ყველგან ერთნაირი პირობები არ იყო. ზოგან უკეთესი სიტუაცია არსებობდა, ზოგან მდგომარეობა საგეხმით უიმედოდ გამოიყურებოდა, მაგრამ ყველასათვის საერთო იყო წინააღმდეგობები, რომელთა დაძლევის გარეშე რაიმე პროგრესზე ლაპარატიც კი არ შეიძლებოდა.

ურთულები პირობების მიუხდავად, მე-19 საუკუნის დასასრული და მეოცე საუკუნის დასაწყისი მაინც აღინიშნება როგორც პროგრესული ძვრების ხანა.

ლორთქიფანიძე ნ. ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის ისტორია. – თბ., 1962.

სურმავა მ. დასავლეთ ევროპის შეა საუკუნეების ეპლებია – მონასტრები, როგორც საბიბლიოთეკო კერძი თბ. 2005.

სურმავა მ. წიგნებსაც – თავიანთი ბეჭი აქვთ თბ. 1999

Володин Б.Ф. Всемирная история библиотек. – СПБ, 2002. (серия: библиотек).

Глухов А.Г. Судьба древних библиотек. – М., 1992.

Демидова М. И. Из истории библиотечного дела в Китае // Сб. метод. статей по библиотековедению и библиогр: Вып. XX / ГПБ. – Л., 1966. – с. 217-233.

Зефельдт Юрген. Сире Людгер. Двери в прошлое и будущее – Библиотеки в Германии. – Хильдесхайм, Цюрих, Нью-Йорк.

Орлов В. Н. Библиотеки Японии (Краткий обзор) // Библиотековедение и библиография за рубежом. – 1961. – Вып. 8. – с. 36.

Суворов Н. Средневековые университеты. – М. 1898.

Талалакина О. И. История библиотечного дела за рубежом. – М., 1982.

Талалакина О.И. Исследователи культуры Востока о библиотеках Арабского халифата // Библиотековедение и библиография за рубежом. – 1976. – Вып. 56. – с. 58-76.

Фунтикова С. П. Православные библиотеки: прошлое и настоящее: Изд. 2-е. доп. и перераб. – М., 2002.

Escoler H. Historia de las bibliotecas. – Salamanca, Madrid, 1990.
[ესკანდერ ესკალერ]

სხვადასხვა წლების კრებულები და პერიოდული ორგანოები:

История библиотеки: Исследования, материалы, документы /РНБ;

Библиотековедение;

Библиотековедения и библиография за рубежом.

ზოგადი და დარგობრივი ენციკლოპედიები (სხვადასხვა ენგბზე).

ურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“.

შინაარსი

წინასიტყვაობა	2
1. საბიბლიოოთეკით საქმის ისტორია როგორც მეცნიერება	3
1.1. საბიბლიოოთეკით საქმის ისტორიის კვლევის საგანი და პერიოდიზაცია	3
1.2. საბიბლიოოთეკით საქმის ისტორიის აღგილი მეცნიერებათა სისტემაში	5
2. არქაული ხანის ბიბლიოთეკები	8
2.1. შუმერთა ბიბლიოთეკები	8
2.2. ასურეთის ბიბლიოთეკები	10
2.3. ბაბილონის ბიბლიოთეკები	13
2.4. ხეთების ბიბლიოთეკები	17
2.5. ეგვიპტური ბიბლიოთეკები	19
3. საბიბლიოოთეკით საქმე ანტიკურ ეპოქაში	24
3.1. საბიბლიოოთეკით საქმე ძველბერძნული და ელინური კულტურის ქვეყნებში	24
3.2. საბიბლიოოთეკით საქმე რომაული კულტურის ქვეყნებში	34
4. ადრეული შუას აუკუნეების ბიბლიოთეკები (V-XIIს.)	39
4.1. შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების ბიბლიოთეკები	39
4.2. ბიზანტიური ბიბლიოთეკები	43
4.3. დასავლეთ ევროპის ბიბლიოთეკები	46
4.4. არაბეთის ხალიფატის ბიბლიოთეკები	50
5. საბიბლიოოთეკით საქმე შუა საუკუნეების ფეოდალურ სახელმწიფოებში (XII-XV)	62
5.1. საეკლესიო-სამონასტრო ბიბლიოთეკები	62
5.2. შუასაუკუნეების ევროპაში	
5.3. შუასაუკუნეობრივი საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკები	66
5.3. ევროპალ დიდებულთა ბიბლიოთეკები	68

5.4. ბიბლიოოთეკები აღმოსავლეთის ქვეყნებში	274
შეა საუკუნეებში	
 6. საბიბლიოოთეკეთ საქმე რენესანსის ეპოქის	80
ეკროპაში.	
6.1. ჰუმანისტური მოძრაობის ზეგავლენა	80
საბიბლიოოთეკო საქმის განვითარებაზე	
6.2. საბიბლიოოთეკო საქმის განვითარება ეკროპის	82
ქვეყნებში	
 7. საბიბლიოოთეკო საქმის განვითარება დასავლეთ	95
ეკროპის ქვეყნებში	
7.1. საბიბლიოოთეკო საქმე დასავლეთის ცენტრალურ	107
და წრდილოეთ ეკროპის ქვეყნებში	
7.2. საბიბლიოოთეკო საქმე დასავლეთის ცენტრალურ	
და წრდილოეთ ეკროპის ქვეყნებში	
7.3. ამერიკის შეერთებული შტატების	
ბიბლიოოთეკები	110
 8. საბიბლიოოთეკო საქმე ფეოდალური	115
ფორმაციის დასასრულს ეკროპისა და ამერიკის	
ქვეყნებში – (1800-1870)	
8.1. საბიბლიოოთეკო საქმე მსოფლიოს წამყვან	115
ქვეყნებში	
8.2. საბიბლიოოთეკო საქმის განვითარება ეკროპის	130
სხვადასხვა ქვეყნებში	
8.3. საბიბლიოოთეკო საქმე დამოკიდებულ და	
კოლონიურ ქვეყნებში	142
 9. საბიბლიოოთეკო საქმის განვითარება	148
რევოლუციორ მოძრაობათა აღმავლობის	
პერიოდში (1871-1920)	
9.1. საბიბლიოოთეკო საქმის განვითარება ეკროპის	148
ქვეყნებში	
9.2. საბიბლიოოთეკო საქმის განვითარება	165
შეერთებულ შტატებში	
9.3. საბიბლიოოთეკო საქმე დამოკიდებულ და	175
კოლონიურ ქვეყნებში	
ლიბერატურა	180
	183

3/1400

